საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 იანვარი შაბათი 2013 №014 (13 930) ფასი 80 თეთრი

შოთას
ძასიმფაშამ
გალათასარაი
დაამარცხა

# ლომების მომთვინიერებელი

3

# VIKTOR VS SHERMA

# ქართული ევროლიგა





ევროლიგაზე წლეულს მესამედ ვიხილეთ ქართული დუელი. პირველ წრეში **გიორგი შერმადინი** „მაქაბის“ მაისურით ორჯერ დაუპირისპირდა **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკის“ (სიენა, იტალია). ტოპ-16 კი გიორგიმ ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ ერთად დაიწყო და მეოთხე ტურში, გუშინ სიენელებს უმასპინძლა. დრამატული მატჩი იტალიელებმა 74:72 მოიგეს.

წინა ქართული დაპირისპირებებისგან განსხვავებით ორივე ჩვენიანმა მაღალი დონის კალათბურთი უჩვენა. შერმადინს ოლიმპიაკოსელთაგან ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა - 21. მან 14 წუთში 9 ქულა (3-დან 3 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 7 მოხსნა, 3 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა.

ვიქტორ სანიკიძემ გიორგის სოლიდარობა გამოუცხადა და მანაც 9 ქულა ჩააგდო (5-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 5-დან 2 საჯარიმო), 8 მოხსნა, 1 დაფარება. სიენელმა ქართველმა 21 წუთი ითამაშა და სარგებლიანობის მიხედვით თანაგუნდელთა შორის მეორე იყო - 14. ყველაზე მაღალი მქკ „მონტეპასკის“ ამერიკელ გამთამაშებელ **ბობი ბრაუნს** აღმოაჩნდა (24), რომელმაც 22 ქულა გაიფორმა. ყველაზე ღირებული მისი ბოლო ორქულიანი იყო: როცა ყველას ეგონა, მატჩი ოვერტაიმში გადავიდოდა, ბერძნებმა შეტევაში ბურთი დაკარგეს და ბობიმ სირენამდე წამით ადრე საფინალო ანგარიში დააფიქსირა - 74:72.

...არადა, 44 წამით ადრე „ოლიმპიაკოსი“ ხუთი ქულის სხვაობით იგებდა.

ვაჟა სიმონიშვილი



# ვინ?

ნაკრებს ახალი კაპიტანი ეძებს

13

# ვაგრძელებ!




35 წლის ალექსანდრე იაშვილი კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს

3



11

ვაჟა დანელიას ფოტო

# მან ამერიკელთა ჰეგემონია დაამხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



ქართული ლეგიონი ალანიაში. უკანა პლანზე მარცხნიდან: მამუკა კობახიძე და გიორგი ჭანტურია

# ალანია: შანსი ჭანტურიასთვის

ვლადიკავკაზის "ალანიამ" სეზონისთვის მზადება დაიწყო. რუსული პრემიერლიგის აუტსაიდერი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი გაზაევმა** თურქეთის ქალაქ ბელექში 14 ახალწვეული წაიყვანა; მათ შორის, სამი ქართველია – "ზესტაფონის" მცველი **მამუკა კობახიძე**, "დაუგავას" და ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **მამუკა ლონლაძე** და არნემის "ვიტესის" თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია.** გუნდი ბელექში სამ შეკრებას ჩაატარებს, პირველ შეკრებაზე კი სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავს.

საინტერესოა, რომ ჭანტურია და კობახიძე 4 წლის წინათ **გიორგი დევდარიანის** ხელმძღვანელობით "საბურთალოში"... თავდასხმაში ერთად თამაშობდნენ ! დიახ, ასეა, 20 წლის კობახიძე თავიდან შემტევი იყო და 2010 წელს მადრიდის "ატლეტიკოში" სწორედ ამ ამპლუაში ისინჯებოდა. ამპლუა მხოლოდ მერე შეუცვალეს.

2012 წელი ჭანტურიასთვის კარგად ვერ აეწყო, კლუბშიც ნაკლებად ათამაშებდნენ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც აღარ სწყალობდნენ, ეროვნულ ნაკრებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ჭანტურიას ხან ხასიათს უწუნებენ და ხან — ზედმეტ ინდივიდუალიზმს; ეს ნათლად გამოჩნდა თბილისში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრების თამაშებიდან – ბურთის დათმობა ძალიან უჭირდა.

თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჭანტურია 19 წლის ბიჭია, რაც მთავარია, ნიჭიერია და ნამდვილად არ ღირს მისი გამეტება ისე, ახლა ბევრი რომ ამბობს – "ალანიაში" დაიღუპებაო.

გიორგის სხვებისგან ის გამოარჩევს, რაც ქართველ ფეხბურთელებს ასე აკლიათ – თავდაჯერებული, მებრძოლი და ჟინიანია. "ვიტესის" ძირითადიდან ამოგდებამ და "ალანიაში" იჯარამ ფეხბურთელი ბევრ რამეზე დააფიქრა და იმედი ვიქონიოთ, რომ ამ კლუბიდან კარიერას ხელახლა აიწყობს.

**მერაბ მამულაშვილი**

მივიწყებული სახელები

# ბექა გოცირიძე: დილას მიწვევით მეორედ დავიბადე

გორის „დილა" თბილისში განაგრძობს მზადებას. ყველაზე დიდი მოულოდნელობა გუნდში ბექა გოცირიძის გამოჩენა იყო —24 წლის თავდამსხმელს ხომ 3 წელიწადი გაუცდა.

გოცირიძისთვის დნეპროპეტროვსკის "დნიპრო" დათარსული გამოდგა. 2009 წლის ზაფხულში მომხდარი ავარიის შემდეგ, მან ძველი კონდიციებისა და მდგომარეობის აღდგენა ვერ მოახერხა. ჯერ იყო და ნახევარი წელი მკურნალობას მოანდომა, შემდეგი ნახევარი წელი – ფორმის აღდგენას. ცხადია, ერთი წელი დიდი დრო იყო, დნეპროპეტროვსკელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და დუბლებში გადაიყვანეს.

2010 წელს გოცირიძე იჯარით კრივოი როგის „კრივბასში" გაუშვეს, მაგრამ არ ათამაშებდნენ და ისევ "დნიპროს" დუბლებს დაუბრუნდა. ეს დრო გაუცდა, რაზეც სტატისტიკა მეტყველებს - 2010-2011 წლებში "კრივბასსა" და „დნიპროში" სულ 10 მატჩი ჩაატარა.

თავდამსხმელს საქართველოში დაბრუნება სურდა, 2011 წლის იანვარში მისით თბილისის „დინამო" დაინტერესდა, უკრაინელებთან მოლაპარაკებაც გაიმართა, მაგრამ "დნიპრომ" შეთანხმების საფასურად მილიონი ევრო მოითხოვა, იმდენივე, რამდენადაც „ზესტაფონისგან" შეიძინა.

ისედაც გაწვალებულმა ბექა გოცირიძემ 2011 წლის შემოდგომაზე „დნიპროში" ვარჯიშისას აქილევსის მყესი დაიზიანა და კიდევ იძულებითი დასვენება და ისევ უსაქმოდ ყოფნა მოუხდა. მართალია, ოპერაციას გადაურჩა, მაგრამ ორი თვის შემდეგ ვარჯიში განაახლა და ისევ პრობლემა შეექმნა - ქართველ თავდამსხმელს დნეპროპეტროვსკელებმა დუბლებში ვარჯიშიც აუკრძალეს და იძულებული იყო, ინდივიდუალურად მომზადებულიყო.

ამხელა დაბრკოლებების შემდეგ, ვინ არ გატყდებოდა და თამაშის სურვილი შერჩებოდა. ბექა კი სამწლიანი ჩავარდნის შედეგებს მონდომებით ებრძვის და "დილაში" ვარჯიშობს. ცხადია, ის აღარ არის, ბულგარეთის ნაკრების მცველებს ქარივით რომ ჩაუქროლებდა, წონაშია და ფორმის აღსადგენად დრო სჭირდება.

ბექა გოცირიძეს "ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა – ახალგაზრდა თავდამსხმელი საკუთარ ტკივილსა და იმედებზე გველაპარაკა.



**- ავარიის შემდეგ 3 წელზე მეტი გავიდა. რას გრძნობ, ძველი ფორმის დაბრუნება და უკეთ თამაში შეგიძლია?**

- კი, მჯერა, რომ შემიძლია. გორის "დილა" ჩემპიონობისთვის იბრძვის და საკუთარი თავის რომ არ მჯეროდეს, არ მივიდოდი. არაფერი მაწუხებს, ეგაა, მართლა ზედმეტი წონა მაქვს და დიდი ხანია, რაც გუნდთან არ მივარჯიშია.

**- პირველ ვარჯიშებზე არ გაგიჭირდა?**

- გამიჭირდა და ამის უარყოფას აზრი არ აქვს. წონა ხელს მიშლის. ცალკე ისიც სათქმელია, რომ უგუნდოდ ვიყავი და სრულფასოვნად ვარჯიშის საშუალება არ მქონია.

**- შენ ხომ "დნიპროს" ეკუთვნოდი?**

- გუნდში ვირიცხებოდი, მაგრამ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დამეძაბა და დუბლებში ვარჯიშიც ამიკრძალეს. ამის გამო, ბევრი დავკარგე. ინდივიდუალური მომზადებით კი ფორმის შენარჩუნება შეუძლებელია. ასე რომ, ახლა ფორმის აღსადგენად დიდი შრომა დამჭირდება, მაგრამ სხვა რა საქმე მაქვს?

**- როგორც მახსოვს, "დნიპროსთან" კონტრაქტი დაგიმთავრდა.**

- საბედნიეროდ, დეკემბერში დამიმთავრდა და თავისუფალი აგენტი გავხდი.

**- თუ დუბლებშიც არ გავარჯიშებდნენ, რატომ არ გიშვებდნენ?**

- ეს ჩემთვისაც გაუგებარია. საქართველოში არ გამომიშვეს. ამას ახსნა არ აქვს. რას ვიზამთ, ბევრი დავკარგე, მაგრამ კარიერა ხელახლა უნდა დავიწყო.

**- ყველას აინტერესებდა, ელენთის ამოკვეთის შემდეგ ორგანიზმი სრული დატვირთვით ვარჯიშის საშუალებას გაძლევს?**

- რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არ არის. მთავარი პრობლემა უთამაშებლობა იყო და არა — ჩემი ჯანმრთელობა. გული კი მწყდება, "დნიპროში" თავიდან კარგად დავიწყე და დიდი იმედები მქონდა.

**- ძნელია, ასეთ დროს საკუთარი თავის რწმენა არ დაკარგო.**

- ძნელია, მაგრამ მჯერა, რომ თამაში შემიძლია. თუმცა, ისიც კარგად ვიცი და მესმის, რომ 99 პროცენტმა დიდი, წითელი ხაზი გადამისვა. ვერავის გავამტყუნებ, დიდი ხანია არ მითამაშია და ასეთი დამოკიდებულება ლოგიკურია. მაგრამ ჯერ 24 წლის ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დავკარგე, ძალიან მინდა, ფორმა აღვიდგინო და ყველას დავუმტკიცო: თამაში კიდევ შემიძლია! ფაქტია, რომ "დილას" მიწვევა ჩემთვის მეორედ დაბადებას ნიშნავდა. ვიმეორებ, ახლა ვარჯიში მიჭირს, მაგრამ თამაშის სურვილი და ჟინი მაქვს.

არ შემიძლია, აქვე რომ არ ვთქვა: მადლობა გორის "დილას" ხელმძღვანელებსა და პირადად ლევან სილაგაძეს, ჩემთვის მძიმე პერიოდში ნდობა რომ გამომიცხადეს და ფორმის აღდგენის საშუალება მომცეს. მათ ხომ კარგად ესმით, რომ გუნდს ახლავე ვერ დავეხმარები. წონის და უთამაშებლობის გამო, სხვებზე მეტი შრომა მჭირდება, მოედანზე შესვლის უფლება რომ მომცენ. მაგრამ მათ ნდობას ვაფასებ და შევეცდები, საქმით და თამაშით დავუფასო. მე გუნდში შანსი მომცეს, რასაც სხვა არავინ გააკეთებდა. ვნახოთ, ნახევარი წელი იმედის გამართლების საშუალება მექნება და უნდა გამოვიყენო.

**მერაბ მამულაშვილი**

სამხადისი. სიონი

# ბიუჯეტი ცნობილია

ბოლნისის "სიონის" ახალი ხელმძღვანელობა საქმეს შეუდგა. გუნდის სპორტულ დირექტორად დანიშნულმა საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **ლადო ბურდულმა** გაგვიმხილა, რომ ბიუჯეტი უკვე დაუმტკიცეს.

"გვერდში დაგვიდგნენ ბოლნისის გამგებელი ლევან ფალავანდიშვილი და „მადნეულის" ხელმძღვანელი კობა ნაყოფია. გამგეობამ "სიონის" ბიუჯეტი უკვე დაამტკიცა, რაც 2013 წლისთვის 1,3 მილიონ ლარს შეადგენს. „მადნეული" ეკიპირების საკითხის მოგვარებას დაგვპირდა. რა თქმა უნდა, კლუბში ყოველთვის არის სურვილი, რომ ბიუჯეტი იყოს მაქსიმალურად დიდი. ამიტომ, მოლაპარაკება გვაქვს კომპანიებთან და სპონსორებთან, რათა მუნიციპალიტეტის დაფინანსების გარდა, გუნდს სხვა შემოსავალიც ჰქონდეს. გარდა ამისა, არის ლაპარაკი, რომ თუ შედეგებს გავაუმჯობესებთ, პარალელურად, დაფინანსებაც გაიზრდება. ხოლო "მადნეული", არა მხოლოდ ეკიპირების, არამედ, სხვა სახის დახმარებასაც გვპირდება. შევეცდებით, ამ ბიუჯეტით ჩვენი ამოცანები გადავწყვიტოთ და რაც შეიძლება, ძლიერი ფეხბურთელები დავიმატოთ" - გვითხრა ლადო ბურდულმა.

როგორც ცნობილია, გუნდში დიდ ცვლილებებს ელოდნენ. "სიონის" ფეხბურთელები ვარჯიშს დღეს შეუდგნენ, თუმცა ჯერ მხოლოდ სამი ახალწვეულის ვინაობაა ცნობილი. ბურდულმა გვითხრა, რომ **კოკა მიკუჩაძისა** და **დაჩი ფოფხაძის** შემდეგ, ცენტრალური ნახევარმცველი **დავით მაისაშვილი** დაიმატეს, რომელიც ადრე "ვიტ ჯორჯიაში" და "გურიაში" თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ბრაზილიელი იმერეთში



ვიტორ როსინი და კუნია

საქართველოს მოქმედი ჩემპიონის შემადგენლობაში დამკვიდრებას კიდევ ერთი ლეგიონერი ცდილობს. ეს გახლავთ 25 წლის ბაზილიელი ნახევარმცველი **ვიტორ როსინი და კუნია.** იგი ჩამშლელი ტიპის შუახაზელია და აქამდე რამდენიმე ბრაზილიური კლუბის ღირსება დაუცავს, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილი "გუარანი" გახლავთ.

შეგახსენებთ, მის გარდა "ზესტაფონში" კიდევ სამი ლეგიონერი ისინჯება – სერბი **სლავკო ჩულიბრკი**, ალჟირელი **მოჰამედ რეკრუკი** და კამერუნელი **ოლივიე მუსიმა ებონგი**. ფეროელთა სამწვრთნელო შტაბი რამდენიმე ქართველსაც აკვირდება.

გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელების უმრავლესობა "ზესტაფონს" თურქულ შეკრებაზე გაჰყვება და მათი საკითხი, სავარაუდოდ, სწორედ იქ გადაწყდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ



## ალექსანდრე იაშვილი:

# არ ვარ დარწმუნებული, რომ კარიერას წელს დავამთავრებ

**ალექსანდრე იაშვილი** უკვე 16 წელია, გერმანიაში თამაშობს. "ბოხუმამდე" იგი "ლიუბეკის", "ფრაიბურგისა" და "კარლსრუეს" ღირსებას იცავდა. დღეისთვის 35 წლის ქართველი თავდამსხმელი "ბოხუმის" ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა. კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა მას ინტერვიუ ჩამოართვა და სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე გაესაუბრა.

**- შარშან "კარლსრუეში" თამაშობდი, ახლა კი "ბოხუმის" ფეხბურთელი ხარ. რა განასხვავებს ამ ორ კლუბს?**

- "ბოხუმს" უკეთესი შემსრულებლები ჰყავს და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გუნდის შედეგებზეც აისახება.

**- და რატომ ვერ აღწევს "ბოხუმი" კარგ შედეგებს?**

- ამას ბევრი მიზეზი აქვს. უპირველესად, იმას აღვნიშნავდი, რომ ხშირად იმ მატჩების მოგებასაც კი ვერ ვახერხებთ, სადაც აშკარა უპირატესობას ვფლობთ. როცა ნეგატიური შეხვედრები ერთმანეთს ებმის, ამ სიტუაციისთვის თავის დაღწევა ძალიან ძნელია.

**- დეკემბერში "ბოხუმმა" ზედიზედ სამი ოფიციალური მატჩი მოიგო. შეგიძლია თქვა, რომ ეს გარდამტეხი მომენტია?**

- დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედ ასეა. ფაქტია, რომ ბოლო დროს თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოვასწორეთ და წარმატებული სერიით ზამთრის პაუზას პოზიტიური განწყობით შევხვდით. თუ ასე გავაგრძელებთ, აუტსაიდერთა რიგებს სულ მალე დავტოვებთ და გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. "ბოხუმს" შესწევს იმის ძალა, რომ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას არ დასჯერდეს და ამაზე ბევრად მეტზე იფიქროს.

**- "კარლსრუეს" მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნამ შენზე როგორ იმოქმედა?**

- მე გუნდის კაპიტანი ვიყავი, ასე რომ, ეს ამბავი ჩემთვის ნამდვილი კატასტროფა იყო. "კარლსრუეს" გავარდნა გულშემატკივრების გამოც განვიცადე. იმის მიუხედავად, რომ მე-17 ადგილზე ვიყავით, ჩვენი 30-ათასიანი სტადიონი ყოველთვის ბოლომდე ივსებოდა. მოხარული ვარ, რომ ჩემი ყოფილი გუნდი ახლა აღმავლობის გზაზეა.

**- შენი ოჯახი ახლაც კარლსრუეში ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ იქ დაფუძნდები?**

- საერთოდ, გადაწყვეტილი მაქვს, რომ საცხოვრებლად თბილისში უნდა დავბრუნდე. თუმცა ჩემი სამი შვილი სკოლაში გერმანიაში დადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი ოჯახი რამდენიმე წელიწადს აქ დარჩება.

**- შენი საფეხბურთო მომავალი როგორ წარმოგიდგენია?**

- "ბოხუმთან" ჩემი კონტრაქტი ზაფხულში იწურება. ჯერჯერობით, მთლიანად იმაზე ვარ კონცენტრირებული, რომ გუნდმა სეზონი ღირსეულად ჩაამთავროს. ამის შემდეგ კი კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები და ჩემს მომავალს განვიხილავთ. ხუთი წლის წინ ცოტა სხვანაირად ვფიქრობდი, ახლა კი მიმაჩნია, რომ კრიტიკულ ასაკში არ ვარ. ფეხბურთის თამაში ძველებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ეს კი იმის დამსახურებაა, რომ "ბოხუმში" იდეალური გარემოა შექმნილი. მოდით, ჩემს მომავალზე აპრილში ან მაისში ვისაუბროთ.

**- ესე იგი, არც 35 წლის ასაკში ხარ დარწმუნებული, რომ აქტიურ საფეხბურთო კარიერას მალე დაასრულებ?**

- დიახ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს 2013 წელს მოხდება. ფეხბურთი ძალიან მიყვარს და შემრჩა იმდენი მოტივაცია, რომ ყველა ვარჯიშსა თუ თამაშზე მაქსიმალურად დავიხარჯო. თანაც, ტრავმა არ მაწუხებს და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ერთხელ "ფრაიბურგში" და ერთხელაც "კარლსრუეში" მძიმედ დავშავდი და მაშინ გაცდენილი დრო ახლაც მწარედ მახსოვს. ასე რომ, კარგად ვიცი, რა გემო აქვს ფეხბურთის თამაშს.

**- ბოლო სამი მატჩი შეცვლაზე ჩაატარე. ამას როგორ უყურებ?**

- ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია და მე მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ძალიან მიჭირს, რადგან ამას კარიერის განმავლობაში არასდროს ვყოფილვარ ჩვეული. როცა ფორმაში ვიყავი, ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი და ჩემთვის თადარიგში ყოფნა სრულიად ახალი და უჩვეულო როლია. თუმცა პოზიტივი ყველაფერში შეიძლება დაინახო და ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა. როგორც თავმოყვარე ფეხბურთელმა, ვალდებული ვარ, ყველას დავუმტკიცო, რომ სასტარტოში თამაშის ღირსი ვარ. თუმცა როგორც კი შევატყობ, რომ ახალგაზრდებს კონკურენციას ველარ ვუწევ, ბრძოლას შევწყვეტ და სახლში წავალ.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ლეგიონი

# შოთამ გალათასარაი დაამარცხა

გუშინ სტამბოლური დერბით თურქეთის ჩემპიონატი განახლდა. **შოთა არველაძის** მიერ გაწვრთნილმა "ქასიმფაშამ" სუპერლიგის ლიდერსა და ყველაზე ტიტულოვან თურქულ კლუბს, "გალათასარაის" უმასპინძლა და მეტოქეს 2:1 სძლია.

"გალათასარაი" მატჩის მე-18 წუთზე შვედმა **იოჰან ელმანდერმა** დაანინაურა, 28-ე წუთზე კი "ქასიმფაშას" ბოსნიელმა ლეგიონერმა **სენიად იბრიჩიჩმა** ანგარიში გაათანაბრა. არველაძის გუნდმა ურუგვაელი **ტაბარე ვიუდესის** მიერ 50-ე წუთზე გატანილი გოლით მოიგო.

ამ გამარჯვებით "ქასიმფაშამ" მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა და ევროსაგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1 ქვირის 1000 წვრილმანი

**დავით თავართქილაძე**

## საჭირბოროტო საკითხი:

# ლეგიონი და ერი

ბურთი მრგვალია და სპორტის ბურთიან სახეობებშიც შეცდომის თუ შემთხვევითობის ალბათობა დიდია.

გავიგეთ, „დინამო თბილისის" ესტონელი ლეგიონერი **ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი** დუბლებში ვარჯიშობსო. ლეგიონერის ჩამოყვანით კლუბის ხელმძღვანელობა და გუნდის მთავარი მწვრთნელი ორმაგად არიან პასუხისმგებლები გულშემატკივრების წინაშე, რადგან უცხოელი ქართველის ადგილს იკავებს.

ვოსკობოინიკოვმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა ახმახი აღნაგობისა და გრძელი ქერა თმების გარდა, ოღონდაც საფეხბურთო მოედანი ბრძოლის ველი უფროა, ვიდრე პოდიუმი.



ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი

უმცროსი **დუშან უჰრინი** „ლელოს" რედაქციაში რომ გვყავდა სტუმრად, ვოსკობოინიკოვზეც ჩამოვუგდეთ სიტყა. დინამოელთა თავკაცმა გვითხრა, ეს ისეთი თავდამსხმელია, ბევრს რომ დარბისო. მორბენლები ფეხბურთშიც საჭირო ხალხია, მაგრამ...

ვოსკობოინიკოვის ჩამოყვანა უჰრინის შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ფეხბურთელის შერჩევაში უჰრინზე დიდი მწვრთნელებს დაუშვიათ შეცდომა, ეს ფეხბურთის ნაწილია.

და რა მწვრთნელია უმცროსი უჰრინი? მისი დამოძღვრილი „დინამო" ჩემპიონატის ლიდერია, ოღონდაც მე ჯერ არც ერთი სპეციალისტისგან თუ ფეხბურთელისგან არ გამიგია, უჰრინის „დინამო" ლამაზ, საინტერესო ფეხბურთს თამაშობსო. რაც ვნახეთ, უჰრინი ძალიან პრაგმატული სტილის მიმდევარი უნდა იყოს. ამ მწვრთნელს ზურგს უმაგრებს „დინამოს" მდიდარი ტრადიციები, შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და მძლავრი ფინანსები. ცხადია, ამ სეზონში „დინამო" ჩემპიონობის ფავორიტია, ყველაზე კარგი ინდიკატორი კი მე მაინც ევროსარბიელი მგონია, იქ უკვე ხელის გულზე დადებულივით ჩანს მწვრთნელიცა და ფეხბურთელიც.

„დინამომ" **დიმიტრი ტატანაშვილი** დაიმატა. იყო დრო, ეს თავდამსხმელი ცხინვალის „სპარტაკში" რომ გამოდიოდა და გულშემატკივარსაც არ ეზარებოდა დილმის მასივში, **კარლო მჭედლიძის** „ოლიმპიკის" სტადიონზე მისვლა. ქომაგი ბევრი არ იყო, დაახლოებით სამი ათეული კაცი, მაგრამ მაინც, იქ რომ ამდენ ხალხს მიიყვან, უკვე საქმეა.

ტატანაშვილი გოლის შემგდებიც იყო და მომტყუებელიც. თბილისის „ამერმა" ერთხელ მისი გოლით მოიგო საქართველოს თასი. "ტატანა იგროკია" - ასე ამბობდა ყველა მასზე და ამაში გადაჭარბება არ არსებობდა.

ეს თავდამსხმელი მერე ჩეხეთში წავიდა, მაგრამ ვერა, ევროპულ ფეხბურთში ისე ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც მის ნიჭს შეეფერებოდა.

ტატანაშვილი ხელმეორედ ითამაშებს „დინამოში" და დარწმუნებული ვარ, რომ ის ვოსკობოინიკოვზე ბევრად მეტ სარგებელს მოუტანს უჰრინის გუნდს.

რუსთავის „მეტალურგი" ხორვატ მეკარეს, **ივან ჰოსმანს** ემშვიდობება. არა მგონია, ამის მიზეზი მხოლოდ ის იყოს, რომ „მეტალურგი" ზედაექვსეულში ვერ მოხვდა, უბრალოდ, ჰოსმანის ადგილი ამ გუნდში არ გამოჩნდა, ხორვატი თითქოს ანტისხეული იყო „მეტალურგში".

ლეგიონერის ჩამოყვანა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. გულშემატკივარი უცხოტომელის სანახავად არ დადის სტადიონზე, ქართულ სტადიონებზე მისულ ქომაგსაც კარგი ფეხბურთის ყურება აინტერესებს. ვოსკობოინიკოვი და ჰოსმანი ვინძლო ნორმალური ფეხბურთელები არიან, მაგრამ ლეგიონერმა თუ თვალი არ მოგჭრა, რა აზრის აქვს მის აქ ჩამოყვანას?

ბოლნისის „სიონის" სპორტულ დირექტორად **ლადო ბურდული** დაინიშნა. ალბათ გახსოვთ, რა საოცარი გოლი გაუტანა მან უკრაინის ნაკრებს კიევში. ფეხბურთელი ერთი გოლით როდი ფასობს, მაგრამ ეს ისეთი იყო, მეხსიერებაში რომ იკირება.

საქართველოს ნაკრებმა შვეიცარიასთან სტუმრად 1:4 რომ წააგო, ბურდულმა მარჯვენა ფლანგზე ისეთი რეიდი იკისრა, საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე ჩაიტანა ბურთი. ასეთი სოლო შემთხვევით არ გამოსდის ფეხბურთელს.

არ ვიცი, როგორი მენეჯერი გამოდგება ბურდული, ფეხბურთელობას კი ისე დაანება თავი, რომ სევდა დაგვიტოვა - სწრაფი, ტექნიკური, ჯანიანი - ჰქონდა ყველაფერი ის, რითაც ფეხბურთელი უნდა აფეთქდეს. **ივო შუშაკიც** სულ მაგას ამბობდა, ლადო თავისი შესაძლებლობებით მალე აფეთქდებაო, მაგრამ...

და რატომ არის ქართულ ფეხბურთში ამდენი „მაგრამ"? ამაზე წიგნის დაწერაც შეიძლება ზღვა ამბების გამოყენებით...



დიმიტრი ტატანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება — ზუგდიდი (ზუგდიდი) ადგილი VI

# ავტორიტეტთა რისხვა

ამ სეზონის მთავარი მოულოდნელობა უკვე ვახსენეთ: ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართული გუნდი „მეტალურგი“ მეორე ეტაპზე ქვედა ექვსეულში იასპარეზებს; რუსთაველთა „ადგილი“ კი ზედა ექვსეულში „ზუგდიდმა“ დაიკავა და ეს ფაქტიც, ვფიქრობთ, ძალიან დიდი სენსაციაც არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, შემადგენლობის მხრივ „ზუგდიდი“ კონკურენტებს ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურიც იყო ამ გუნდის „ელიტურ“ ექვსეულში მოხვედრა. შეგახსენებთ, რომ ადრე ზუგდიდს უმაღლეს ლიგაში „ოდიში“ წარმოადგენდა, მართლაც გამორჩეული და საკუთარი ხელწერის მქონე გუნდი, სადაც ჰქონდა კიდეც სამწვრთნელო დებიუტი **ოთარ გაბელიას**; მერე, ისე მოხდა, რომ რვა წლის განმავლობაში ზუგდიდელებს უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყავდათ, ვიდრე 2007-08 წლების სეზონში „მგლები“ არ გამოჩნდა; ორი სეზონის შემდეგ გუნდი უკვე „ბაიას“ სახელწოდებით ასპარეზობდა, ამ ჩემპიონატის წინ კი „ზუგდიდი“ დაერქვა. სეზონის დასაწყისშივე ცხადი იყო, რომ ერთი-მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელებით (პლუს პერსპექტიული ახალგაზრდებით) დაკომპლექტებულ „ზუგდიდს“ თავისუფლად შეეძლო ჩემპიონატის ფავორიტებთან კონკურენციის გაწევა, თუმცა რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა: **ელგუჯა ქომეთიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდი „ავტორიტეტთა რისხვად“ იქცა და პროგრამა-მაქსიმუმი (ზედა ექვსეულში მოხვედრა) პირველი ეტაპის დასრულებამდე 3 ტურით ადრე შეასრულა. განსაკუთრებით წარმატებულად „ზუგდიდი“ საშინაო მატჩებს ატარებდა და ამ მხრივ უმაღლეს ლიგაში III-IV მაჩვენებელი აქვს; ოღონდ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ზუგდიდი“ საშინაო მატჩებს განმუხურში ატარებდა და იქიდან ქულ(ებ)ის წამოღება ჩემპიონატის გამოკვეთილ ფავორიტებს, თბილისის „დინამოს“ და „დილასაც“ ერთობ გაუჭირდათ. ერთადერთი გამონაკლისი პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტური იყო, როცა უმოტივაციო და ფინანსურპრობლემებმოძალებული „ზუგდიდი“ განმუხურში უშანსოდ დამარცხდა „არანორმალურად“ მოტივირებულ „ზესტაფონთან“...

მთავარი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანი წლებია, ამ გუნდში მუშაობს; ამ სეზონის დაწყების წინ კი „ზუგდიდის“ კონსულტანტად ოთარ გაბელია დაინიშნა, რომლის მეცადინეობითაც გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ჩაირიცხა. ჰოდა, სწორედ ამ ახალწვეულებსაც დიდი წვლილი მიუძღვით „ზუგდიდის“ წარმატებულ ასპარეზობაში; თანაც, **დავით გამეზარდაშვილი, სევასტი თოდუა, ალექსანდრე კოშკაძე** და **დავით ბოლქვაძე** ჯერ კიდევ 2004-05 წლებში ერთად თამაშობდნენ („ტორპედოში“) და ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ იმ დროს ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია გახლდათ (შედეგებიც არ დაგვავიწყდეს: თასის ფინალში გასვლა და ჩემპიონატის ვერცხლის მედლები)...

... რამდენადაც წარმატებულად ასპარეზობდა „ზუგდიდი“ საშინაო მატჩებში, იმდენად საპირისპირო სურათი იყო გასვლით შეხვედრებში: გუნდმა სტუმრად მხოლოდ 9 ქულა მოაგროვა...

### მეკარე

სეზონის დაწყების წინ „ზუგდიდიდან“ წავიდა ძირითადი მეკარე და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი სომხიშვილი**, მის ნაცვლად კი ერთდროულად სამი მეკარე მოიწვიეს. ბევრისთვის მოულოდნელად, ძირითადი მეკარის სტატუსი 24 წლის **ლაშა ძაგანიას** ერგო, რომელმაც ერთის გარდა, ყველა მატჩი ჩაატარა. ბოლო ტურში „ზუგდიდელთა“ კარს 20 წლის **არჩილ მაქაცარია** იცავდა, აი, 32 წლის **მირზა მერლანსა** და 28 წლის **ლადო ნადირაშვილს** პირველ ეტაპზე არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებიათ.

### დაცვა

ამ რგოლში ერთი-მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები ასპარეზობდნენ: 36 წლის **სევასტი თოდუა**, 20 წლის **დავით გამეზარდაშვილი**, 32 წლის ლევან აკობია და 28 წლის **დაჩი ფოფხაძე**; მერე, ამათ 37 წლის **როინ ონიანიც** დაემატათ...

### ნახევარდაცვა

„ზუგდიდის“ წარმატებულ ასპარეზობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასევე გამოცდილმა ახალწვეულებმა: 32 წლის **დავით ბოლქვაძემ** და 31 წლის **ალექსანდრე კოშკაძემ**. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ნახევარმცველი 1999 წელს ერთად გამოჩნდა თბილისის „მერანი-91“-ის შემადგენლობაში, მერე „ტორპედოშიც“ გვერდი-გვერდ ასპარეზობდნენ და აი, „ზუგდიდშიც“ ერთად არიან. გამოცდილება არც 25 წლის **ვაკო ტყემალაძესა** და 28 წლის **შოთა ლომიას** დაეწუნება (ეს უკანასკნელი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი წევრია); შედარებით ნაკლები სათამაშო დრო ჰქონდათ მცირე პაუზის მერე გუნდში დაბრუნებულ გარემარბებს — 23 წლის **ლევან წურწუმიასა** და 21 წლის **ლუკა გოგუჩიას**; სეზონი კარგად დაიწყო ბოსნიიდან დაბრუნებულმა **ლევან კუტალიამ**, თუმცა 23 წლის შუახაზელი მეორე ეტაპიდან „ზესტაფონში“ იასპარეზებს. ცალკე უნდა აღვნიშნოთ 20 წლის **ზვიად სიხარულია**, ასაკის მიუხედავად გუნდის ერთ-ერთი ლიდერი რომ გახლავთ.



ელგუჯა ქომეთიანი

### თავდასხმა

„ზუგდიდის“ შედეგიანობის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალი იქნებოდა, 20 წლის **ირაკლი ქობალიას** პირველი ეტაპი სრულად რომ ეთამაშა; თუმცა ამ, უდავოდ, ნიჭიერმა ფორვარდმა 7 გოლის გატანა მაინც მოახერხა. რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა 23 წლის **გიორგი გაბედავამ**.

### საუკეთესო მატჩი

პირველ ეტაპზე „ზუგდიდმა“ შინ „დინამოსთან“ და „დილასთან“ ფრედ ითამაშა, „ტორპედოს“ კი 2:1-ს მოუგო, — სწორედ ეს სამი მატჩი უნდა მივიჩნიოთ საუკეთესოდ.

### ყველაზე ცუდი მატჩი

ზემოთაც ვთქვით, რომ პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურში „ზუგდიდი“, ფაქტობრივად, უშანსოდ დამარცხდა ზემოტივირებულ „ზესტაფონთან“, — ეს იყო ელგუჯა ქომეთიანის გუნდის ყველაზე სუსტი შეხვედრა. „ზუგდიდი“ ბოლო ტურშიც დიდი ანგარიშით (1:5) დამარცხდა (სტუმრად, „მეტალურგთან“), მაგრამ 23 დეკემბერს გუნდი ხომ, ფაქტობრივად, დუბლშემადგენლობით ასპარეზობდა — თვეობით აუღებელი ხელფას-პრემიების გამო ძირითადმა შემადგენლობამ თამაშზე უარი თქვა.

### ლიდერი

„ზუგდიდს“ ყველა რგოლში ჰყავს ლიდერი: დაცვაში — დავით გამეზარდაშვილი, ნახევარდაცვაში — ზვიად სიხარულია და ალექსანდრე კოშკაძე, თავდასხმაში — ირაკლი ქობალია.

### მიზანი

გუნდმა მთავარი ამოცანა შეასრულა და ზედა ექვსეულში მოხვდა; ანუ, რეალურად ვიმსჯელოთ და ისიც ვთქვათ, რომ „ზუგდიდისგან“ მედლებისათვის ბრძოლას არც არავინ ელოდება. თუმცა, იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს გუნდი მეორე ეტაპზეც არაერთ ფავორიტს გაამწარებს.

დაბოლოს, ვისურვებდით, რომ გუნდი რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყოს მშობლიურ ქალაქში — ზუგდიდი უფეხბურთოდ ხომ მართლაც წარმოუდგენელია!

**გია ტუხაშვილი**



ზუგდიდში დინამოსთან შეხვედრა მასპინძელთათვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო პირველ ეტაპზე

| ზუგდიდის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე | | |
|---|---|---|
| I ტური | ტორპედო - ზუგდიდი | 1:0 |
| II ტური | ზუგდიდი - დინამო (ბთ) | 2:0 |
| III ტური | კოლხეთი - ზუგდიდი | 1:1 |
| IV ტური | ზუგდიდი - დილა | 0:0 |
| V ტური | ვიტ ჯორჯია - ზუგდიდი | 0:0 |
| VI ტური | ზუგდიდი - ჩიხურა | 4:2 |
| VII ტური | სიონი - ზუგდიდი | 0:0 |
| VIII ტური | მერანი - ზუგდიდი | 1:2 |
| IX ტური | ზუგდიდი - დინამო (თბ) | 1:1 |
| X ტური | ზესტაფონი - ზუგდიდი | 1:0 |
| XI ტური | ზუგდიდი - მეტალურგი | 2:1 |
| XII ტური | ზუგდიდი - ტორპედო | 2:1 |
| XIII ტური | დინამო (ბთ) - ზუგდიდი | 0:3 |
| XIV ტური | ზუგდიდი - კოლხეთი | 1:0 |
| XV ტური | დილა - ზუგდიდი | 3:0 |
| XVI ტური | ზუგდიდი - ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XVII ტური | ჩიხურა - ზუგდიდი | 2:0 |
| XVIII ტური | ზუგდიდი - სიონი | 2:0 |
| XIX ტური | ზუგდიდი - მერანი | 3:2 |
| XX ტური | დინამო (თბ) - ზუგდიდი | 2:0 |
| XXI ტური | ზუგდიდი - ზესტაფონი | 0:3 |
| XXII ტური | მეტალურგი - ზუგდიდი | 5:1 |

მეკარეები: ლაშა ძაგანია - 21, არჩილ მაქაცარია - 1;

მცველები: სევასტი თოდუა - 21, დავით გამეზარდაშვილი - 20 (3), ლევან აკობია - 14, დაჩი ფოფხაძე - 14 (1), როინ ონიანი - 13 (1), ნიკა აფაქიძე - 10, რომეო კანკია - 1, გიორგი ქვარცხავა - 1, კოკა ქომეთიანი - 1, გრიგოლ ბერიშვილი - 1, ლუკა კობერიძე - 1;

ნახევარმცველები: ზვიად სიხარულია - 21 (2), ვაკო ტყემალაძე - 19, ალექსანდრე კოშკაძე - 18 (1), დავით ბოლქვაძე - 17 (1), ლევან კუტალია - 17 (2), შოთა ლომია - 14 (3), ლევან წურწუმია - 11, ლუკა გუგუჩია - 9, აკაკი ფარჯიკია - 7, ლაშა კუკავა - 6, ზურაბ ქვარცხავა - 1, ლევან ქანთარია - 1, ლუხუმ პატარაია - 1, გიორგი ხუბუა - 1, გიორგი ლაშქარავა - 1 (1);

თავდამსხმელები: გიორგი გაბედავა - 18 (9), ირაკლი ქობალია - 16 (7), ირაკლი ეხვაია - 6, მურთაზ ჩანგელია - 1; ნიკა ქირია - 1.

მწვრთნელი: ელგუჯა ქომეთიანი (I - XXII)

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| *6* | *ზუგდიდი* | *22* | *10* | *5* | *7* | *27* | *26* | *35* | *11* | *8* | *2* | *1* | *19* | *10* | *26* | *11* | *2* | *3* | *6* | *8* | *16* | *9* |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11. | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

ფუტსალი

# იბერია და ბენატი: მსოფლიოს საუკეთესოებში

საქართველოს ჩემპიონი თბილისის “იბერია სტარი” მსოფლიოს საუკეთესო კლუბის ნომინაციაშია წარდგენილი, გუნდის ბრაზილიელი დამრიგებელი, **სერჟიო ბენატი** კი – მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელობის კანდიდატია.

ეს ამბავი კლუბის მენეჯერმა, **გიორგი დარჯანიამ** გვითხრა: *“2 თებერვალს ცნობილი გახდება 2012 წელს 8 ნომინაციაში მსოფლიო მასშტაბით საუკეთესოების ვინაობა. გამოკითხვას ატარებს ფუტსალში ყველაზე ავტორიტეტული გამოცემა “ფუტსალპლანეტ”, რომელსაც ხორვატები და იტალიელები გამოსცემენ. “ფუტსალპლანეტ” საუკეთესოებს ავტორიტეტული სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით დაასახელებს. „იბერია სტარი“ წლის საუკეთესო კლუბის ნომინაციაზეა წარდგენილი, სერჟიო ბენატი კი - წლის საუკეთესო მწვრთნელის”.*

2012 წელი “იბერია სტარისთვის” მართლაც ზღაპრული გამოდგა. მაისში კლუბმა საქართველოს ჩემპიონატში ისე გაიმარჯვა, ყველა, 14 შეხვედრა მოიგეს, თანაც თითოეულ მატჩში საშუალოდ 12,9 გოლი გაიტანა!

ბოლო წლებში, „იბერია სტარი“ ევროპაშიც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა, მაგრამ 47 წლის ბრაზილიელი **სერჟიო ბენატის** ხელში გუნდმა მართლაც იმას მიაღწია, რაც მთავარმა მწვრთნელმა ჩამოსვლისთანავე მიზნად დაისახა.

ბენატი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში 1989 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მწვრთნელობის დროს კი ყველაზე დიდი ტიტული 2005 წელს მოიპოვა, როდესაც ბელგიური “შარლერუა” ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებამდე აღაზევა.

ბრაზილიელმა “იბერია” წინა წლის ივლისში ჩაიბარა და მისმა დარიგებებმა საქართველოს ჩემპიონს 2012 წლის აგვისტოში, პირველივე ტურნირზე წარმატება მოუტანა. ლვოვის თასზე, სადაც წინა წლებში გუნდის საუკეთესო მაჩვენებელი მეორე ადგილი იყო, საქართველოს ჩემპიონმა 100-პროცენტიანი შედეგი აჩვენა - უკრაინულ “კარდინალს” 4:1 მოუგო, ასევე უკრაინული “ლემბერგს” - 7:0, პოლონური “რეკორდს” - 3:0, ფინალში კი “იბერიამ” რუსულ “გაზპრომ-იუგრას” 3:2 სძლია და პრესტიჟული გათამაშების გამარჯვებული გახდა.

ოქტომბერში კი უეფას თასის ელიტ რაუნდში, რომელიც თბილისში გაიმართა, ბენატის გუნდმა გაიბრწყინა: იტალიური “ლუპარენსე” 6:1 გაანადგურა, უნგრულ “დიორ ეტოსთან” 2:2 ითამაშა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ლისაბონის “ბენფიკა” 7:4 დაამარცხა და ევროპის საუკეთესო კლუბების ოთხთა ფინალში მოხვდა, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საკლუბო დონეზე, საუკეთესო შედეგი იყო.

6 დეკემბერს ლოზანაში, უეფას აღმასკომის გადაწყვეტილებით, 2013 წლის ფუტსალის ევროპის თასის ოთხთა ფინალის მასპინძელ ქალაქად თბილისი დასახელდა. საქართველოს დედაქალაქს ესტუმრებიან „ბარსელონა“, ყაზახური „კაირატი“ და მოსკოვის „დინამო“ და “იბერიასთან” ერთად, ფუტსალში ევროპის ყველაზე პოპულარული გათამაშების გამარჯვებულს გამოავლენენ.

ამ მართლაც არარეალურ წარმატებას სათავე “იბერიას” პრეზიდენტმა, **ვახო წერეთელმა** დაუდო. მისი დამსახურებაა, საქართველოში არც ისე პოპულარული ფუტსალი ჩვენს გულშემატკივარს რომ შეუყვარდა და პოპულარული გახდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013.

# აფრიკა ახმაურდება

დღეს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში, აფრიკის თასის რიგით 29-ე გათამაშება დაიწყება. პირველ შეხვედრაში ერთმანეთს ტურნირის მასპინძელი სამხრეთ აფრიკა და აფრიკის თასის ფინალური ეტაპის დებიუტანტი კაბო ვერდე შეხვდებიან. მოგვიანებით კი ანგოლის ნაკრები მაროკოს დაუპირისპირდება.

მოგეხსენებათ, ბოლო აფრიკის თასი 2012 წელს გაიმართა და ის, სენსაციურად, ზამბიის ნაკრებმა მოიგო. აფრიკის ერთა თასი, 1968 წლიდან მოყოლებული, ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, მაგრამ აფრიკული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ტურნირი კენტ წლებში ჩაეტარებინათ და ამის გამო, აფრიკის საუკეთესო ნაკრებები კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტულს ზედიზედ მეორედ გაითამაშებენ.

შარშანდელი ტურნირის მსგავსად, ფინალურ ეტაპზე წელსაც ვერ მოხვდა ორი ყველაზე ტიტულოვანი ნაკრები: ეგვიპტე და კამერუნი. კამერუნმა შესარჩევში კაბო ვერდესთან წააგო, ეგვიპტე კი, ძალიან მოულოდნელად, პირველივე შესარჩევ ეტაპზე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასთან დამარცხდა, რომელმაც შემდეგ, თავის მხრივ, ბურკინა ფასოსთან წააგო.

16 საუკეთესო გუნდს შორის ასევე ვერ მოხვდა სენეგალის ნაკრები, რომელსაც კენჭისყრაში ძალიან არ გაუმართლა და საკვალიფიკაციო ეტაპზე კოტ დივუარს შეხვდა.

მიუხედავად ამ სამი დანაკლისისა, წლევანდელი ტურნირი გაცილებით ძლიერია, ვიდრე 2012 წლის გათამაშება. შარშან, ფინალურ ეტაპზე, ეგვიპტის და კამერუნის გარდა, ნიგერია, ალჟირი, სამხრეთ აფრიკა და ტოგო ვერ მოხვდნენ.

## ფავორიტები

აშკარა ფავორიტის გამოყოფა ძნელია, მაგრამ ფურცელზე ყველაზე ძლიერი შემადგენლობა მოქმედ ვიცე ჩემპიონს, კოტ დივუარს ჰყავს. სპილოს ძვლის სანაპიროს ნაკრებს, რომელსაც სათავეში საფრანგეთის ეროვნული გუნდის ყოფილი ფეხბურთელი, **საბრი ლამუში** უდგას, ბევრი გუნდისგან განსხვავებით, პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს შეკრებილი. ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის არყოფნაც შესაძლოა დანაკლისად მივიჩნიოთ, **კადერ კეიტა** გახლავთ, მაგრამ გადახედეთ კოტ დიავუარის ნახევარდაცვა/თავდამსხმას და მიხვდებით, რომ ვეტერანი ნაკრებს არ დააკლდება.

რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ფავორიტია ტურნირის მასპინძელიც, რომელსაც ერთადერთი ტიტული სწორედ სამხრეთ აფრიკაში გამართულ ტურნირზე აქვს მოგებული.

ეგვიპტის არყოფნაში, არაბული ქვეყნების პრესტიჟი ტუნისმა, ალჟირმა და მაროკომ უნდა დაიცვან. სამივე ამ გუნდს კარგი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ ტურნირს საკმაოდ სერიოზული დანაკლისით ხვდებიან. ასე მაგალითად: მაროკოს არ ეყოლება **ჰუსეინ ხარჯა, მბარკ ბუსუფა** და **ადელ ტაარაბტი**. ასევე არ არის **მარუან შამახიც**, მაგრამ გუნდის მწვრთნელმა **რაშიდ ტაუსიმ**, ეს უკანასკნელი განზრახ არ გამოიძახა.

სერიოზული დანაკლისი აქვს ალჟირის ნაკრებს. ყატარის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებიდან, ნაკრებში არც ერთი არ არის, არადა ეს ფეხბურთელები წლების განმავლობაში ნაკრების ლიდერები იყვნენ. საუბარი **ნადირ ბელჰაჯზე, მაჯიდ ბუგერაზე, მურად მეგნიზე** და **ქარიმ ზიანიზე** გვაქვს. გარდა ამ მოთამაშეებისა, ნაკრებში არ არიან: "კაიზერსლაუტერნის" მცველი **ანტარ იაია**, "გრანადას" ნახევარმცველი **ჰასან იებდა**, "ოლიმპიაკოსის" ფორვარდი **რაფიკ ჯებური**, "ბარის" გამოცდილი თავდამსხმელი **აბდელკადერ გეზალი** და ბუნდესლიგის ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ერთ კვირაში ოჯერ გააძევეს, "აინტრახტის" შემტევი **ქარიმ მატმური**. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, **ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს** გუნდში საკმარისი რაოდენობის მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს (**ფეგული, მესბა, ბუდებუზი, ლასენი, ფუედ კადირი, ფაუზი გულამი** და ა.შ.)

ფეხბურთლები აკლია განასაც, მეტწილად ნახევარდაცვასა და თავდასხმაში. აფრიკის თასზე არ ითამაშებენ: **სულეი მუნტარი, კევინ პრინს ბოატენგი, ჯორდან აიუ** და **ანდრე აიუ**.

## ვარსკვლავები

აქამდე ძირითადად ნეგატიურ ინფორმაციას გაწვდიდით. მიუხედავად ამდენი ძლიერი ფეხბურთელის არყოფნისა, აფრიკის თასი მაინც ძალიან საინტერესოა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ვარსკვლავები მაინც თავზე საყრელად არიან, მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ გზა ახალგაზრდებს გაეხსნებათ და ბევრ ნიჭიერ მობურთალს ვნახავთ. სტატია ამომავალ ვარსკვლავებზე, "ლელომ" ცოტა ხნის წინ შემოგთავაზათ, ახლა კი უკვე ამოსულ ვარსკვლავებს გადავხედოთ: იმ ფეხბურთელებს ვისაც საკუთარი ნაკრებისთვის თასის მოტანა შეუძლიათ.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ფეხბურთელი საკმაოდ ბევრია. გადავხედოთ, თუნდაც კოტ დიავუარის ნაკრებს, სადაც ყველა ლიდერი შეიკრიბა. ლამუშიმ ტურნირზე სათამაშოდ **იაია ტურე, კოლო ტურე, არტურ ბოკა, ემანუელ ებუე, დიდიე ზოკორა, შეიკ ტიოტე, რომარიკი, სიაკა ტიენე, არუნა კონე, ვილფრედ ბონი, სალომონ კალუ, ჟერვინიო, დიდიე ია კონანი** და რაც მთავარია, **დიდიე დროგბა** გამოიძახა.

კარგად არის დაკომპლექტებული სამხრეთ აფრიკაც, სადაც ამ გუნდის არაერთ ლიდერს ვხვდებით. განსაკუთრებულ ყურადღებას, მუნდიალზე თავგამოჩენილ **სიფივე ჩაბალალას** დავუთმობთ, მაგრამ ამ გუნდში სხვა არაერთი კარგი მოთამაშეა (**მფელა, სერერო, მასილელა, დიკგაჩოი, ხუმალო, პარკერი**). "ბაფანა ბაფანას" ერთადერთი ფეხბურთელი აკლია, თუმცა ეს მოთამაშე გუნდში ყველაზე გამორჩეულია. საუბარი, რა თქმა უნდა, **სტივენ პიენაარზე** გვაქვს, რომელმაც სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

მაროკოს ნაკრებს დაცვაში **მეჰდი ბენატია**, ნახევარმცველში **ქარიმ ელ აჰმადის, იუნეს ბელჰანდას, აბდელაზიზ ბარადას**, ხოლო შეტევაში **იუსუფ ელ არაბის** და **მუნირ ელ ჰამდაუის** იმედი ექნება.

გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს განის ნაკრებსაც: **ჯონ პანტსილი, დერეკ ბოატენგი, ენტონი ანანი, კვადვო ასამოა, აგიემანდ-ბადუ, ასამოა გიანი...**

მალის ნაკრების ნახევარდაცვის ცენტრს **სეიდუ კეიტა, სამბა დიაკიტე** და **მოჰამედ სისოკო** გაამაგრებენ, შეტევაში კი **მოდიბო მაიგა** და **შეიკ დიაბატე** გაირჯებიან.

ბოლო წლებთან შედარებით, აშკარად სუსტია ნიგერიის ნაკრები, მაგრამ ვარსკვლავები აქაც არიან: **ჯონ ობი მიკელი, ჯოზეფ იობო, იკეჩუკვუ უჩე, ემანუელ ემენიკე, ვიქტორ მოზესი** და **ბრაუნ იდეიე**.

არის რამდენიმე გუნდი, სადაც ერთ ან მაქსიმუმ ორ გამორჩეულ ფეხბურთელს ვხვდებით, ხოლო ზოგ ნაკრებში ასეთი საერთოდ არ გვეგულება. მაგალითად, ტოგოს ნაკრებში, ამ ტურნირზე **ემანუელ ადებაიორი** ითამაშებს, ბურკინა ფასოს **ჯონათან პიტროიპას** იმედი ექნება, ხოლო ანგოლას მთავარი ვარსკვლავი, "ვალიადოლიდის" ფორვარდი **მანუჩო** გახლავთ. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს **დიუმერსი მბოკანი, ლომანა ლუა ლუა** და **იუსუფ მულუმბუ** ჰყავს. კაბო ვერდეს ნაკრებიდან კი ყურადღებას **რაიან მენდესი** იმსახურებს.

ვერავის გამოვყოფთ ეთიოპიის ნაკრებიდან, რომელიც თითქმის მთლიანად ადგილობრივ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ლეგიონერები ჰყავს ნიგერს, მაგრამ ამ გუნდის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი **მუსა მააზუ** გახლავთ, რომელსაც ვარსკვლავობამდე იმდენი უკლია, რამდენიც მთვარეს პლანეტობამდე.

არაფერი გვითქვამს მოქმედ ჩემპიონზე, ზამბიის ნაკრებზე. პრინციპში, სათქმელიც ბევრი არაფერია. გუნდის შემადგენლობა პრაქტიკულად უცვლელია და როგორც შარშან ითვლებოდა ეს გუნდი აუტსაიდერად, ისევე ითვლება წელსაც. ზამბიელთა რიგებში ორი, ასე თუ ისე ცნობილი ფეხბურთელია: "უტრეხტის" ფორვარდი **ჯეიკობ მულენგა** და "საუთჰემპტონის" სათადარიგო თავდამსხმელი **ემანუელ მაიუკა**. ჩვენ კი განსაკუთრებულ ყურადღებას ზუგდიდის "ბაიას" ყოფილ ფეხბურთელს, **ჩისამბა ლუნგუს** მივაქცევთ. ამჟამად რუსული "ურალის" ფეხბურთელი, ერთხელ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული, მაგრამ ლუნგუმ საბოლოოდ სამშობლოს ღირსების დაცვა გადაწყვიტა და არც უნანია.

აქვე გეტყვით, რომ 16 გუნდის განაცხადში 368 ფეხბურთელია. აქედან 54 საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს, 25 სამხრეთ აფრიკაში, 20 კი ეთიოპიაში.



### აფრიკის ყველა ჩემპიონი

1957 - ეგვიპტე,
1959 - არაბეთის გაერთ. ემირ.
1962 - ეთიოპია
1963 - განა
1965 - განა
1968 - კონგო კინშასა (კონგოს დრ)
1970 - სუდანი
1972 - კონგო
1974 - ზაირი (კონგოს დრ)
1976 - მაროკო
1978 - განა
1980 - ნიგერია
1982 - განა
1984 - კამერუნი
1986 - ეგვიპტე
1988 - კამერუნი
1990 - ალჟირი
1992 - კოტ დივუარი
1994 - ნიგერია
1996 - სამხ. აფრიკა
1998 - ეგვიპტე
2000 - კამერუნი
2002 - კამერუნი
2004 - ტუნისი
2006 - ეგვიპტე
2008 - ეგვიპტე
2010 - ეგვიპტე
2012 - ზამბია

### სულ ტიტულები

7 - ეგვიპტე;
4 - კამერუნი და განა;
2 - ნიგერია და კონგოს დრ.;
1 - კოტ დივუარი, ზამბია, ტუნისი, სუდანი, ალჟირი, მაროკო, ეთიოპია, სამხრეთ აფრიკა და კონგო.

### მონაწილეები

**A ჯგუფი**

სამხრეთ აფრიკა – **მონაწილეობა: 8;** ჩემპიონი: 1996.
ანგოლა – **მონაწილეობა: 7.**
მაროკო – **მონაწილეობა: 15; ჩემპიონი: 1976.**
კაბო ვერდე – **მონაწილეობა: 1**

**B ჯგუფი**

განა – **მონაწილეობა: 19; ჩემპიონი: 1963, 1965, 1978, 1982.**
მალი – **მონაწილოება: 8.**
ნიგერი – **მონაწილეობა: 2**
კონგოს დრ – **მონაწილეობა: 16; ჩემპიონი: 1968, 1974.**

**C ჯგუფი**

ზამბია – **მონაწილეობა: 16; ჩემპიონი: 2012**
ნიგერია – **მონაწილეობა: 17; ჩემპიონი: 1980, 1994**
ბურკინა ფასო – **მონაწილეობა: 9**
ეთიოპია – **მონაწილეობა: 10; ჩემპიონი: 1962**

**D ჯგუფი**

კოტ დივუარი – **მონაწილეობა: 20; ჩემპიონი: 1992**
ტუნისი – **მონაწილეობა: 16; ჩემპიონი: 2004**
ალჟირი – **მონაწილეობა: 15; ჩემპიონი: 1990**
ტოგო – **მონაწილეობა: 7**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXI ტურის წინ

# ბორდოში ტიაგოების გარეშე

**გუშინ**

| | |
|---|---|
| ლიონი-ევიანი | 0:0 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| სოშო-რეიმსი | 19:00 |
| მარსელი-მონპელიე | 20:00 |
| აიაჩო-ვალანსიენი | 23:00 |
| ლორიანი-ტრუა | 23:00 |
| ბრესტი-სტ. ეტიენი | 23:00 |
| ტულუზი-ნანსი | 23:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ბასტია-რენი | 17:00 |
| ლილი-ნიცა | 20:00 |
| ბორდო-პსჟ | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 21 | 12 | 6 | 3 | 35-18 | 42 |
| 2. პსჟ | 20 | 11 | 6 | 3 | 36-12 | 39 |
| 3. მარსელი | 20 | 12 | 2 | 6 | 25-23 | 38 |
| 4. ბორდო | 20 | 7 | 11 | 2 | 23-14 | 32 |
| 5. ნიცა | 20 | 8 | 8 | 4 | 31-26 | 32 |
| 6. რენი | 20 | 10 | 2 | 8 | 29-26 | 32 |
| 7. ლორიანი | 20 | 8 | 7 | 5 | 32-31 | 31 |
| 8. ლილი | 20 | 7 | 9 | 4 | 26-20 | 30 |
| 9. მონპელიე | 20 | 8 | 5 | 7 | 31-24 | 29 |
| 10. ვალანსიენი | 20 | 8 | 5 | 7 | 31-29 | 29 |
| 11. სტ. ეტიენი | 20 | 7 | 7 | 6 | 26-16 | 28 |
| 12. ტულუზი | 20 | 7 | 6 | 7 | 27-22 | 27 |
| 13. ბასტია | 20 | 7 | 4 | 9 | 28-42 | 25 |
| 14. ბრესტი | 20 | 7 | 3 | 10 | 22-28 | 24 |
| 15. აიაჩო | 20 | 5 | 7 | 8 | 21-29 | 20 |
| 16. ევიანი | 21 | 5 | 5 | 11 | 22-34 | 20 |
| 17. რეიმსი | 20 | 4 | 7 | 9 | 17-22 | 19 |
| 18. სოშო | 20 | 5 | 4 | 11 | 20-30 | 19 |
| 19. ტრუა | 20 | 2 | 7 | 11 | 21-39 | 13 |
| 20. ნანსი | 20 | 1 | 9 | 10 | 17-35 | 12 |

**შენიშვნა:** "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 18 – იბრაჰიმოვიჩი (პარისენჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა); 11 – გომისი (ლიონი); 9 – ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია).

**საფრანგეთის ჩემპიონატის 21-ე ტური პარასკევს, ლიდერის მატჩით დაიწყო. ტურის ორი ყველაზე საინტერესო შეხვედრა შაბათს და კვირას გაიმართება. შაბათს მარსელში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ჩადის, კვირას კი პსჟ ბორდოს ეწვევა...**

ამ ორ შეხვედრაზე არანაკლებ ინტერესს "ლილის" და "ნიცას" დაპირისპირება იწვევს. "ნიცა" საოცარ ფორმაშია: **კლოდ პუელის** გუნდს ბოლო 10 მატჩიდან 7 აქვს მოგებული და მხოლოდ ერთი წაგებული. ის მარცხიც გუნდმა ჩემპიონატის ლიდერთან განიცადა. წინა ტურში, ზღვისპირელებმა "ვალანსიენი" გაანადგურეს (5:0), რაშიც თავისი წვლილი **დარიო ცვიტანიჩმაც** შეიტანა. არგენტინელი ფორვარდი 12 გატანილი გოლით, ლიგა 1-ის ბომბარდირებში მეორე ადგილზეა. "აიაქსის" ყოფილმა თავდამსხმელმა, ჩემპიონატის ბოლო 9 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა.

"ნიცას" ოქროს ხანა 50-იან წლებში ჰქონდა, როდესაც გუნდმა 4 საჩემპიონო ტიტული მოიგო (1951, 1952, 1956 და 1959 წლებში) და 2-ჯერ საფრანგეთის თასს დაეუფლა (1952 და 1954 წლებში). ამის გარდა, "ნიცამ" თასი 1997 წელსაც მოიგო, ხოლო 2006 წელს ლიგის თასზე იმარჯვა. მეორე ოქროს ხანაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ ფაქტია, რომ წლევანდელ "ნიცას" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა თავისუფლად შეუძლია. ამის ფონზე, საინტერესოა, როგორ ითამაშებს გუნდი "ლილთან", რომელმაც ბოლო პერიოდში ასევე მოუმატა და უკანასკნელი 6 მატჩია არ წაუგია, თუმცა მიუხედავად ამისა, "ძაღლები" ცუდ ხასიათზე უნდა იყვნენ, რადგან შუა კვირაში, "სენტ ეტიენთან" ლიგის თასის 1/2-ფინალში პენალტების სერიაში წააგეს და ფინალის საგზური მეტოქეს დაუთმეს.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების მიერ ლილში გამართული უკანასკნელი შეხვედრა საოცარი სანახავი გამოდგა და ფრედ, 4:4 დასრულდა. სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე, **ფრანსუა კლერის** გოლის წყალობით შეძლეს.

როგორც უკვე ვთქვით, მოქმედი ჩემპიონი მარსელში ჩადის და წარმატებული სვლის გაგრძელებას ეცდება – "მონპელიემ" ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგო, თუმცა "ლილის" არ იყოს, **რენე ჟირარის** ბიჭებიც უხასიათობას უნდა უჩიოდნენ, რადგან ლიგის თასის მეორე ნახევარფინალში "მონპელიე" "რენთან" დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

"მარსელი" წინა ტურში "სოშოსთან" შერცხვა (1:3) და ახლა, პროვანსელები რეაბილიტაციას ეცდებიან. მოგეხსენებათ, **ელი ბოპის** გუნდი **ლოიკ რემიმ** დატოვა, რომელიც "ქუინზ პარკში" გადავიდა, მის ნაცვლად შეძენილი **ფუად კადირი** კი აფრიკის თასზე გაემგზავრა. მასპინძელთა საბედნიეროდ, განის ნაკრებში არც **ანდრე აიუ** წასულა და არც **ჯორდანი**, ასე რომ, ორივე ძმა სათამაშოდ მზად არის.

საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს „მონპელიეს", რომელსაც ტრავმების თუ დისკვალიფიციკაციის გამო **სირილ ჟონშამი, მარკო ესტრადა, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ-ფანა** და **ბენჟამენ სტამბული** აკლია, ხოლო გუნდის ორი ლიდერი, **იუნეს ბელჰანდა** და **აბდელჰამიდ ელ კაუტარი** მაროკოს ნაკრებში გამოიძახეს.

აქვე დავამატოთ, რომ ზოგადად, როდესაც "მარსელი"-"მონპელიეს" მატჩზე არის საუბარი, შეუძლებელია ადამიანს ამ გუნდების ლეგენდარული მატჩი არ გაგახსენდეს, რომელიც 1998 წელს გაიმართა. მაშინ, "ველოდრომზე", პირველი ტაიმის შემდეგ "მონპელიე" 4:0-ს იგებდა, საბოლოოდ კი შეხვედრა "მარსელმა" 5:4 მოიგო.

ტური კვირას "შაბან დალმაზე" ბორდოს" და "პარი სენ ჟერმენის" მატჩით დასრულდება. სტუმრებს **ტიაგო სილვა** არ ეყოლებათ, რომელმაც ტრავმა მიიღო და ლაზარეთში დაახლოებით 3 კვირით გადაინაცვლა. დისკვალიფიცირებულია **ტიაგო მოტა**, რომელიც წინა ტურში გააძევეს. აფრიკის თასზე სათამაშოდ **მოჰამედ სისოკო** და **სიაკა ტიენე** გაემგზავრნენ, ხოლო **ნენე** და **გიომ ოარო** გუნდიდან წავიდნენ.

"ბორდოს" ერთადერთი დანაკლისი **შეიკ დიაბატეა**, ვინც მალის ნაკრებში არის გამოძახებული. "ჟირონდელებს" 7-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ, თუმცა ამ 7 მატჩიდან "ბორდომ" 6 ფრედ ითამაშა და მხოლოდ წინა ტურიდან მოიგო. დიდი ხნის წინ წააგო პსჟ-მაც, რომელსაც მარცხის გემო უკვე 5 შეხვედრაა არ უგრძვნია, მაგრამ მეტოქისგან განსხვავებით, სწორედ ბოლო ტური აღმოჩნდა ყველაზე წარუმატებელი, როდესაც პარიზელებმა სახლში "აიაჩოს" ვერ მოუგეს (0:0).

საინტერესოა, რომ ამ გუნდების ბოლო 5 მატჩიდან 2 "ბორდომ" მოიგო, 3 კი ფრედ დასრულდა, ხოლო ბორდოში პარიზელებმა ბოლოს 2005 წელს მოიგეს და საერთოდ, 1989 წლიდან მოყოლებული, "ბორდომ" საკუთარ მოედანზე პსჟ-ს 22-ჯერ უმასპინძლა, აქედან 14-ჯერ გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, 7 შეხვედრა ფრედ დასრულდა, "პარი სენ ჟერმენმა" კი მხოლოდ ერთხელ, სწორედ 2005 წელს, იმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● იტალია. სერია A. XXI ტურის წინ

# ძველი მეტოქეები და ოლიმპიკო

## არც ტოსკანური დაპირისპირება უნდა იყოს ურიგო

**დღეს**

**პალერმო–ლაციო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბარეტო (პალერმო).

**ტრავმა:** ერნანდესი, მანტოვანი, ბრიენცა - კლოზე, ედერსონი, გონსალესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+0=1-5 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +7=4-7, (28-28)

**იუვენტუსი–უდინეზე 23.45**

**ტრავმა:** მარკიზიო, კიელინი, პეპე, ბენდტნერი, პირლო - ბრკიჩი, ფაბრინი, ბენეტია, ბადუ.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 35 თამაში: +23=5-7, (59-28)

**ხვალ**

**ფიორენტინა–ნაპოლი 15.30**

**ტრავმა:** როსი, აგაცი - ცუნიგა.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 23 თამაში: +10=6-7, (38-24)

**მილანი–ბოლონია 18.00**

**ტრავმა:** დიდაკ ვილა, დე იონგი, იეპესი, ამბროზინი - ხიმენესი, ნატალი, ტაიდერი, აკვაფრესკა.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 27 თამაში: +16=6-5, (48-25)

**ატალანტა–კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კარმონა, რაიმონდი - კოსუ.

**ტრავმა:** კაპელი, ბელინი, მარილუნგო, ლუკინი - არიაუდო, ერიკსონი, ნენე.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +1=0-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 21 თამაში: +8=6-7, (33-34)

**კიევო–პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ცეზარი (კიევო).

**ტრავმა:** ფრეი, გუანა, დრამე - გალოპა.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 19 თამაში: +5=6-8, (14-23)

**ჯენოა–კატანია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პიზანო, სეიმური - ლოდი, ლეგროტალიე.

**ტრავმა:** ფერონეტი, იანკოვიჩი, ვარგასი - შაკა, ალმირონი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +6=3-9, (21-23)

**პესკარა–ტორინო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბიანკი (ტორინო).

**ტრავმა:** კოსიჩი - დიოპი, სანტანა, ოგბონა.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +7=1-9, (19-25)

**სიენა–სამპდორია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო, ტერცი (სიენა).

**ტრავმა:** პოცი, მაქსი ლოპესი, მარესკა, ხუან ანტონიო (სამპდორია).

**ბოლო 6 მატჩი**

+0=0-6 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +4=9-9, (17-30)

**რომა–ინტერი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი (რომა).

**ტრავმა:** ოსვალდო, სტეკელენბურგი, რომანიოლი - სტანკოვიჩი, კასტელაცი, ნაგატომო, ალვარესი, სამუელი, მილიტო, კასანო, კოუტინიო.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 54 თამაში: +14=16-24, (79-95)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 20 | 14 | 3 | 3 | 41-14 | 45 |
| 2. ნაპოლი | 20 | 13 | 3 | 4 | 40-18 | 42 |
| 3. ლაციო | 20 | 13 | 3 | 4 | 29-18 | 42 |
| 4. ინტერი | 20 | 12 | 2 | 6 | 32-22 | 38 |
| 5. ფიორენტინა | 20 | 10 | 5 | 5 | 37-24 | 35 |
| 6. რომა | 20 | 10 | 2 | 8 | 42-34 | 32 |
| 7. მილანი | 20 | 9 | 4 | 7 | 36-27 | 31 |
| 8. უდინეზე | 20 | 7 | 9 | 4 | 32-27 | 30 |
| 9. პარმა | 20 | 8 | 6 | 6 | 28-26 | 30 |
| 10. კატანია | 20 | 8 | 5 | 7 | 27-27 | 29 |
| 11. კიევო | 20 | 7 | 3 | 10 | 21-33 | 24 |
| 12. ტორინო | 20 | 5 | 9 | 6 | 23-24 | 23 |
| 13. ატალანტა | 20 | 7 | 3 | 10 | 18-30 | 22 |
| 14. ბოლონია | 20 | 6 | 3 | 11 | 25-26 | 21 |
| 15. სამპდორია | 20 | 6 | 4 | 10 | 22-28 | 21 |
| 16. პესკარა | 20 | 6 | 2 | 12 | 17-37 | 20 |
| 17. კალიარი | 20 | 5 | 4 | 11 | 19-36 | 19 |
| 18. ჯენოა | 20 | 4 | 5 | 11 | 21-31 | 17 |
| 19. პალერმო | 20 | 3 | 6 | 11 | 16-32 | 15 |
| 20. სიენა | 20 | 4 | 5 | 11 | 19-31 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2 , სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:**

16 - კავანი (ნაპოლი); 14 – ელ შაარავი (მილანი), დი ნატალე (უდინეზე); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), ოსვალდო (რომა); 8 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია).

**XXI ტურის ცენტრალური მატჩი "სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართება, სადაც "რომა" "ინტერს" უმასპინძლებს. ცხრილის ზედა ნაწილში მყოფ გუნდებს პრინციპულესი ჯახი ელით, რადგან ჩემპიონატმა ეკვატორი გადალახა, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და თითოეულ ქულას ოქროს ფასი ადევს.**



### ინტერი, კასანოს და მილიტოს გარეშე

მოახლოებულ ჯახს ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს... მოგების შემთხვევაში, მილანელთა ორბიტაზე ისევ გამოჩნდება სკუდეტო, რომაელთა წარმატება კი "ჯალოროსის" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში დააბრუნებს. მოკლედ, სასწორზე ბევრი რამე დევს, მით უმეტეს, ერთმანეთის პირისპირ პრინციპული მეტოქეები წარდგებიან. გახსოვთ ალბათ, ახლო წარსულში, რამდენიმე წლის განმავლობაში სკუდეტოსაც და იტალიის თასსაც სწორედ ეს ორი გუნდი იყოფდა და ინაწილებდა.

"ინტერს" სერიოზული დანაკლისი აქვს და **ანდრეა სტრამაჩონი** მეტად რთულ მდგომარეობაშია. შუა და უკანა ხაზელებს რომ თავი დავანებოთ, მილანელებს თავდასხმაშიც უჭირთ. ხუმრობა საქმე ხომ არაა, "ნერაძურის" **ანტონიო კასანოსა** და **დიეგო მილიტოს** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ძირითად შემადგენლობაში **როდრიგო პალასიო** და **ტომაზო როკი** გაირჯებიან. ამ მხრივ, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა რომაელთა ბანაკში, სადაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიდან მხოლოდ **პაბლო ოსვალდოა** დაშავებული. სამაგიეროდ, სრულ მზადყოფნაში არიან **მატია დესტრო, ერიკ ლამელა** და **ფრანჩესკო ტოტი.** შუა კვირაში, ორივე გუნდმა 120-წუთიანი სათასო ბატალიები გამოიარა და ორივემ გააღწია ნახევარფინალში. ისიც ვთქვათ, რომ ანდრეა სტრამაჩონისგან განსხვავებით, თასზე **ზდენეკ ზემანმა** რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა, თუნდაც ფრანჩესკო ტოტი და ერიკ ლამელლა. გუნდების ფიზიკურმა მომზადებამ შესაძლოა გადამწყვეტი როლიც კი ითამაშოს რომაულ დაპირისპირებაში.

სავარაუდო შემადგენლობები

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა - პირისი, მარკინიოსი, კასტანი, ბალცარეტი - დე როსი, პიანიჩი, ფლორენცი - ლამელლა, ტოტი, დესტროყ.

**ინტერი (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი - რანოკია, ჟუან ჟესუსი, კივუ - ძანეტი, გარგანო, კამბიასო, პერეირა - გუარინი - როკი, პალასიო.

### ლიდერები დღეს...

სატურნირო ცხრილში დაწინაურებული გუნდები თავიანთ შეხვედრებს დღეს გამართავენ: "იუვენტუსი" "უდინეზეს" უმასპინძლებს, "ლაციო" კი "პალერმოს" ესტუმრება.

ჯერ "იუვეზე" ვთქვათ, რომელიც აგერ უკვე ორი თამაშია მოგებას ვერ ახერხებს და ბევრი კრიზისზეც კი ალაპარაკდა. **ანტონიო კონტე ანდრეა პირლოს** მოისაკლისებს და ეს რა თქმა უნდა, უდიდესი დანაკლისია. მით უმეტეს, ტურინულ გრანდს **კლაუდიო მარკიზიოც** დაშავებული ჰყავს, ნახევარდაცვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი. პირლოს და მარკიზიოს ადგილს **ლუკა მარონე** და **პოლ პოგბა** დაიკავებენ. მარცხენა ფრთაზე აფრიკაში გამგზავრებულ **კვადვო ასამოას პაოლო დე ჩელიე** შეცვლის და გამოდის, რომ "იუვეს" შუა ხაზი ოპტიმალურისგან ძალიან შორსაა, ალბათ სწორედ აქედანაც მოდის ეს ჩავარდნა და საინტერესოა, როგორ ითამაშებს შესუსტებული "ვეკია სენიორა" ფერზე მოსული "უდინეზეს" წინააღმდეგ.

რთული მატჩი ელის "ლაციოს", რომელიც "პალერმოს" სტუმრობს. ამბობენ, რომ **ჯანპიერო გასპერინისთვის** ეს ბოლო შანსია და თუ სიცილიელებმა ვერ მოიგეს, მწვრთნელს პოსტის დატოვება მოუწევს. მოკლედ, კუნძულელები თავს არ დაზოგავენ და "ბიანკოჩელესტეს" წესით დიდი ჯაფა უნდა დაადგეს. მით უმეტეს, რომაელებს **მიროსლავ კლოზე** ჰყავთ ტრავმირებული. გერმანელი ფორვარდის ადგილს **სერჯო ფლოკარი** დაიკავებს, რომელმაც წინა ტურში "ლაციოს" სამი ქულა მოუტანა.

### ფლორენციაშიც დიდი ამბებია

კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მატჩი ფლორენციაში შედგება, სადაც "ფიორენტინა" "ნაპოლის" უმასპინძლებს. აღარ მოვყვებით იმის ახსნას თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ჯახი ორივე გუნდისთვის, რადგან სატურნირო ცხრილში ეს ისედაც ნათლად ჩანს.

ნეაპოლელებს **კამილო ცუნიგა** ჰყავთ ტრავმირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით **პაბლო არმერო** ძირითად შემადგენლობაში იქნება. **მარეკ ჰამშიკი, გორან პანდევი** და **ედინსონ კავანი** ჯანზე არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ "ნაპოლი" შეტევაში მთელი თავისი არსენალით გადავა. დაახლოებით იგივე ვითარებაა ფლორენციელთა ბანაკშიც, შეტევის წინა ხაზზე კი **სტევან იოვეტიჩი** და **ლუკა ტონი** მოიაზრებიან. "ვიოლასთვის" 2013 წელი საშინლად დაიწყო - სერია A-ში ორ მარცხს, თასიდან გამოვარდნა დაემატა და იქნებ აქ მაინც გატყდეს ნავსი...

**ლაშა ნიკლაური**

● იუვენტუსი

# კიელინი ერთ თვეში დაბრუნდება



ჯორჯო კიელინი

**ჯორჯო კიელინის** დაშავება "იუვენტუსის" თამაშზე აშკარად უარყოფითად აისახა. ასეთი დასკვნა მხოლოდ შედეგებზე არაა დაფუძნებული, ტურინულ გრანდს სწორედ დაცვაში გაუჭირდა და განსაკუთრებით მარცხენა ფრთაზე, სადაც ხან **ფედერიკო პელუზო** ირჯება და ხანაც **მარტინ კასერესი**, რომელიც მარჯვნივ თამაშსაა მიჩვეული. მოკლედ, ტურინელები ჯორჯოს დაბრუნებას მოუთმენლად ელიან და თუ როდის დადგება ეს ბედნიერი დღე, ამაზე თავად 28 წლის უკანახაზელი იტყვის:

*"სარეაბილიტაციო პერიოდი შესანიშნავად მიდის და თუ ასე გაგრძელდა, მოედანს დაგეგმილზე ადრე დავუბრუნდები. წინასწარი პროგნოზით, ვარჯიში მარტის პირველ რიცხვებში უნდა დამეწყო, მაგრამ დღეს სხვა მდგომარეობაა. როგორც მითხრეს, ერთ თვეში გამოვჯანმრთელდები და ვარჯიშსაც შევუდგები. იმედია, ეს ასეც იქნება, რადგან გუნდისთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში თამაშების ტრიბუნიდან ყურება მეტად რთული ასატანია".*

**ლაშა ნიკლაური**

● საუთჰემპტონი



მაურისიო პოჩეტინო

# პოჩეტინო ედკინსის ნაცვლად

„საუთჰემპტონის" ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა 47 წლის მწვრთნელი **ნაიჯელ ედკინსი.** როგორც ინგლისური პრესა წერს, ედკინსის განთავისუფლების მიზეზი ნაკლებად ეხება „წმინდანების" თამაშს, მწვრთნელს სატრანსფერო ბაზარზე მუშაობის უგულებელყოფა დაუწუნეს. თორემ „საუთჰემპტონი" ბოლო დროს კარგად თამაშობს, პრემიერლიგაში მე-15 ადგილზეა და ბოლო 12 თამაშში მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. ახლახან, ედკინსის ხელმძღვანელობით ბოლო მატჩში „საუთჰემპტონმა" „ჩელსის" „სტემფორდ ბრიჯზე" ამოუქაჩა 0:2.

*„გადაწყვეტილება მივიღეთ „საუთჰემპტონის" მომავალი პერსპექტივისთვის. ჩვენ მადლიერნი ვართ იმისთვის, რაც ორი წლის განმავლობაში ნაიჯელ ედკინსმა გუნდისთვის გააკეთა, მაგრამ შორეული პერსპექტივისთვის ცვლილება უბრალოდ აუცილებელი იყო",* - განაცხადა კლუბის თავმჯდომარე **ნიკოლა კორტესემ.**

ედკინსის ნაცვლად 40 წლის არგენტინელი **მაურისიო პოჩეტინო** დაინიშნა, რომელიც სეზონის საწყის ეტაპზე „ესპანიოლიდან" გაუშვეს: *„მაურისიო ახალგაზრდა, კარგი ტაქტიკოსი და ფეხბურთელებთან ბრწყინვალედ მომუშავე მწვრთნელია".*

პოჩეტინოს ფეხბურთელობისას „ნიუელს ოლდ ბოისში", „ესპანიოლში", „პარი სენ-ჟერმენში" და „ბორდოში" უთამაშია. ცენტრალურმა მცველმა 20-ჯერ მოირგო არგენტინის ნაკრების ფორმა და 2 გოლიც გაიტანა. მან 2006 წელს კარიერა „ესპანიოლში" დაასრულა და 3 წლის მერე 37 წლის ასაკში, ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა. პოჩეტინოს დებიუტი „საუთჰემპტონში" კვირას, „ევერტონთან" საშინაო მატჩში გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კოპა დელ რეი. 1/4 ფინალი. I მატჩი



ტიბო კურტუას სასწაულებრივმა რეაქციამ ხორხე მოლინა სახტად დატოვა

# ტიბო საუკეთესო

**ატლეტიკო-ბეტისი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფალკაო (11), 2:0 ფილიპე ლუიში (23)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი (70. კატა დიასი), მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - რაულ გარსია, მ. სუარესი, გაბი, არდა თურანი (82. კ. როდრიგესი) - ფალკაო, დ. კოშტა (72. კოკე).

**ბეტისი (4-2-3-1):** კასტრო - ჩიკა, პაულაუ, პერკისი (29. დორადო), ნაჩო - ბენიატი, რ. პერესი (78. ნონო) - კემპბელი, ედერი (64. კანიასი), რ. კასტრო - მოლინა.

**ესპანეთში დასრულდა პირველი მეოთხედფინალური მატჩები. ერთის თქმა შეგვიძლია - არც ერთ წყვილში არ არის გამოვლენილი ნახევარფინალისტის ვინაობა, თუმცა მადრიდულმა კლუბებმა სერიოზული ჰანდიკაპი მიიღეს. საპასუხო მატჩები 23 და 24 იანვარს გაიმართება.**

## ატლეტიკომ ჰანდიკაპი დაიბევა

„ატლეტიკო“ „ბეტისთან“ მატჩში **რადამელ ფალკაოს** თავურით დაწინაურდა, მერე კი ბრაზილიელმა მცველმა **ფილიპე ლუიშმა** 2:0 გახადა. აღსანიშნავია, რომ ორივე ეპიზოდში დიდი წვლილი კიდევ ერთ ბრაზილიელს **დიეგო კოშტას** მიუძღვის, რომელმაც ჯერ მარჯვენა, მეორე ეპიზოდში კი მარცხენა ფლანგზე თავბრუ დაახვია ანდალუსიელ მცველებს.

30-ე წუთზე ერთ ეპიზოდში 4-ჯერ (!) გადარჩა სასწაულებრივ მასპინძელთა კარი: ორჯერ **ტიბო კურტუა** გადაელობა ბურთს, ორჯერ კი მცველები. თამაშს ესპანეთის ეროვნული ნაკრების თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე** ესწრებოდა, რომელიც **ბენიატისა** და **რუბენ კასტროს** თამაშს აკვირდებოდა.

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): *„ბეტისი“ ძალიან კარგი გუნდია, დინამიკური და სწრაფი. პირველი ტაიმი ისე ვითამაშეთ, როგორც მსურდა - ძალიან კარგად გამოვიყურებოდით. შედეგი კარგია, მაგრამ არა გადამწყვეტი. დიეგო კოშტა გუნდისთვის ძალიან საჭირო ფეხბურთელია, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს შემადგენლობა შევინარჩუნო“.*

**პეპე მელი** (ბეტისი): *„ატლეტიკო“ ჩვენზე უკეთ 25 წუთის განმავლობაში თამაშობდა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი ტიბო კურტუაა. საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე. ის, რომ თამაში 2:0 დასრულდა „ატლეტიკოს“ სასარგებლოდ პირადად მისი დამსახურებაა“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● მუნდიალი 2014

# პორტუგალიამ საქართველოს არ მიჰბაძა

## ისრაელს მატჩის გადატანაზე უარი შეუთვალა

პორტუგალიის ნაკრების ხელმძღვანელობამ უარი შეუთვალა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩის გადატანას ითხოვდა. თამაში 22 მარტს უნდა გაიმართოს, თუმცა ებრაელები თარიღის შეცვლას ითხოვდნენ. **პაულუ ბენტუმ**, პორტუგალიის ნაკრების ხელმძღვანელმა უარი მისი გუნდის მზადების შემჭიდროვებული გრაფიკით ახსნა.

ასე რომ, თამაში 22 მარტს გაიმართება. ახლა ებრაელები იძულებულნი არიან თამაში 15 საათზე გვიან არ დაიწყონ, რადგან მატჩის დასრულება პირველი ვარსკვლავის გამოჩენამდე უნდა მოესწროს. პარასკევ საღამოს პირველი ვარსკვლავის გამოჩენა ებრაული შაბათის დაწყებას ნიშნავს, რომლის დროსაც მუშაობა (თამაშიც) აკრძალულია. თამაში რამათ-განის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, სრული დასწრება (42 ათასი მაყურებელი) გარანტირებულია.

სხვათა შორის, ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა, წინა ციკლის დროს - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ებრაულმა მხარემ ქართულს თამაშის გადადება სთხოვა და თანხმობაც მიიღო. შედეგად, ისრაელი-საქართველო ხორვატებთან გამარჯვების მესამე დღეს გაიმართა და **თემურ ქეცბაიას** გადაღლილი გუნდი 0:1 დამარცხდა და ჯგუფში დაღმასვლაც დაეწყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● 20-წლამდელთა კოპა ამერიკა. I ჯგუფური ეტაპი. V ტური.

# სასწაული არ მოხდა

## ტურნირის მასპინძელი ჯგუფში ჩარჩა

**A ჯგუფი**

**პარაგვაი-ბოლივია 5:1**

**გოლები:** 1:0 გ. გომესი (9), 2:0 დერლის გონსალესი (32), 2:1 რ. ვარგასი (57), 3:1 მ. პერესი (63), 4:1 მ. პერესი (65), 5:1 ხ. როხასი (69).

**არგენტინა-კოლუმბია 3:2**

**გოლები:** 1:0 ა. რუისი (14-პენ), 2:0 იტურბე (47), 2:1 ბ. პერეა (51), 3:1 ალიონე (70), 3:2 ხ. კინტერო (75).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩილე | 4 | 4 | 0 | 0 | 8-3 | 12 |
| 2. კოლუმბია | 4 | 2 | 0 | 2 | 10-5 | 6 |
| 3. პარაგვაი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-6 | 6 |
| 4. არგენტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 5. ბოლივია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-15 | 1 |

**ბომბარდირები:** 3 – მ. ბორხა (კოლუმბია), ჯ. კორდობა (კოლუმბია), ნ. ლოპესი (ურუგვაი), დერლის გონსალესი (პარაგვაი).

**როგორც** მოსალოდნელი იყო, არგენტინის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა და მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა. ყველაფერი ჯერ კიდევ პირველ შეხვედრაში გადაწყდა, რომელშიც პარაგვაიმ ბოლივია გაანადგურა და “ალბისელესტესთვის” მიუწვდომელი გახდა. მორიგი გოლი გაიტანა “ბენფიკელმა” **დერლის გონსალესმა**, ვისაც უკვე სამი გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით ბომბარდირთა დავის ერთ-ერთი ლიდერია. საბოლოოდ, პარაგვაი ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა და ეს გუნდი აგრძელებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლას. ბოლივიის რეალური ძალა კი უკანასკნელ ორ შეხვედრაში გამოჩნდა – ბოლივიელებმა პარაგვაისთან და კოლუმბიასთან 1:11 წააგეს. ამ გუნდმა ერთადერთი ქულა არგენტინის ნაკრებთან აიღო...

ტურნირის მასპინძელმა გამოსვლა მოგებით კი დაასრულა, მაგრამ ეს გამარჯვება არგენტინას არაფერში წაადგა.

**ტატო ბაციკაძე**

● ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტურის წინ

# მეცამეტე დღე...

## რეალი და ვალენსია: თასი-ჩემპიონატი-თასი

**გუშინ**

ესპანიოლი-მალიორკა 3:2

**დღეს**

**გრანადა-ვალეკანო 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** მ. რიკო, ლოპესი (გრა)
**ტრავმა:** მაჩისი, ბენიტესი, ელ-არაბი, ტონიო (?), ფ. რიკო - ლაბაკა, როდრი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 5 თამაში: +0=2-3, (3-6)

**სოსიედადი-ბარსელონა 21:00**

**ტრავმა:** ბერგარა, კადამურო, ბრავო (?) - მუნიესა, რობერტო, კვენკა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +6=0-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 33 თამაში: +4=8-21, (25-71)

**ხეტაფე-სევილია 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** მიჩელი, ტორესი (ხეტ)
**ტრავმა:** ლეონი, მანე, ლაფიტა, ბარადა, ლასენი - ტროხოვსკი, რაბელიო, ერვასი, კამპანია

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +9=4-9, (24-28)

**მალაგა-სელტა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** გამესი (მალ)
**ტრავმა:** ბაპტიშტა - მალიო, ტუნიესი, ლიორკა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +6=5-5, (20-21)

**ხვალ**

**ოსასუნა-დეპორტივო 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** აგილარი (დეპ)
**ტრავმა:** ანანი, სისი, ტორესი, ლამა, რიესგო, მასუდი, ომვუ - ლაურე, აიოსე, რიკი (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 30 თამაში: +8=9-13, (33-42)

**ვალიადოლიდი-სარაგოსა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** რუედა - ალვარო, მოვილია
**ტრავმა:** მანუჩო, პერესი - პინტერი, ობრადოვიჩი, რომარიკი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +8=10-7, (27-23)

**ატლეტიკო-ლევანტე 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** იბორა (ლევ)
**ტრავმა:** უელასტი - ბარკერო

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +9=3-5, (25-18)

**ვალენსია-რეალი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ს. რამოსი (რეალ)
**ტრავმა:** გაგო (?), ფეგული, მატიო, კანალესი (?), პარეხო - პეპე, ჩაბი ალონსო (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 42 თამაში: +10=8-24, (52-79)

**ზეგ**

**ბეტისი-ბილბაო 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** ლაპორტე (ბილ)
**ტრავმა:** პოსუელო, კარლოსი, დორადო, კანიასი (?), მარტინესი, იგიებორი - კასტილიო, ლოპესი, პერესი, გალარეტა, აურტენეჩე

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +2=0-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 33 თამაში: +12=13-8, (39-33)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 18 | 1 | 0 | 64-20 | 55 |
| 2. ატლეტიკო | 19 | 14 | 2 | 3 | 40-18 | 44 |
| 3. რეალი | 19 | 11 | 4 | 4 | 45-20 | 37 |
| 4. ბეტისი | 19 | 11 | 1 | 7 | 30-29 | 34 |
| 5. მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 29-16 | 31 |
| 6. ვალეკანო | 19 | 10 | 1 | 8 | 27-34 | 31 |
| 7. ვალენსია | 19 | 9 | 3 | 7 | 27-27 | 30 |
| 8. ლევანტე | 19 | 9 | 3 | 7 | 24-27 | 30 |
| 9. სოსიედადი | 19 | 7 | 5 | 7 | 28-25 | 26 |
| 10. ვალიადოლიდი | 19 | 7 | 4 | 8 | 27-25 | 25 |
| 11. ხეტაფე | 19 | 7 | 4 | 8 | 24-30 | 25 |
| 12. სევილია | 19 | 6 | 4 | 9 | 23-28 | 22 |
| 13. სარაგოსა | 19 | 7 | 1 | 11 | 21-28 | 22 |
| 14. ესპანიოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 23-32 | 21 |
| 15. ბილბაო | 19 | 6 | 3 | 10 | 23-39 | 21 |
| 16. სელტა | 19 | 5 | 3 | 11 | 19-24 | 18 |
| 17. გრანადა | 19 | 4 | 5 | 10 | 16-29 | 17 |
| 18. მალიორკა | 20 | 4 | 5 | 11 | 20-36 | 17 |
| 19. დეპორტივო | 19 | 3 | 7 | 9 | 23-40 | 16 |
| 20. ოსასუნა | 19 | 3 | 6 | 10 | 14-20 | 15 |

**ბომბარდირები:** 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი).

**გუშინ, ბარსელონაში ესპანეთის ჩემპიონატის მე-2 წრე დაიწყო. ტურნირის მეორე ნახევარს „ბარსელონა“ უზარმაზარი ლიდერობით ხვდება - მეორეადგილოსან „ატლეტიკოს“ 11-ით, ხოლო მესამეადგილოსან „რეალს“ 18 ქულით უსწრებს. ხოსეპ გვარდიოლამ თქვა, არ ვიცი, რამ უნდა შეუშალოს „ბარსას“, რომ ტიტული ვერ მოიპოვოსო, ჩვენც არ ვიცით...**

## სტუმრად ბასკებთან

**ტიტო ვილანოვას** გუნდი დღეს „ანოეტას“ ეწვევა, სადაც „რეალ სოსიედადს“ გაეჯიბრება. ბასკური კლუბი რომ კერკეტი კაკალია, ახლახან, „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ დაამტკიცა, ასე რომ, ლიდერს იოლი გასეირნება არ უნდა ელოდოს.

მასპინძლებს „ბარსელონასთან“ მატჩის წინ, სერიოზული დანაკლისი არა აქვთ. სამივე მცველი (**ესტრადა, მარტინესი, გონსალესი**), რომელმაც წინა ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ბრუნდება.

„ბარსას“ პრობლემა **დავიდ ვილიას** ტრავმაა. მართალია, **მუნიესა და კვენკა** ვარჯიშებს დაუბრუნდნენ, მათ დღეს „ანოეტაზე“ ვერ ვიხილავთ.

* „ბარსელონამ“ ჩემპიონატში ბოლო 12 (!) მატჩი მოიგო, ბურთების შეფარდებით - 14:3.

* „რეალ სოსიედადმა“ 7 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგო.

* ბოლო 9 ურთიერთშეხვედრიდან ბასკებმა „ბარსასთან“ 7 მატჩი წააგეს.

* ბოლო 7 მატჩში **ლიონელ მესიმ** 10 გოლი გაიტანა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალ სოსიედადი:** *ბრავო - ესტრადა, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ილარამენდი, პარდო - ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი - იფრანი.*

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ინიესტა.*

## დუბლი ორი

ხვალ ტურის მშვენებაა - „მესტალიაზე“ „ვალენსია“ და „რეალი“ ბოლო დღეებში მეორედ ხვდებიან ერთმანეთს. წინა დაპირისპირება სათასო იყო, ის „რეალმა“ 2:0 მოიგო, მაგრამ ბევრი კითხვაც გააჩინა. სხვათა შორის, შუა კვირაში მათ მესამე რაუნდიც ელით, ახლა თასის საპასუხო მეოთხედფინალში.

**ჟოზე მოურინიოს** დისკვალიფიკაციის გამო **სერხიო რამოსი** არ ეყოლება, ტრავმის გამო კი - **პეპე**. ასე რომ, დაცვაში „რეალს“ ისევ პრობლემები ელის. „რეალთან“ შეხვედრაში დაიმტვრა **დანიელ პარეხო** და ამ მატჩს ნახევარმცველი დააკლდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია:** *გუაიტა - ბარაგანი, რამი, რ. კოშტა, გუარდადო - გაგო, ტინო კოსტა - ჟონასი, ბანეგა, პიატი - სოლდადო.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, ვარანი, რ. კარვალიო, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვიქტორ ვალდესი ბარსელონასთან კონტრაქტს არ აგრძელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტურის წინ

# საშინაო გამოცდა ტოტენჰემისთვის



29 სექტემბერს „ტოტენჰემმა" მანჩესტერში 3 ქულა ფიცხელ ბრძოლაში მოიპოვა

## დღეს

**ლივერპული–ნორვიჩი 19:00**

**ტრავმა:** ხ. ენრიკე, კელი, ფლენაგანი – უიტეკერი, მორისონი, რადი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 45 თამაში: +23=12-10 (83-42)

**სიტი–ფულჰემი 19:00**

**ტრავმა:** მაიკონი, რიჩარდსი, როდუელი – ფრეი, სიდუელი, ეტერიჯი, ს. დევისი, მ. დიარა

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 42 თამაში: +21=11-10 (87-61)

**ნიუკასლი–რედინგი 19:00**

**ტრავმა:** გოსლინგი, ბენ არფა, რ. ტეილორი, ვუკჩიჩი – რობერტსი, მაკარტი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 7 თამაში: +4=1-2 (14-8)

**სუონსი–სტოკი 19:00**

**ტრავმა:** ნ. ტეილორი – უილსონი, დელაპი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 9 თამაში: +5=1-3 (13-12)

**ვესტ ჰემი–ქუინზ პარკი 19:00**

**ტრავმა:** მაკარტნი – გრანერო, ტრაორე, ბოსინგვა, ე. ჯონსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 35 თამაში: +11=14-10 (41-47)

**უიგანი–სანდერლენდი 19:00**

**ტრავმა:** კრუსატი, ალკარასი, რამისი, პისკუ, უოტსონი, მიაიჩი – კუელიარი, როუზი, ბრაუნი, კატერმოული

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +7=6-5 (21-19)

**ვესტ ბრომვიჩი–ასტონ ვილა 21:30**

**ტრავმა:** ფორჩუნი, გერა, იაკობი, რიდი – გივენი, ოლბრაიტონი, ჰერდი, დანი, ბენტი, გარდნერი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 105 თამაში: +35=25-45 (140-154)

## ხვალ

**ჩელსი–არსენალი 17:30**

**ტრავმა:** ბენაიუნი, რომეუ - ფაბიანსკი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 156 თამაში: +49=46-61 (200-224)

**ტოტენჰემი–იუნაიტედი 20:00**

**ტრავმა:** გალასი, კაბული -

**ბოლო 6 მატჩი**

+4=2-0 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 147 თამაში: +33=36-78 (179-251)

## ზეგ

**საუთჰემპტონი–ევერტონი 00:00**

**ტრავმა:** ლალანა, ფონტე – ჰეიტინგა, მირალიაში, ჰიბერტი, გიბსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 71 თამაში: +20=15-36 (80-127)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 22 | 18 | 1 | 3 | 56-29 | 55 |
| 2. სიტი | 22 | 14 | 6 | 2 | 43-19 | 48 |
| 3. ჩელსი | 21 | 12 | 5 | 4 | 43-19 | 41 |
| 4. ტოტენჰემი | 22 | 12 | 4 | 6 | 39-27 | 40 |
| 5. ევერტონი | 22 | 9 | 10 | 3 | 35-26 | 37 |
| 6. არსენალი | 21 | 9 | 7 | 5 | 40-24 | 34 |
| 7. ვესტ ბრომვ. | 22 | 10 | 3 | 9 | 31-30 | 33 |
| 8. ლივერპული | 22 | 8 | 7 | 7 | 35-28 | 31 |
| 9. სუონსი | 22 | 7 | 9 | 6 | 31-26 | 30 |
| 10. სტოკ სიტი | 22 | 6 | 11 | 5 | 21-24 | 29 |
| 11. ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 24-27 | 26 |
| 12. ნორვიჩი | 22 | 6 | 8 | 8 | 24-34 | 26 |
| 13. ფულჰემი | 22 | 6 | 7 | 9 | 33-38 | 25 |
| 14. სანდერლენდი | 22 | 6 | 7 | 9 | 24-29 | 25 |
| 15. საუთჰემპტონი | 21 | 5 | 6 | 10 | 28-38 | 21 |
| 16. ნიუკასლი | 22 | 5 | 6 | 11 | 27-39 | 21 |
| 17. უიგანი | 22 | 5 | 4 | 13 | 23-40 | 19 |
| 18. ასტონ ვილა | 22 | 4 | 7 | 11 | 17-42 | 19 |
| 19. რედინგი | 22 | 3 | 7 | 12 | 26-42 | 16 |
| 20. ქუინზ პარკი | 22 | 2 | 8 | 12 | 17-36 | 14 |

ბომბარდირები: 17 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 15 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი), 13 - მიგელ მიჩუ (სუონსი)

**შუა კვირაში სათასო დაპირისპირებების შემდეგ პრემიერლიგელები უმთავრეს ასპარეზს უბრუნდებიან. წინა ტურისა არ იყოს, ცენტრალური შეხვედრები ამჯერადაც კვირას გაიმართება.**

## სუარესი და სტარიჯი ერთად

"ლივერპულის" გულშემატკივრები ელიან, რომ პირველივე წუთებიდან მიეცემათ **ლუის სუარესისა და დენიელ სტარიჯის** ხილვის საშუალება. ურუგვაელს "იადონების" აწიოკება განსაკუთრებულად ეხერხება. მან ბოლო ორ შეხვედრაში ამ გუნდს 6 გოლი გაუტანა. თავდასხმაში ძლიერი მეწყვილე კი მას წარმატების მეტ შანსს აძლევს. ამას დავუმატოთ, რომ მერსისაიდელები ბოლო შეხვედრებს შინ ძალიან ძლიერად ატარებენ, "ნორვიჩს" კი 5 თამაშია, მოგება არ ღირსებია. ყოველივე ამის დამსახურებაა, რომ ევროპელი ბუკმეიკერები მასპინძლებს მოგებაზე ძალიან დაბალ ფსონს აძლევენ. ჩვენი პროგნოზიც ანალოგიურია, **ბრენდან როჯერსის** გუნდმა უნდა მოიგოს და დიდი ალბათობით ფორით.

## კომპანი და კომპანია

"მანჩესტერ სიტიმ" ბოლო შეხვედრებში უმთავრესი პრობლემები მოაგვარა, 3 თამაშია, გოლს აღარ უშვებს და შედეგიანობაც გამოასწორა. რა შანსი შეიძლება ჰქონდეს ამ დროს "ეტიჰადზე" გუნდს, რომელსაც ჩემპიონატში მოგების სიხარული დავიწყებული აქვს? ჩვენი პასუხია: მიზერული. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ დედაქალაქელებს ასოციაციის თასზე "ბლექპულთან" დამატებითი დრო დასჭირდათ მოსაგებად. "ქალაქელებს" კაპიტანი **ვენსან კომპანი** ეყოლებათ. ინგლისური ფეხბურთის მამებმა წინა ტურში 25 წლის ბელგიელის მიერ მიღებული წითელი ბარათი გააუქმეს.

## გამოტირებულის დაბრუნება

**ბრაიან მაკდერმოტის** "რედინგმა" სეზონი ისე დაიწყო, რომ ის მისმა ფანებმაც კი წინასწარ გამოიგლოვეს და ფეხბურთელებმა ხელი ჩაიქნიეს, ამ დონეზე სათამაშოდ მზად არ ვართო. თუმცა ბოლო 4 შეხვედრაში "არისტოკრატებმა" 7 ქულა მოიპოვეს და საოცნებო მე-17 ადგილს, რომელიც ლიგაში დარჩენის უფლებას იძლევა, უკვე 3 ქულითღა ჩამორჩებიან. "რედინგმა" წინა ტურში სულაც სენსაცია შემოგვთავაზა, როცა 8 წუთში "ვესტ ბრომვიჩის" ორბურთიანი უპირატესობა გააბათილა და მერე მოიგო კიდეც. "ნიუკასლის" თამაშის პროგნოზი კი უკვე "სენტ ჯეიმს პარკზეც" შეუძლებელი გახდა. "კაჭკაჭებმა" **დემბა ბა** გაყიდეს, კაპიტანი **ფაბრისიო კოლოჩინი** ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს. ერთი სიტყვით ჩრდილოელთა ბანაკში დიდი არეულობაა. ჩვენ მაინც გავრისკავთ და ვიტყვით, რომ ჯორდებს შეუძლიათ ამ თამაშის მოგება.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ "სუონსი"-"სტოკის" შეხვედრა დღეს ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელია. ამ ეტაპზე არც "გედები" და არც "მეთიხეები" არ მიიჩნევიან ევროტურნირების საგზურის პრეტენდენტებად, მაგრამ მსგავსი პრეტენზია შეიძლება ორივეს გაუჩნდეს. ამისთვის მათ ბოლომდე მობილიზება სჭირდებათ. ჩვენი აზრით, წინა ტურში შერცხვენილ სტუმრებს "ლიბერთი სტედიუმზე" ქულის აღების შანსი თუ ექნებათ. ორივე გუნდზე უნდა აისახოს ის, რომ მათ შუა კვირაში მძიმე სათასო შეხვედრები ჰქონდათ.

თასზე ითამაშა მომდევნო წყვილმაც: "ქუინზ პარკმა" "ვესტ ბრომვიჩს" სტუმრად სძლია, "ვესტ ჰემმა" კი "ოლდ ტრეფორდზე" მინიმალური ანგარიშით დათმო. „რეინჯერებს" ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი აქვთ, ელიტაში დარჩენის იმედი შეინარჩუნონ. ამ ბრძოლაში ახალწვეულ **ლოიკ რემის** სერიოზული როლის თამაში შეუძლია. "ჩაქუჩებს" კი შინ რეაბილიტაცია მართებთ. ჩვენი პროგნოზით, **სემ ელერდაისის** გუნდს წარმატების მეტი შანსი აქვს.

"უიგანს" სათადარიგოთა სკამი პრემიერლიგელისთვის ისედაც უჩვეულოდ მოკლე აქვს. **რობერტო მარტინესმა** სეზონის დაწყების შემდეგ ყველაზე ცოტა, 21 ფეხბურთელი გამოიყენა და აქედან მინიმუმ ოთხის თამაში დღეს გამორიცხულია. მათ შორის არის წამყვანი ცენტრალური მცველი **ივან რამისი.** ტოტალიზატორების პროგნოზით, მეტი შანსი მასპინძლებს აქვთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ გაუჭირდებათ ფორმაში შესული "შავი კატების" დამარცხება.

**სტივ კლარკის** "ვესტ ბრომვიჩმა" მიჯრით სამი თამაში დათმო და XXIII ტურში ისეთი მეტოქე ელის, ვისთანაც ამ სერიის შეწყვეტა ამ ეტაპზე ალბათ ყველაზე იოლია. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „ასტონ ვილა" მთელ ჩემპიონატში ყველაზე ცუდ ფორმაშია.

## დერბი, რა დერბი!

ხვალინდელ დღეს დიდი ლონდონური დერბი გახსნის: "ჩელსი" "არსენალს" უმასპინძლებს. დედაქალაქური გუნდები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და ჯერჯერობით უფრო წარმატებით ამას "ლურჯები" აკეთებენ. **რაფა ბენიტესის** დანიშვნის შემდეგ "ჩელსი" სახლში უფრო ცუდად თამაშობს, ვიდრე გასვლაზე. "ჩელსის" "სტემფორდ ბრიჯზე" 3-თამაშიანი მოუგებელი სერია აქვს (თანაც ვისთან? "ქუინზ პარკთან", "სუონსისა" და "საუთჰემპტონთან"), რაც "მეთოფეებისთვის" დიდი შეღავათი არ უნდა იყოს, რადგან მასპინძლებს საბრძოლველად ეს ფაქტორი განსაკუთრებულად უნდა განაწყობდეს. ჩვენი პროგნოზი ცოტა სარისკოა: "არსენალის" მოგება!

## სერი და შურისძიება

და აი, ტურის უმთავრეს შეხვედრასაც მივადექით. პირველ წრეში "დეზებმა" "იუნაიტედი" მოულოდნელად გასვლაზე 3:2 დაამარცხეს. სწორედ ეს მატჩი გაიხსენა მასპინძელთა 23 წლის უელსელმა ლიდერმა **გარეთ ბეილმა** და განაცხადა, რომ "ოლდ ტრეფორდზე" აღებულმა სამმა ქულამ მათ დიდი სამსახური გაუწია, მისცა მეტი მოტივაცია, გაუმყარა საკუთარი ძალების რწმენა და ჩემპიონატის ფავორიტებთან დაპირისპირებას ახლაც ისე უყურებენ, როგორც საკუთარი თავის კიდევ ერთ გამოცდას. ცხადია, ეს თამაში ახსოვთ "ეშმაკების" ბანაკშიც და ახსოვთ ძალიან მწარედ. მას მერე **ალექს ფერგიუსონის** გუნდს ასე ცუდად აღარ უთამაშია. ჩვენი პროგნოზით "უაით ჰართ ლეინზე" დიდი ბრძოლა გაჩაღდება და სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდება.

დაბოლოს, XXIII ტურს ორშაბათს "საუთჰემპტონი" და "ევერტონი" დაასრულებენ. "წმინდანების" ხელმძღვანელობამ გუშინ მეტად უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, როცა ფეხზე დამდგარ გუნდს მთავარი მწვრთნელი შეუცვალა. **ნაიჯელ ედკინსის** ნაცვლად "ესპანიოლის" ყოფილი თავკაცი **მაურისიო პოჩეტინო** დანიშნა. 40 წლის არგენტინელ სპეციალისტს რთული დებიუტი ელის **დევიდ მოიესის** "ევერტონის" წინააღმდეგ.

### ამბები

## აბრამოვიჩის გასაჭირი



ეტყობა, **რომან აბრამოვიჩი** "ჩელსის" მენეჯმენტის მუშაობით უკმაყოფილოა, რადგან მომდევნო სეზონისთვის მთავარი მწვრთნელის მოძებნას 46 წლის ბიზნესმენი პირადად აპირებს. "სანის" მტკიცებით, რუსი ოლიგარქი ტექნიკური დირექტორის **მაიკლ ემანელოს** რჩევას **რაფა ბენიტესის** დანიშვნის შესახებ იმიტომ დათანხმდა, რომ ესპანელი თავიდანვე დროებით დამრიგებლად მიაჩნდა, იქამდე, ვიდრე **ხოსეპ გვარდიოლას** არ დანიშნავდა. ესპანელმა კი, მოგეხსენებათ, სულ რამდენიმე დღის წინ არჩევანი "ბაიერნზე" გააკეთა, ვისთანაც სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რადგან ყველაზე მეტი პერსპექტივა ეტყობა სწორედ გერმანულ კლუბში დაინახა. რას იზამს აბრამოვიჩი ზაფხულზე? შეკითხვაზე პასუხის გაცემა ამ ეტაპზე რთულია. ვებგვერდების მტკიცებით, ის **ჟოზე მოურინიოს** (რეალი), **იურგენ კლოპისა** (დორტმუნდი) და **დიეგო სიმეონეს** (ატლეტიკო) კანდიდატურებს განიხილავს. იმავე "სანთან" ინტერვიუში "ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი **რეი უილკინსი** აცხადებს, რომ რომან არკადიჩს გაუჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტის დათანხმება, რადგან მათ მიერ გაწეულ სამუშაოს არაფრად აგდებს და დაუფიქრებლად უთითებს კარისკენ.

## გალაქსი-ლამპარდი: არის კონტაქტი



დიახ, კონტაქტი უკვე არის, მაგრამ მხარეებს ჯერ კონტრაქტზე ხელი არ მოუწერიათ. The Evening Standard-ის ინფორმაციით, ისინი ძალიან ახლოს არიან გარიგებასთან. ერთი რამე უკვე 100%-ით გარკვეულია, რომ ფრენკი მიმდინარე სეზონს "ჩელსიში" ჩაამთავრებს. ამერიკული კლუბი მზადაა, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს წელიწადში 4 მილიონი ფუნტი გადაუხადოს, ზუსტად იმდენი, რამდენსაც ის **დევიდ ბექჰემს** უხდიდა. *"არ გამიკვირდება, თუკი მომავალი კვირის ბოლოს ჩვენ უკვე გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მივალთ,"* – განაცხადა "გალაქსის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრიუს არენამ**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტურის წინ

# ბაიერნი და დანარჩენები

## ჰაინკესის საპატიო წრე ფიურტით იწყება



იანვრის ყველაზე საინტერესო ტრანსფერები ბუნდესლიგაში: „ლევერკუზენმა" არკადიუშ მილიკი (ზემოთ მარცხნივ) იყიდა, ივან პერიშიჩი (ზემოთ, მარჯვნივ) „დორტმუნდიდან" „ვოლფსბურგში" გადავიდა, ნური შაჰინი (ქვემოთ, მარცხნივ) „დორტმუნდში" დაბრუნდა, ხოლო იოჰან ჯურუ (ქვემოთ, მარჯვნივ) „ჰანოვერშია"

### გუშინ

შალკე-ჰანოვერი 5:4

### დღეს

**ბაიერნი-ფიურტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** მავრაი (ფიურტი)
**ტრავმა:** ბადშტუბერი - ნდოიე, ჰეფელე, შმიდტგალი, პრიბი, ტირალა, ჯურჯიჩი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=3-0 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +1=0-0, (3:0)

**ლევერკუზენი-აინტრახტი 18:30**

**ტრავმა:** კადლეცი, ბელარაბი - ამედიკი, ანდერსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 55 თამაში: +23=12-20, (91:82)

**ვოლფსბურგი-შტუტგარტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ნალდო, ჟოსუე - ბოკა (აფრიკის თასი), გ. საკაი, იბიშევიჩი
**ტრავმა:** ჰასანი, პილარი, ჰელმესი - ჰუგლანდი, აუდელი, კვისტი, კაკაუ, თორუნი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +4=0-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 31 თამაში: +11=5-15, (43:46)

**ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ) 18:30**

**ტრავმა:** შრიოკი, თესკერი, რუდი, ვუკჩევიჩი, გრეგორიჩი, შიპლოკი - რინგი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=0-6 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 9 თამაში: +5=2-2, (15:12)

**მაინცი-ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** კირხჰოფი - მაკიადი (აფრიკის თასი), როზენტალი
**ტრავმა:** ბუნგერტი, ზაბავნიკი, სოტო, ჩუპო-მოტინგი - გინტერი, პუცილა, ტერაცინო, ფრაისი, სანტინი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 9 თამაში: +5=2-2, (17:7)

**ვერდერი-ბორუსია (დ) 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არნაუტოვიჩი (ვერდერი)
**ტრავმა:** ვოლფი, ბარგფრედე - ოვომოიელა, სუბოტიჩი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 89 თამაში: +39=16-34, (150:130)

### ხვალ

**ნიურნბერგი-ჰამბურგი 18:30**

**ტრავმა:** შტეფანი, მარკოს ანრონიო, ჰლუშეკი - ირაჩეკი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 61 თამაში: +14=15-32, (72:121)

**ფორტუნა-აუგსბურგი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფოგტი, ბონსე (აფრიკის თასი), სიო (სამივე აუგსბურგი)
**ტრავმა:** ბრუნო სუარესი, ლანგენეკე, დური ჩა, გარბუშევსკი, რაფაელი, ვორონინი - ს. ლანგკამპი, რაინჰარდტი, ვერჰეგი, ოტლი, პეტრუელა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +0=3-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +1=0-0, (2:0)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 17 | 13 | 3 | 1 | 44-7 | 42 |
| 2. ლევერკუზენი | 17 | 10 | 3 | 4 | 33-22 | 33 |
| 3. ბორუსია (დ) | 17 | 8 | 6 | 3 | 35-20 | 30 |
| 4. აინტრახტი | 17 | 9 | 3 | 5 | 33-27 | 30 |
| 5. შალკე | 18 | 8 | 4 | 6 | 32-29 | 28 |
| 6. ფრაიბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 24-18 | 26 |
| 7. მაინცი | 17 | 8 | 2 | 7 | 24-21 | 26 |
| 8. ბორუსია (მ) | 17 | 6 | 7 | 4 | 25-26 | 25 |
| 9. შტუტგარტი | 17 | 7 | 4 | 6 | 21-28 | 25 |
| 10. ჰამბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-21 | 24 |
| 11. ჰანოვერი | 18 | 7 | 2 | 9 | 36-36 | 23 |
| 12. ვერდერი | 17 | 6 | 4 | 7 | 28-29 | 22 |
| 13. ფორტუნა | 17 | 5 | 6 | 6 | 20-22 | 21 |
| 14. ნიურნბერგი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-22 | 20 |
| 15. ვოლფსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 17-27 | 19 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 17 | 3 | 3 | 11 | 23-41 | 12 |
| 17. აუგსბურგი | 17 | 1 | 6 | 10 | 12-29 | 9 |
| 18. ფიურტი | 17 | 1 | 6 | 10 | 11-28 | 9 |

**ბომბარდირები:** 12 - კისლინგი (ლევერკუზენი); 11 - ა. მაიერი (აინტრახტი); 10 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 9 - მანჯუკიჩი (ბაიერნი), თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 7 - დოსტი (ვოლფსბურგი), პეტერსენი (ვერდერი).

**ხანგრძლივი მოლოდინს ბოლო გუშინ მოეღო: გერმანიის ჩემპიონატი „შალკესა" და „ჰანოვერის" მატჩით განახლდა. დღეს, მიუნხენში, იუპ ჰაინკესის გამოსათხოვარი ტურნე „ფიურტთან" იოლი შეხვედრით იწყება და წესით, რეკორდმაისტერს სამი ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეს. შაბათის შუადღის შეხვედრების ტოპ-მატჩი ლევერკუზენში გაიმართება, სადაც „ბაიერს" სენსაციური „აინტრახტი" სტუმრობს, საღამოს კი მოქმედი ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" „ვერდერს" ბრემენში სტუმრობს. მეორე წრის პირველი ტური იმითაცაა საინტერესო, რომ ერთდროულად ოთხ მწვრთნელს ექნება დებიუტი.**

### ბაიერნის მარტივი საშინაო დავალება

„ბაიერნი" სეზონის მეორე ნახევარს „ფიურტთან" საშინაო მატჩით იწყებს და ეს იქნება პირველი ოფიციალური მატჩი მას მერე, რაც გაირკვა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ სეზონის ბოლოს **იუპ ჰაინკესი** „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დატოვებს და რეკორდმაისტერს **ხოსეპ გვარდიოლა** ჩაიბარებს. ამრიგად, დღეიდან „დონ იუპის" გამოსათხოვარი ტურნე იწყება და მიუნხენელებს, რომელმაც პირველი წრე იდეალურად ჩაატარეს და მეორეადგილოსან „ლევერკუზენს" 9 ქულით უსწრებენ, პირველ მატჩში ყველაზე იოლი მეტოქე ჰყავთ.

„ბაიერნს" ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი და ყველაზე ნაკლები გაუშვა. **ბასტიან შვაინშტაიგერი** ამბობს, მეორე წრეში არც ერთი გოლი არ უნდა მივიღოთო და მართალია, ბავარიელებს ამ დაპირების შესრულება გაუჭირდებათ, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პირველ წრეში მათი კარის ბადე შიგნიდან მხოლოდ შვიდჯერ შეირხა, გამორიცხული მართლა არაფერია. ყოველ შემთხვევაში, **მანუელ ნოიერს** „ფიურტთან" მაინც არ უნდა გაუჭირდეს კარის მშრალად შენახვა, რადგან **მაიკ ბიუსკენსის** გუნდს 17 ტურის შემდეგ ყველაზე ცოტა, სულ რალაც 11 გოლი აქვს გატანილი. შესაბამისად, გასაკვირიც არაა, რომ ფიურტელები ბოლო ადგილზე არიან და მე-15 ადგილს, ანუ, სამშვიდობოს 10 ქულა აშორებთ. „ფიურტმა" მეორე წრისთვის ნიჭიერი თავდამსხმელი **ჯურჯიჩი** გადაიბირა, მაგრამ ეს უკანასკნელი დღეს ვერ ითამაშებს, რადგან ტრავმირებულია. ტრავმა აწუხებს ნახევარმცველ **პრიბსაც**, კაპიტანი **მავრაი** კი დისკვალიფიცირებულია - ასე რომ, ბიუსკენსს მიუნხენში საუკეთესო ფეხბურთელებიც ვერ ჩაჰყავს...

### როგორ დაიწყებს მეორე წრეს აინტრახტი?

მეორე წრის სტარტისთვის „ბაიერნის" პირველი მდევარი „ლევერკუზენია", თუმცა გერმანიაში „ბაიერს" „ბაიერნის" სერიოზულ კონკურენტად არავინ აღიქვამს. „ფარმაცევტები" მეორე წრეს რთული მატჩით იწყებენ: ლევერკუზენში პირველი წრის სენსაციური გუნდი, მეოთხეადგილოსანი „აინტრახტი" ჩადის. **არმინ ფეეს** გუნდმა სეზონის პირველ ნახევარში ყველა გააოცა - არა მარტო შედეგებით (მეოთხე ადგილი დიდი სენსაციაა), არამედ თამაშითაც. ფრანკფურტელები შემტევ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ და პირველ წრეში მათი ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ მეოთხეადგილოსნის კვალობაზე ბევრი (27) გოლი გაუშვეს. იანვრის დასაწყისში „აინტრახტმა" „ვოლფსბურგიდან" **მარკო რუსი** დაიბრუნა და ფეეს იმედი აქვს, რომ ეს უკანასკნელი დაცვას გააძლიერებს. ვნახოთ, როგორ გაუმკლავდება რუსი დღეს „ლევერკუზენის" ფორვარდ **შტეფან კისლინგს**, რომელიც პირველი წრის შემდეგ 12 გოლით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

### ჰეკინგის დებიუტი ვოლფსბურგში

„ვოლფსბურგი" ახალ ცხოვრებას იწყებს. პირველი წრის ჩაგდების შემდეგ, „მგლების" მთავარ მწვრთნელად **დიტერ ჰეკინგი** დაინიშნა და ვოლფსბურგელებმა „დორტმუნდიდან" **ივან პერიშიჩი** (8 მილიონ ევროდ) გადაიბირეს. დიტერის დებიუტი „შტუტგარტთან" საშინაო მატჩში შედგება და მას იმედი აქვს, რომ „ვოლფები" საკუთარ მოედანზე ბოლოს და ბოლოს ხეირიანად ათამაშდებიან (პირველ წრეში შინ მხოლოდ 6 ქულა აიღეს). „შტუტგარტთან" „მგლებს" **ნალდოსა** და **ჟოსუეს** სახით ორი მნიშვნელოვანი მოთამაშე დააკლდება - ორივე დისკვალიფიცირებულია.

„შტუტგარტი" პირველ წრეში სტუმრად კარგად თამაშობდა (4 მოგება, 2 ფრე, 3 მარცხი), იანვარში კი შვაბებმა წამყვან ფეხბურთელებს (**გენტნერი, ნიდერმაიერი**) ახალი კონტრაქტები გაუფორმეს. აქვე გეტყვით, რომ **ბრუნო ლაბადია**, რომელსაც სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და რომლის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვოლფსბურგში დისკვალიფიკაციის გამო **საკაის** და **იბიშევიჩს** ვერ გამოიყენებს.

### ჰოფენჰაიმში კურცი იწყებს

ახალი მწვრთნელი ჰყავს „ჰოფენჰაიმსაც" - ზედიზედ ექვსი წაგების შემდეგ, „სოფლელების" ხელმძღვანელებმა ახალ თავკაცად **მარკო კურცი** დანიშნეს. ამ უკანასკნელის მიზანი პირველ რიგში დაცვის ხაზის დასტაბილურებაა, რადგან „ჰოფემ" პირველ წრეში ყველაზე მეტი, 41 (!) გოლი გაუშვა. „ჰოფენჰაიმი" მეორე წრეს „გლადბახთან" პრინციპული მატჩით იწყებს და კურცი ამ შეხვედრაში სავარაუდოდ ვერ გამოიყენებს ახალწვეულ **ადვინკულას**, რომელსაც ტრავმა აწუხებს. მიონხენგლადბახელებს კი, რომლებსაც ბუნდესლიგაში 5-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ, საკადრო პრობლემები არ აწუხებთ. **ლუსიენ ფავრს** ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს - მათ შორის ჰოლანდიელი გოლეადორი **ლუუკ დე იონგიც**, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. აქვე შეგახსენებთ, რომ „გლადბახში" მომავალი აღარ აქვს **იგორ დე კამარგოს**, რომელსაც კონტრაქტი გაუწყვიტეს და ახალ გუნდს ეძებს.

### საინტერესო თამაში მაინცში

ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს „მაინცისა" და „ფრაიბურგის" ჯახიც, რაც მეექვსე და მეხუთეადგილოსნების დუელია. რაინჰესენელებმა და ბრაისგაუელებმა პირველ წრეში კარგად იასპარეზეს და დაამტკიცეს, რომ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრისთვის ბრძოლა შეუძლიათ. „მაინცი" საკუთარ მოედანზე, როგორც წესი, კარგად გამოიყურება ხოლმე, „ფრაიბურგს" კი მხოლოდ 18 გოლი აქვს გაშვებული, რაც „ბაიერნის" შემდეგ ბუნდესლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია. „ფრაის" ამ მატჩში ერთ-ერთი ლიდერი **იან როზენტალი** (დისკვალიფიკაცია) აკლია.

### დორტმუნდი ბრემენში შაჰინთან ერთად

საღამოს გერმანიის მოქმედი ჩემპიონი ბრემენში ითამაშებს და თამამად ვიტყვით, რომ ტურის ცენტრალური მატჩი სწორედ ეს შეხვედრაა. დორტმუნდელებს **ნევენ სუბოტიჩი** ჰყავთ ტრავმირებული, რომელსაც ბრაზილიელი **ფელიპე სანტანა** შეცვლის. სამაგიეროდ, „ბორუსიას" რიგებში კვლავ ვიხილავთ თურქ ნახევარმცველ **ნური შაჰინს**, რომელიც BVB-მ მადრიდის „რეალიდან" წლინახევრით ინათხოვრა. თუმცა **იურგენ კლოპი** მას ძირითად შემადგენლობაში ალბათ არ გაამწესებს. ბრემენელებს კი **არნაუტოვიჩი** და **ბარგფრედე** აკლიათ...

### ვიზინგერი ჰამბურგით იწყებს

„ვოლფსბურგში" გადასული **დიტერ ჰეკინგი** „ნიურნბერგის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მიხაელ ვიზინგერმა შეცვალა, რომელიც მანამდე ფრანკების 23-წლამდელთა გუნდს ავარჯიშებდა. ვიზინგერი ამბობს, ბევრს არაფერს შევცვლიო, რადგან ნიურნბერგელები პირველ წრეში ცუდად არ თამაშობდნენ - 20 ქულა დააგროვეს და გასავარდნ ზონას 8 ქულა აშორებთ. ახალი მწვრთნელი თავდასხმაში უპირატესობას სავარაუდოდ ისევ **პეკჰარტს** მიანიჭებს, **პოლტერს** კი კვლავ სკამის ხეხვა მოუწევს. „ნიურნბერგის" მეტოქე დღეს „ჰამბურგია" - ჩრდილოგერმანელებს **რაფაელ ვან დერ ვაარტი** გამოუჯანმრთელდათ. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელება არ ეღირსა „ჰამბურგის" მცველ **პაულ შარნერს**...

მე-18 ტურის უკანასკნელი მატჩი ხვალ საღამოს გაიმართება და „ფორტუნა" „აუგსბურგს" უმასპინძლებს და თუ გადარჩენა უნდათ, აუგსბურგელებმა ეს თამაში მინიმუმ არ უნდა წააგონ. დიუსელდორფელებმა სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურეს: შეიძინეს თავდამსხმელი **ომაე** და ნახევარმცველები, **ბოლი** და **ტეშე** (ეს უკანასკნელი „ფორტუნაში" „ჰამბურგიდან" არენდით გადავიდა).

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი

## ბექჰემი მონაკოში?



შესაძლოა, „ლოს ანჯელეს გალაქსის" ყოფილი ნახევარმცველი, ინგლისელი **დევიდ ბექჰემი** „მონაკოში" გადავიდეს. ყოველ შემთხვევაში ამაზე მიუთითებს ბუკმეკერულ კანტორა „სქაი ბეტში" მოულოდნელად დაფიქსირებული შემოტევა ამ ფსონზე. სულ რალაც ნახევარ საათში ფსონზე კანტორა 20/1-ზე ნაცვლად 4/5-ზე იღებდა ბილეთებს. „სქაი ბეტს" ვერ აუხსნია კლიენტთა საეჭვო გააქტიურების მიზეზი.

*„არ ვიცით, რა ხდება. ალბათ, ვიღაცამ ჩვენზე მეტი იცის"*, - ამბობს „სქაი ბეტის" წარმომადგენელი კრის სპაისერი.

„მონაკოს" თავკაცი **კლაუდიო რანიერი** ადრე ამბობდა, რომ არ გამორიცხავდა კლუბში 37 წლის დევიდ ბექჰემის მისვლას. ინგლისელის გადასვლას ასევე ვარაუდობენ იტალიურ „მილანში" და ფრანგულ „პარი სენ-ჟერმენში".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი



მარცხნიდან: ვლადიმერ ისელიძე, დავით რურუა. ირაკლი დოლაბერიძე, ალექსანდრე ბითაძე

# საქართველოს ნაკრებს ისელიძე უთავკაცებს

წლეულს 4-7 აპრილს საცურაო კომპლექსი „ოლიმპიკი“ წყალბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრებს უმასპინძლებს. მასპინძლებს მეტოქეობას სლოვაკები, ბრიტანელები, პოლონელები და ჩეხები გაუწევენ. ამ ასპარეზობისთვის ჩვენს გუნდს სახელოვანი ქართველი წყალბურთელი **ვლადიმერ ისელიძე** მოამზადებს, რომელიც გუშინ საწყლოსნო სახეობის ეროვნული ფედერაციის მესვეურებმა მასმედიას პრესკონფერენციაზე ოფიციალურად წარუდგინეს. „წლეულს წყალბურთში მნიშვნელოვანი შეჯიბრებები გველის“, — აღნიშნა საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით რურუამ**. — საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფინალური ეტაპის საგზურისთვის იბრძოლებს. დარწმუნებული ვართ, რომ ვლადიმერ ისელიძის ხელმძღვანელობით გუნდი მიზანს მიაღწევს. 9-12 მაისს 1996-1997 წლებში დაბადებული წყალბურთელები, ასევე „ოლიმპიკში,“ 2013 წლის ევროპის ახალგაზრდული პირველობის შესარჩევ ტურნირში იბრძოლებენ გერმანელი, ჰოლანდიელი, სლოვაკი და მოლდოველი თანატოლების წინააღმდეგ. ვუმასპინძლებთ ახალგაზრდებში ნოდარ გვახარიას მემორიალს და თბილისის საერთაშორისო ტურნირს. იმედია, თავს არ შევირცხვენთ“.

*„საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ბრიტანელებთან ოთხჯერ აქვს ნათამაშები. სამი მატჩი ჩვენ მოვიგეთ, ერთხელ კუნძულელებმა გვძლიეს. პოლონელებიც არაერთხელ დაგვიმარცხებია. აი, სლოვაკებსა და ჩეხებს არასდროს დავპირისპირებივართ. ზაფხულში კიდევ ორი ტური გველის. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში 17 ნაკრები იბრძოლებს პლეი ოფის ექვსი საგზურისთვის. სულ 16 ორთაბრძოლის გამართვა მოგვიწევს. პირველ-მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები წინა ევროპის ჩემპიონატის მეშვიდე-მეთორმეტეადგილოსნებს დაუპირისპირდებიან. დასკვნით ეტაპზე, რომელიც გაისად ბუდაპეშტში გაიმართება, თამაშის უფლება განაღდებული აქვთ სერბეთს (ჩემპიონი), ჩერნოგორიას (ვიცე-ჩემპიონი), უნგრეთს (მასპინძელი და ბრინჯაოს პრიზიორი), იტალიას, საბერძნეთსა და გერმანიას.*

*რაც შეეხებათ ახალგაზრდებს, ყველაზე მძიმე ქვეჯგუფი შეგვხვდა, მაგრამ არა მგონია, ფინალში გასვლა გაგვიჭირდეს. დასკვნითი შეჯიბრება კი მალტაში (სექტემბერი) გაიმართება“,* — ვრცელი ინფორმაცია მოგვაწოდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ.**

**ვლადიმერ ისელიძე**: *„დიდი მადლობა ფედერაციას ნდობისთვის. მე და ჩემი შეგირდები ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ქომაგებს იმედები არ გავუცრუოთ, თუმცა მოსამზადებლად ცოტა დრო გვრჩება, რადგან ჩემპიონთა ლიგა მხოლოდ 27 თებერვალს დასრულდება. გადაწყდა, რომ ნაკრები ორ საწვრთნელ შეკრებას სერბეთში გაივლის, სადაც ამხანაგურ შეხვედრებს გავმართავთ ადგილობრივი უმაღლესი ლიგის გუნდებთან — „პარტიზანთან“, „ცრვენა ზვეზდასთან“, „ვოივოდინასთან“, „ჟაკსა“ და „რადნიჩკისთან“. გუნდს აუცილებლად გავაძლიერებთ სამი ნატურალიზებული წყალბურთელით, რომლებიც უცხოეთის გუნდებში თამაშობენ. ესენი არიან მარკო ელაჩა (ხორვატიის „რიეკა“), მარკო ელეზი (იტალიის „ბრეშა“) და მარინო ფრანიჩევიჩი (ხორვატიის „პოშკი“). ვფიქრობ, რომ მიზნის მიღწევა არ უნდა გაგვიჭირდეს“.*

**ირაკლი დოლაბერიძე,** სპორტის დეპარტამენტის უფროსი: *„ვლადიმერ ისელიძის სპორტული გზა გვაიმედებს, რომ მისი გაწვრთნილი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარმატებით ითამაშებს და ფინალის საგზურს მოიპოვებს. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით, კერძო კომპანიების მხარდაჭერით ყველაფერი გაკეთდება წყალბურთის პოპულარიზაციისა და უწინდელი ტრადიციების აღსადგენად“.*

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● რეგიონი

# შიდა ქართლში სპორტსმენები წაახალისეს

განვლილი სპორტული სეზონი შიდა ქართლის ოთხივე (კასპი, გორი, ქარელი, ხაშური) რაიონისთვის წარმატებული გამოდგა. როგორც ამ რეგიონისთვის ტრადიციულად დამახასიათებელია, განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამარჯვებები მოჭიდავეებმა მოიპოვეს. მისასალმებელია, რომ საახალწლოდ ამ რაიონების მუნიციპალიტეტებმა სპორტსმენები და მწვრთნელები პრემიალური თანხით წაახალისეს.

ყველაზე მეტი — 50 სპორტსმენი და მწვრთნელი გორის მუნიციპალიტეტმა 250- 250 ლარით დააჯილდოვა. ყველაზე მსუყე თანხა სპორტსმენებს და მწვრთნელებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, სამბოს ცნობილმა სპეციალისტმა **ოლეგ იაძემ** გადასცა. მან 1500 ლარით დააჯილდოვა განვლილი წლის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში **ამირან იანვარაშვილი,** 1000 ლარით — ასევე სამბისტი **შმაგი შარიფაშვილი,** 500 — 500 ლარი მიიღეს ძიუდოისტებმა **ზვიად ოდოშაშვილმა** და **გიორგი კაციაშვილმა,** თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა **გიორგი ყაზარაშვილმა** და **ივანე გაბოძემ.** დაჯილდოვდნენ აგრეთვე მწვრთნელები და სპორტის მუშაკები.

ქარელის რაიონის მუნიციპალიტეტმა მხოლოდ ორი სპორტსმენი, მოჭიდავეები **ზვიად კაპანაძე** და **ზაზა სიმონიშვილი** წაახალისა 200-200 ლარით. ხაშურის მუნიციპალიტეტმა კი, სამწუხაროდ, დუმილი ამჯობინა. არადა, შარშან ხაშურელმა მოჭიდავეებმა საქართველოს ჩემპიონატებზეც გამოიჩინეს თავი და ევროპულ ასპარეზზეც.

**ვასილ ბალახაძე**
შიდა ქართლიდან

● სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# ორი იორიკირი, ორი მარცხი

ზედიზედ მეორე დღეა, ტოკიოში, ახალი წლის ბაშოზე ქართველი სუმოისტები მარცხდებიან. **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** ოს **არანთან** დათმო ორთაბრძოლა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა დოჰიოს ცენტრში, სანამ არანმა არ იმძლავრა და ქართველი რკალიდან გაიყვანა. ტოჩინოშინს 4-2 ბალანსი აქვს და მისი მომდევნო მეტოქე მე-10 მაეგაშირა **ოკინოუმია**. აქამდე ქართველი იაპონელს ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ წააგო.

კიდევ უფრო ცუდად აქვს საქმე **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)**. ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტმა (212 კგ) მე-7 მაეგაშირა **ტაკაიასუსთან** დათმო. ეს იყო დასანანი მარცხი, რადგან გაგამარუმ თითქმის გაიყვანა მეტოქე რკალიდან და ბოლო წამს წაიფორხილა. ჩვენებურს 2-4 ბალანსი აქვს, მას კიდევ უფრო გაუჭირდება, რადგან მომდევნო მეტოქე ჩემპიონის რანგის ფალავანი, ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** ჰყავს, რომელსაც ერთხელ იმპერატორის თასიც აქვს მოგებული. ქართველი გოლიათი 4-ჯერ დაუპირისპირდა 2 მეტრზე მაღალ ბულგარელს, მაგრამ უშედეგოდ.

ჰაცუ ბაშოს კი პირველად ჰყავს ერთპიროვნული ლიდერი - მონღოლი დიდი ჩემპიონი (იოკოძუნა) **ჰარუმაფუჯი**. მხოლოდ მას აქვს 6-0 ბალანსი.

**VI დღე (მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (იორიკირი), ჰაკუჰო-კიოკუტენჰო (იორიკირი), კაკურიუ-ბარუტო (იორიკირი), კოტოოშუ-კაისეი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-მიოგირიუ (სუკუინაგე), კისენოსატო-ტოიოჰიბიკი (იორიკირი), ტოჩიოძანი-გოეიდო (იორიკირი), ტოიონოშიმა-ამინიშიკი (ოშიტაოში), არანი-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ტაკაიასუ-**გაგამარუ** (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**6-0 ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)**

**5-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), შოტენრო (მაეგაშირა 10), შოტენრო (მ 14), ტაკარაფუჯი (მ 14), ტოჩინოვაკა (მ 15)... 4-2: ტოჩინოშინი (მ 6)... 2-4: გაგამარუ (მ 4)**

**VII დღე (მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰაკუჰო-ტოიოჰიბიკი, ჰარუმაფუჯი-კაისეი, **კოტოოშუ**-გაგამარუ, კოტოშოგიკუ-შოჰოზანი, კისენოსატო-გოეიდო, კაკურიუ-კიოკუტენჰო, ბარუტო-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-მიოგირიუ, ტოიონოშიმა-არანი, **ტოჩინოშინი**-ოკინოუმი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



● ზამთრის ფესტივალი

# ქართველები მცირე ოლიმპიადაზე

BRAȘOV2013 EUROPEAN YOUTH OLYMPIC • WINTER FESTIVAL

რუმინული ბრაშოვი წლეულს 17-22 თებერვალს „მცირე ოლიმპიადას“, ანუ ევროპის მე-11 ახალგაზრდულ ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, რომელსაც 1990 წელს სოკ-ის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა **ჟაკ როგმა** ჩაუყარა საფუძველი.

ბრაშოვში 45 ქვეყნის 1300-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოლებს მედლებისთვის სპორტის რვა სახეობაში. მოასპარეზეთა შორის საქართველოს შვიდი წარგზავნილიც იქნება: სამთო თხილამურობაში მოსინჯავენ ძალებს **ნიკოლოზ კოზანაშვილი, სოსო ჯაფარიძე, შოთა ნათაძე** და **სანდრო ოგბაიძე;** სნოუბორდში ევროპელ თანატოლებს **გიორგი წამალაიძე** და **ბექა მერკვილიშვილი** გაუწევენ მეტოქეობას, ხოლო **არმენ აგაიანი** ფიგურულ ციგურაობაში ჩაებმება. საქართველოს დელეგაციას სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი **მამუკა ხაბარელი** უთავკაცებს, ოლიმპიურ სოფელში კი მისიის ხელმძღვანელი **გიორგი ესაკია** იქნება.

**ვაჟა დანელია**

● გამოსათხოვარი



## გურამ საღარაძე

*„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“*
გალაკტიონი

ვერ გადაიტანე წლევანდელი ზამთარი, ჩემო სეხნიავ, უფროსო მეგობარო და საყვარელო ადამიანო. შენს ხსოვნას ეპიგრაფად წავუმძღვარე დიდი გალაკტიონის ორი სტრიქონი მისი ერთ-ერთი ლექსიდან.

უზომოდ შეყვარებული იყავი ქართულ პოეზიაზე და არა მარტო პოეზიაზე, ყველაფერზე, რაც ქართული და ღირსეული იყო. შენმა მგრძნობიარე გულმა ველარ გაუძლო უამრავ ტკივილს, რომელსაც შენ განიცდიდი ყოველ წამს, ყოველ წუთს და ყოველ დროს. განიცდიდი და ვერ ამბობდი შენს სათქმელს ხმამაღლა. ეს ჩვენ ვიცით, შენმა ახლობლებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა.

ზღვა ხალხი ადამიანებისა, შენი თაყვანისცემლებისა, მთელი ერი და ქვეყანა მოგტირის და განიცდის ჩემო გურამ, სიტყვისა და სცენის დიდოსტატო, მართლა ჩემპიონო კაცო და მეგობარო. ტირიან შენი ძმები და მეგობრები, რამდენი ერთი ჩამოვთვალო, ტირიან ქართული კულტურის წარმომადგენლები, ქართული თეატრისა და კინოს დიდი ოჯახის შვილები, გამოჩენილი ვეტერანი სპორტსმენები, ათასობით თაყვანისმცემელი. გიყვარდა ქართული ფოლკლორი, ქართული სოფელი, მიწა-წყალი. ლაღობდი შენი ქვეყნის სიყვარულით. შენზეა ზედგამოჭრილი ცნობილი სახალხო მთქმელის იოსებ საბიაშვილის გულით ნათქვამი შესანიშნავი სტრიქონები: „ყველას ვერა ჰკლავ სიკვდილო, ვერც საუკუნე წლებიო, სახელი ქვეყნად დარჩება, მიწას ლეში და ძვლებიო, სახელს ნუ დაეჭიდები, სიკვდილო დამარცხდებიო“.

შენ გადადიხარ უკვდავებაში. დაგხვდებიან შენი ეროსი, დოდო, კოტე და კიდევ რამდენიმე ღირსეული მეგობარი და ახლობელი, მათ შორის სახელოვანი სპორტსმენები.

ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა იმქვეყნად ყველასთან ერთად, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ადამიანო.

**გურამ საღარაძე**
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
თავისუფალ ჭიდაობაში

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი, ჩემპიონთა კლუბი და ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქართული სპორტის ერთგული ქომაგისა და ქართველ სპორტსმენთა დიდი მეგობრის, საქართველოს სახალხო არტისტის

**გურამ საღარაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლოლოს სტუმარი

# რობერტ შავლაყაძე

**პირველ სექტემბერს თბილისში ვახუშტის ქუჩაზე მდებარე სახლიდან შუახნის ქალბატონი უთენია ფეხშიშველი მივიდა დიდუბის ეკლესიამდე, სამჯერ შემოუარა ტაძარს, დარაჯს კარი გაალებინა, უფლის ხატთან სანთლები დაანთო, ილოცა და შინ, ასევე, ფეხშიშველა დაბრუნდა. ის იყო, ოთახში შევიდა, რომ ფანჯარას მტრედი მოანყდა. დედას კეთილად ენიშნა. ოჯახის წევრები გაალვიძა, ჩვენი რობერტი ჩემპიონი დაგვიბრუნდებაო, უთხრა დაბეჯითებით.**



# მან ამერიკელთა ჰეგემონია დაამხო

## ეს იყო ხუთი ათეული წლის წინათ

სწორედ იმ დღეს მარადიული ქალაქის ოლიმპიური სტადიონი დუღდა და გადმოდუღდა. სიმაღლეზე ხტომის სექტორთან უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი ხუთგზის მსოფლიოს რეკორდსმენის, ჩიკაგოელ კენგურუდ მონათლული **ჯონ თომასის** მორიგი გამარჯვების საყურებლად. ქომაგებს სურდათ, ახლოდან ენახათ თავიანთი კერპი. ოკეანისგაღმელს ჟურნალისტებიც მოსვენებას არ აძლევდნენ: სურათებს უღებდნენ და რედაქციებში ინფორმაციებსაც კი გზავნიდნენ ამერიკელზე, როგორც მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონზე. თომასიც წინასწარ იღებდა მილოცვებს.

საბჭოთა სპორტსმენები, რომელთა შორის თბილისელი **რობერტ შავლაყაძეც** ერია, შორიდან უყურებდნენ სასეირო სურათს. ზოგი რას ფიქრობდა, ზოგი — რას. ერთადერთი ქართველი მძლეოსანი არად აგდებდა ამერიკელისადმი გადამეტებულ ყურადღებას. არც მაშინ მოსვლია გული, როცა ოლიმპიურ სოფელში თომასთან ერთად მოსეირნე ჟურნალისტებმა არად ჩააგდეს და მასზე 12 სანტიმეტრით მაღალ მეტოქეს ტყვიასავით მიაყარეს კითხვები.

ასპარეზობის წინა დღეს სსრკ სპორტსმენები ოკეანისგაღმელთა ვარჯიშს დაესწრნენ. აი, რას წერდა მაშინ „დეილი ამერიკენი": "გუშინ ჯონ თომასმა რუსი მხტომელების თანდასწრებით სასწაულები ჩაიდინა. ეს უკვე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა. რუსები პანიკაში არიან". არადა, ამ სიტყვების ავტორი რას იფიქრებდა, ქართველმა ათლეტმა სწორედ იმ ვარჯიშზე ირწმუნა, რომ თომასის დამარცხება შეიძლებოდა.

— ამერიკელმა ვარჯიშზე საოცარი მაკრატელა გვიჩვენა: ერთი ფეხი მიწაზე ედგა, მეორე საფეხბურთო კარის ხარიხის ზემოთ ასწია. სიმაღლეზე ხტომებისას მწვრთნელი ჩვენს გასაგონად ხმამაღლა აცხადებდა შედეგებს — 210, 215, 220 სანტიმეტრი აიღეო. ჩემს თანაგუნდელებს — ვალერი ბრუმელსა და ვიქტორ ბოლოშოვს ლამის გული შეუწუხდათ. თომასის შესაძლებლობებმა გულგრილი დამტოვა-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ ნამდვილად არ შემშინებია, პირიქით, ბრძოლის ჟინი მომემატა. სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ოლიმპიურ თამაშებში ფსიქოლოგიურ მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ კი მართლაც გამობრძმედილი ვიყავი, რადგან საკავშირო პირველობებზე უამრავ უსამართლობას ვუძლებდი...

27 წლის ქართველ სპორტსმენს იმ დღეს მართლაც, ნერვიც არ ატოკებია. ფავორიტებმა შეჯიბრება 190 სანტიმეტრი სიმაღლით დაიწყეს, მერე 195 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლნენ, შავლაყაძემ ორივე სიმაღლეზე უარი თქვა და იქვე სარბენ ბილიკებზე სპრინტერთა შეჯიბრების საყურებლად შებრუნდა.

— რობერტ, რას შვრები? — უყვიროდა ტრიბუნიდან საკავშირო ნაკრების მწვრთნელი ვლადიმირ დიაჩკოვი. შავლაყაძეს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია — თავისი „შპარგალკით" მოქმედებდა. მთავარი მეტოქეები 2 მეტრზე რომ ავიდნენ, მაშინ გამოიყენა პირველი ცდა. მერეც წარმატებით დაძლია 203, 206, 209, 211 სანტიმეტრი...

სასწაულის მოლოდინში ბობოქრობდა „ფორო იტალიკო". ჯონ თომასი, რომელმაც ოლიმპიადამდე თვენახევრით ადრე მსოფლიო რეკორდი (222) დაამყარა, ასევე, მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **ჩარლზ დიუმასი,** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი **ვიქტორ ბოლოშოვი** და ევროპის რეკორდსმენი **ვალერი ბრუმელი** (217) საკუთარ თავს აღარ ჰგავდნენ. შავლაყაძე კი, ქომაგთა გასაკვირად, ყველა სიმაღლეს პირველსავე ცდაზე იღებდა. ბოლოშოვი 214 სანტიმეტრზე გაჩერდა, მელბურნის ოლიმპიადის გმირმა დიუმასმა უფრო ადრე გადაინაცვლა მაყურებლებში.

— მსოფლიოს რეკორდსმენმა 212 სანტიმეტრი გამოტოვა, მე კი ისიც და 214-იც პირველი ცდით ავიღე. ბრუმელსა და თომასს ამ სიმაღლის დასაძლევად ორ-ორი ცდა დასჭირდათ. 216 სანტიმეტრიც პირველმა დავძლიე, რაც მაშინ ოლიმპიური რეკორდი იყო. ბრუმელმა განმეორებითი ნახტომით შეძლო, თამასას გადავლებოდა და ვერცხლის მედალი ერგო. თომასი 214 სანტიმეტრზე დარჩა. სწორედ რომ ფსიქოლოგიურმა მომზადებამ, ცხადია, ფიზიკურთან და ტექნიკურთან ერთად, ამიყვანა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

რომის ოლიმპიურ სტადიონზე მოპოვებული გამარჯვება რობერტ შავლაყაძისთვის შემთხვევითი არ ყოფილა. ამერიკელთა ჰეგემონიას მან ერთი წლის წინათ ფილადელფიაში შეურყია ტახტი. 1959 წელს აშშ-ს და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული „გიგანტთა მატჩი" გაიმართა. ტურნირის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკელებმა ამაყად განაცხადეს — სიმაღლეზე ხტომა ჩვენი სახეობაა და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩებაო. ქადილის საბაბიც ჰქონდათ — ამერიკელთა



ავტორის ფოტო

სპორტულ ღირსებას ოლიმპიური ჩემპიონი და რეკორდსმენი (214 სმ) ჩარლზ დიუმასი იცავდა. ქადილი ქადილად დარჩა — პირველი ადგილი შავლაყაძემ დაიკავა, რომლის პირადი მიღწევა მაშინ მოკრძალებული იყო — სულ 208 სმ. სპეციალისტებმა და მასპინძლებმაც ქართველის გამარჯვება შემთხვევითობას მიაწერეს. იხტიბარი არ გაიტეხეს და რომში შევხვდებითო, წაიტრაბახეს.

— მთელი სპორტული კარიერა, ლამის, დაკერებული ქაცვიანი ფეხსაცმლებით გავატარე, — იგონებს ოლიმპიური ჩემპიონი. — მონდომების, ჟინისა და ტექნიკის ხარჯზე ვაღწევდი წარმატებებს. სინანულიცა და წყენაც ბევრი მახსოვს. დღეს ჩვენი სპორტსმენები ბედნიერი არიან — ოდნავ შედეგს თუ აჩვენებენ, იოლად შეუძლიათ მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე გამგზავრება. საბჭოთა პერიოდში ქართველები სხვებზე მთელი თავით მაღლა თუ არ ვიდექით, საკავშირო ნაკრების სიახლოვესაც არავინ გაგვაჭაჭანებდა. ვინ იცის, რამდენი ხელოვნური ბარიერის გადალახვა გვიხდებოდა. ერთ მაგალითს გეტყვით: 1957 წელს საკავშირო პირველობა თბილისში ჩატარდა. საქართველოს ნაკრები დილმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა. შეჯიბრების დღეს საწოლზე წამოწოლილი ველოდებოდი სტადიონზე გამგზავრებას. ხანგრძლივმა სიჩუმემ დამაეჭვა. გარეთ გამოვედი და რას ვხედავ — კაციშვილის ჭაჭანება არ არის. სხვა გზა არ იყო, მარტო უნდა წავსულიყავი სტადიონზე. ქუჩაში მანქანებიც არ მოძრაობდნენ — სპორტულ სიარულში შეჯიბრების გამო გზები გადაეკეტათ. როგორც იქნა, მივაღწიე სტადიონამდე. ძლივს დამიშვეს საასპარეზოდ. მერე გაუგონარი რამ მოხდა: ძლიერი სპორტსმენი იყო კაშკაროვი, მაგრამ ხშირად თაღლითობასაც არ თაკილობდა. მსაჯებმა თბილისში ქაცვებიანი ფეხსაცმლიდან რბილი რეზინის საფენი ამოუღეს. ჩემპიონატიდან უნდა მოეხსნათ. მას კი შეჯიბრების გაგრძელების უფლება მისცეს. მაჯობა. სამაგიეროდ, მომდევნო წელს რევანში ავიღე. 1959 წელს ფილადელფიაში ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა მატჩზეც ვაჯობე. მერე იყო რომის ოლიმპიადა. მარადიულ ქალაქს და „ფორო იტალიკოს" რა დამავიწყებს.

მართლაც, ქართველ მხტომელს მაყურებლებისგან არნახული მხარდაჭერა ჰქონდა. ყველას უკვირდა ეს. საიდუმლო მეორე დღეს იტალიურ გაზეთებში გამჟღავნდა — „რობერტ შავლაყაძე რომის XVII ოლიმპიადის ჭეშმარიტი გმირია. ამ 27 წლის მაგვარებანმა სპორტსმენმა, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავს იტალიელს, შეუძლებელი შეძლო"... „სიმაღლეზე ხტომის ოქროს წიგნში დღემდე არ იყო არც ერთი ევროპელის სახელი. დღეს თბილისელმა რობერტ შავლაყაძემ ახალი ფურცელი ჩაწერა ამ მატიანეში"...

**— ბატონო რობერტ, თქვენ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებშიც იასპარეზეთ...**

— დიახ. მართალი გითხრათ, მაშინ სპეციალისტები ფავორიტად მიმიჩნევდნენ. მართლაც, კარგად ვიყავი მომზადებული. ვარჯიშებზე 220 სანტიმეტრსაც იოლად ვიღებდი. სამწუხაროდ, ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ საბედისწერო შეცდომა დავუშვი — გრილ აუზში ვიცურავე. წყლიდან გაშეშებული ამოვედი. მეორე დილით სპორტული სამოსი ვალერი ბრუმელმა ჩამაცვა, რომელიც ჩემთან ერთად ცხოვრობდა ნომერში. წელში ვერ ვიმართებოდი. ყოველი ხტომის წინ ბალახზე გავწვებოდი და ბრუმელს ვთხოვდი, ფეხებით ზურგზე შემდგომოდა. სხვა მიზეზებიც იყო. საბოლოოდ მე-4 ადგილი დავიკავე.

ჩემპიონობა კი ვალერი ბრუმელმა მოიპოვა. „რობერტი, როგორც ჩრდილი, ისე დამყვებოდა ყველგან. მან იცოდა, რომ... მე შემეძლო გამარჯვება და საამისოდ ყველაფერს აკეთებდა... ულრმესი მადლობა რობერტს", — წერს ტოკიოს ოლიმპიური ჩემპიონი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში. სხვებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ბრუმელის ოლიმპიურ ოქროში შავლაყაძეს ლომის წილი უდევსო.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ბატონმა რობერტმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი. სამი წელიწადი კონგოში იმუშავა. მისმა შვიდმა შეგირდმა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საგზურები მოიპოვა. არც იქ უასპარეზიათ ურიგოდ. კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა შინ დაბრუნება არჩია. 13 წელიწადი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ფიზაღზრდის კათედრის გამგედ იმუშავა...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელმა რობერტ შავლაყაძეს უთხრა — საქალაქო პირველობაზე სიმაღლეზე ხტომაში უნდა გამოხვიდეო. სპორტის სხვადასხვა სახეობაში ნაწრთობმა ჭაბუკმა სადებიუტო შეჯიბრება 155 სანტიმეტრით დაიწყო. რამდენიმე თვეში შედეგი 20 სანტიმეტრით გააუმჯობესა, 1954 წელს 190 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და საკავშირო ნაკრებშიც აღმოჩნდა. მერე იყო რომის ოლიმპიური სტადიონი და სახელოვანი ათლეტი — ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საკავშირო ჩემპიონატისა და სოციალისტური ქვეყნების თამაშების შვიდგზის ოქროს მედალოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დღემდე „სპორტის დედოფლის" ერთგული რჩება.

რობერტ შავლაყაძე გუშინ „ლელოს" სტუმარი გახლდათ.

ჭადრაკი

# მაკამ პირველობა ვადამდე გაინაღდა

ტალინში დღეს დამთავრდება პაულ კერესის საჭადრაკო მემორიალი, რომელშიც ხუთი ქვეყნის 20 წარმომადგენელი იბრძვის პირველობისთვის. ასპარეზობის მონაწილენი სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფში არიან განთესილი. **ა** ჯგუფში შესანიშნავად უმკლავდება მეტოქეებს ქართველი დიდოსტატი **მაკა ფურცელაძე.** გუშინ მე-8 ტურში მან თეთრი ფიგურებით ლიტველ ტომას ლაურუსას სძლია, არადა, ბალტიისპირელი ჩვენებურს რეიტინგში 100 პუნქტით უსწრებს. ამ გამარჯვებით მაკამ რვა შესაძლებლიდან 6 ქულას მოუყარა თავი და ტურნირის დამთავრებამდე ტურით ადრე გაინაღდა პირველობა, რადგან დღეს წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი შესაძლო კონკურენტს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობებს. საგულისხმოა, რომ განვლილი რვა ტურის მაჩვენებლებით ჩვენებურს რეიტინგის 24 პუნქტით გაუმჯობესება შეუძლია.

**ა** ჯგუფში 5 ქულით მე-2 ადგილზეა მასპინძელი ოტომარ ლანდა, რომელიც გუშინ შავი ფიგურებით პაველ დრუგოვს (რუსეთი) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ალექს ანჟუხინი (რუსეთი)-მარკ ლაპიდუსი (ესტონეთი); დინა ბელენკაიამ (რუსეთი) მიქაელ აგაპოვთან (ფინეთი) წააგო, ხოლო ესტონელმა ანდრეი შიშკოვმა თანამემამულე იგორ სვირჟოვს გააჩერებინა საათი.

რვა ტურის შემდეგ: ფურცელაძე-6, ლანდა-5, დრუგოვი, შიშკოვი-4.5-4.5, ანჟუხინი, ბელენკაია, სვირჟოვი-4-4, ლაპიდუსი, აგაპოვი-3-3, ლაურუსასი-2 ქულა. მე-9 ტურში ითამაშებენ: სვირჟოვი-ანჟუხინი, აგაპოვი-შიშკოვი, ლანდა-ბელენკაია, ლაურუსასი-დრუგოვი, ლაპიდუსი-ფურცელაძე.

**ბ** ჯგუფში ქართველთაგან ფიდეს ოსტატი **ვარლამ ვეფხვიშვილი** იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. გუშინ ჩვენებურმა მასპინძელი მონიკა ციგანოვა დაამარცხა. დანარჩენი პარტიები კი ასე დამთავრდა: ვალენტინა ფედოსეევა (რუსეთი)-გეორგ აბოზენკო (ესტონეთი) 0:1, იური მალინინი (რუსეთი)-ილია სიროში (ესტონეთი) 1:0, კირილ ჩუკავინი (ესტონეთი)-კესტუტის კაუნასი (ლიტვა) 0:1, სანდერ კუკი (ესტონეთი)-ჰენრიკ ჰაავამაიე (ესტონეთი) 0.5:0.5.

რვა ტურის შემდეგ: მალინინი, კუკი-6-6, სიროში, ვეფხვიშვილი, კაუნასი-5.5-5.5, აბოზენკო-4, ჰაავამაიე-2.5, ფედოსეევა, ციგანოვა-2-2, ჩუკავინი-1 ქულა. მე-9 ტურში ერთმანეთთან გარკვევენ ურთიერთობას: ჰაავამაიე-ფედოსეევა, აბოზენკო-მალინინი, სიროში-ჩუკავინი, კაუნასი-ვეფხვიშვილი, ციგანოვა-კუკი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**



მაკა ფურცელაძე

● კალათბურთი. ქორქია-საკანდელიძის მემორიალი. მეოთხე დღე

# –14 და –15, მიიყვანს ოლიმპი საქმეს მინუსებამდე?

**17 იანვარი**

**რუსთავი–თსუ 85:72**

26:17, 13:20, 25:20, 21:15

რუსთავი: ბოუი (17ქ, 4პ, 7მ, 3ჩ), ცეკვავა (21ქ, 6მ), ვატადი, აბაიშვილი, ჩაჩანიძე, ნელსონი (18ქ, 11მ, 3პ), ჭოჭუა (9ქ, 4პ), ტუჯანი (6ქ, 4პ), ათანელიშვილი (10ქ), მაჭავარიანი, ხმელიძე (4ქ).

თსუ: გ. ბაქაძე (21ქ, 7პ), ასელაინი (2ქ), კოხრეიძე, თავამაიშვილი (2ქ), ტეტელაშვილი (2ქ), კობიძე (3ქ), ბერუაშვილი (15ქ, 9მ, 4პ, 3ჩ), ჩქარეული (6ქ), ხიზანიშვილი (16ქ), ნოზაძე (5ქ, 7მ).

**სტუ–სამედიცინო 89:68**

18:21, 21:20, 24:10, 26:17

სტუ: ჩაჩიბაია (24ქ, 17მ, 3პ), თევზაძე (14ქ, 3პ), კორკოტაძე (1ქ), ლ. მინაშვილი, მაჩალაძე (12ქ, 11მ, 4ჩ), პირველაშვილი (22ქ, 5მ, 5პ, 3ჩ), კუჭავა (7ქ), ძიძიგური (9ქ, 3პ).

სამედიცინო: ჯიქია (2ქ, 4პ), ბიბილური (2ქ, 5მ), არნიაძე (6ქ, 4პ), შიოლაშვილი (2ქ, 7მ), ტუკვაძე, გაბისონია (17ქ, 5მ, 4პ), მაისურაძე, ფერიაშვილი (12ქ, 9მ), გ. რევაზაშვილი (16ქ, 10მ), კორძაძე (2ქ), ქიქვეიშვილი (9ქ, 5მ), ელიაძე.

**შსს აკადემია–სოხუმი 79:64**

17:21, 19:20, 22:14, 21:9

შსს: ჩიტაშვილი (1ქ, 4პ), ვონი (16ქ, 9მ, 8პ), როგავა (9ქ, 3პ), ბოქოლიშვილი (1ქ, 3ჩ), ლონდარიძე (16ქ, 5მ), პრევიტი (9ქ, 6მ), იმნაძე, ლომოური (2ქ), ანთაძე (2ქ), ბექაური (6ქ), არჩიბეკი (19ქ, 13მ).

სოხუმი: მეგენეიშვილი, ბულიავა (13ქ, 7მ), ჩლაიძე (16ქ, 3პ), კოპალიანი (5ქ), შვანგირაძე (5ქ), დეკანოიძე (1ქ), ბააკაშვილი (2ქ, 6პ, 2დ), ქადარია (22ქ, 14მ), ბეშქენაძე, მუჟნიეკსი.

**ოლიმპი–დინამო 85:59**

29:17, 17:19, 22:11, 17:12

ოლიმპი: გულისაბედაშვილი (7ქ), ტომარაძე (14ქ, 7მ), სოკი (9ქ, 8პ), ბერიშვილი (2ქ, 8მ, 8პ), ფაცაცია (25ქ, 9მ, 4პ), ცირეკიძე, ა. დვალიშვილი (6ქ), მილოშევიჩი (18ქ, 13მ, 3პ, 5დ), ანდრიუკაიტისი (4ქ).

დინამო: კარიმი (13ქ, 3პ), ჩიკვილაძე (13ქ, 3ჩ), ლილუაშვილი, კობაიძე, ნინიაშვილი (8ქ), კეიდია (3ქ), ორმოცაძე, გელაზონია (8ქ, 5მ), კლაიმენი (10ქ, 3პ), ლუდუშაური (4ქ).


სტეფან მილოშევიჩმა დინამოელთა ალყა გაარღვია
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. დინამო | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. არმია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 4. სტუ | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. სამედიცინო | 3 | 0 | 3 | 3 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. რუსთავი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 3. სოხუმი | 2 | 0 | 2 | 2 |
| 4. თსუ | 2 | 0 | 2 | 2 |

ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე მეოთხე დღის მატჩების შემდეგ ორივე ჯგუფში საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: კვირას გასამართი ორი შეხვედრა ნახევარფინალს გაუტოლდა - „შსს აკადემია“-“რუსთავი“ და „არმია“-“ოლიმპის“ მატჩებში ფინალისტების ბედი გადაწყდება. თუ პირველ შეხვედრაში საქმე მარტივადაა, არმიელთა და ოლიმპელთა დაპირისპირებაში საუკეთესოს გამოსავლენად მცირე გათვლაა საჭირო. საქმე ისაა, რომ „არმია“ ხუთშაბათს „დინამოსთან“ 75:78 დამარცხდა, ხოლო „ოლიმპმა“ გუშინ „დინამოს“ 85:59 სძლია. ასე და ამგვარად, თუ დინამოელებმა კვირას „სამედიცინოს“ აჯობეს (დიდი ალბათობით ასეც მოხდება), ხოლო „არმიამ“ „ოლიმპს“ მოუგო, ეს სამი გუნდი ქულათა თანაბარ რაოდენობას მოაგროვებს და პირველადგილოსნის ბედი მიღებულ-გაშვებული ქულების დათვლის შედეგად გაირკვევა. სადღეისოდ, დიდ უპირატესობას ფლობს „ოლიმპი“ +26, „დინამოს“ -23 აქვს და ფინალში მისი გასვლა გამორიცხულია, „არმიას“ -3.

ასე რომ, თუ ძალოვნებმა 15 ქულის სხვაობით მოიგეს, პირველ ადგილზე გავლენ, ხოლო მათი 14-ქულიანი გამარჯვება ფინალისკენ გზას „ოლიმპს“ გაუხსნის. მიღებულ-ჩაგდებული ქულების დათვლა აღარ დაგვჭირდება, თუ „ოლიმპი“ „არმიას“ დაამარცხებს. ამ შემთხვევაში მოგებათა რაოდენობით ჯგუფში ყველას ოლიმპელები აჯობებენ.

■ ■ ■

გუშინდელი დღის ცენტრალური მატჩი „დინამოსა“ და „ოლიმპს“ შორის გაიმართა, რომლის შედეგი ზემოთ უკვე მოგახსენეთ. დილმელთა დიდი სხვაობით მარცხს ორი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. პირველი - **ირაკლი ხოშტარიას** შეგირდებმა წინა დღისით მთელი ენერგია „არმიასთან“ გამარჯვებას შეალიეს და გუშინდელ შეხვედრას გამოფიტულები შეხვდნენ. და მეორე - **გია კაზანჯიანის** გაწვრთნილმა „ოლიმპმა“ მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. მათ დიდი უპირატესობა მოიპოვეს ფარქვეშ, რაც უმთავრესად ცენტრის **სტეფან მილოშევიჩის** დამსახურებაა (18 ქულა, 13 მოხსნა). ოლიმპელები მხოლოდ სამნამიანში როდი დომინირებდნენ, მათ 12 სამქულიანი ჩააგდეს. შეუჩერებელი იყო საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფაცაცია** - 25 ქულა.

ამავე ჯგუფში სტუ-მ სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა - „სამედიცინო“ 89:68 დაამარცხა. წარმატებაში ლომის წილი დაიდო **ტატო ჩაჩიბაიამ**, რომელმაც 24 ქულას 17 მოხსნა მიამატა.

■ ■ ■

მეორე ჯგუფში თითქმის ისეთივე სურათი ვიხილეთ, როგორც წინა დღისით: „სოხუმმა“ და თსუ-მ კარგად ჩატარებული პირველი ტაიმების შემდეგ გადამწყვეტი მომენტისთვის ძალები ვერ შემოინახეს და ამჯერადაც დამარცხდნენ. როგორც უკვე გითხარით, ფინალის საგზურისთვის კვირას ერთმანეთს „შსს აკადემია“ და „რუსთავი“ ითამაშებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**


მიხეილ ჩიტაშვილი სოხუმელებს გაურბის
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● კალათბურთი. რას წერენ ჩვენზე?

# მირზა ტელეტოვიჩი: შენგელია დაამტკიცებს, რომ დიდი კალათბურთის თამაში შეუძლია


ტელეტოვიჩი და შენგელია

ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა სტატია ბოსნიელი სნაიპერის **მირზა ტელეტოვიჩის** შესახებ. მას საქართველოს ნაკრების გულშემატკივარიც კარგად იცნობს და ისიც მოგეხსენებათ, რომ ამერიკულ „ბრუკლინ ნეთსში“ **თორნიკე შენგელიას** თანაგუნდელია.

პუბლიკაცია რამდენიმე ქვეთავადაა დაყოფილი, რომელთაგან ერთ-ერთი მთლიანად ქართველებს ეხება.

*როგორც თავად ამბობს, მირზა ტელეტოვიჩი ახალი თანაგუნდელებიდან ყველაზე ახლოს ქართველ თორნიკე შენგელიასთანაა.*

- მე და თოკოს ბევრი საერთო გვაქვს. ორივე ესპანეთში ვთამაშობდით. ამ ზაფხულს საქართველოსა და ბოსნიის ნაკრებები ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე ერთ ჯგუფში იყვნენ. ურთიერთშეხვედრებისას შენგელიასაც ველაპარაკე და ზაზა ფაჩულიასაც.

ტელეტოვიჩი ახალგაზრდა თანაგუნდელს ასე ახასიათებს:

*- თორნიკე დიდებული ბიჭია, ძალიან მეხმარება. ორივე ევროპიდან ჩამოვედით და ერთ გზას ვადგავართ. დარწმუნებული ვარ, თოკო მალე დაამტკიცებს, რომ ძალიან კარგი კალათბურთელია.*

**ვაჟა სიმონიშვილი**




● ჭადრაკი

# საქართველო მზად არის ახალი გამოწვევისთვის


მარცხნიდან: იგნატიოს ლეონგი, გია გიორგაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ლევან ყიფიანი, თამაზ თევზაძე

თბილისში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი **იგნატიუს ლეონგი**, რომელიც გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ **გია გიორგაძესთან** ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანსა** და მის მოადგილეებს — **ზურაბ აზმაიფარაშვილსა** და **თამაზ თევზაძეს** შეხვდა. მხარეებმა განიხილეს 2015 წელს თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადის ჩატარების შესაძლებლობა.

**ლევან ყიფიანი:** *„მოჭადრაკეთა მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის საქართველოს არაერთხელ უმასპინძლია. ასე რომ, ამ მხრივ, მდიდარი გამოცდილება და ტრადიციები გვაქვს. ფიდემაც კარგად იცის ეს, რაც ბატონმა ლეონგმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა და საქართველოში 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადის გამართვის იდეა მოიწონა. თუ ამ პროექტს ფიდე მხარს დაუჭერს, ეს იქნება ქართველ მოჭადრაკეთა ღვაწლის მორიგი აღიარება და ჩვენთან სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი. უკვე გავუგზავნეთ წერილი ბატონ კირსან ილუმჟინოვს და ვთხოვეთ, ბატონ ლეონგთან ერთად გვეწვიოს, რათა საქართველოში ახალი პროექტები დავგეგმოთ. სპორტის სამინისტრო ყოველთვის აქტიურად დაუჭერს მხარს ჩვენთან ბრძენთა თამაშის შემდგომ განვითარებას“.*

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:** *“იგნატიუს ლეონგთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. იგი სინგაპურელია და, როცა მის სამშობლოში ვცხოვრობდი, იქაურ საჭადრაკო აკადემიაში ერთად ვსაქმიანობდით. ლეონგი ჩვენს ქვეყანას მესამედ ესტუმრა. პირველად 2001 წელს გვეწვია. მაშინ ევროპა-აზიის მოჭადრაკეთა პირველ და დღემდე უნიკალურ მატჩს ვუმასპინძლეთ. მაშინ ბატონი იგნატიუსი აზიის გუნდის კაპიტანი გახლდათ. 2005 წელს თბილისში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც ჩვენი დღევანდელი სტუმარი გენერალურ მდივნად აირჩიეს. ასე რომ, მას ჩვენს ქვეყანასთან სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს, ამიტომაც უჭერს მხარს ქართველთა ინიციატივებს. დარწმუნებულია, რომ აქ ყველა პროექტი პირნათლად შესრულდება. ახლაც, 16-წლამდელთა ოლიმპიადას ბატონი ლევან ყიფიანი რომ დაუდგა თავდებად, საქართველოში ჭადრაკის შემდგომი განვითარებისთვის ამასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს“.*

**გია გიორგაძე:** *„ბატონ ლეონგთან და ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად წახკაძორში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მივემგზავრები, თან კონკრეტული წინადადება მიმაქვს — 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მსვლელობისას ჩვენთან 16-წლამდელთა საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართოს. ჩვენს ინიციატივას მხარს უჭერს სპორტის სამინისტრო. როცა სახელმწიფო გვერდით გიდგას, წელგამართული ხარ. დღეს სამინისტროში შეხვედრისას ბატონ ლეონგთან საუბარი გვქონდა სამომავლო პერსპექტივებზე, კერძოდ, საქართველოში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე. რატომაც არა: ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო შეჯიბრებების გამართვის მდიდარი ტრადიცია აქვს და ახალი გამოწვევებისთვისაც მზად ვართ“.*

— საქართველოში მესამედ ვიმყოფები. — გვითხრა ფიდეს გენერალურმა მდივანმა. — აქ ყოველთვის უდიდეს სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ, ამიტომაც სიამოვნებით ჩამოვდივარ. ამჯერადაც დაუფიქრებლად დავთანხმდი ჩემი მეგობრის - ზურაბ აზმაიფარაშვილის შემოთავაზებას. სომხეთშიც ერთად გავემგზავრებით. ვეცდები, ფიდეში დავარწმუნო ჩემი კოლეგები, მხარი დაუჭირონ საქართველოს კანდიდატურას 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადის სამასპინძლოდ.

**— ბატონო ლეონგ, ამას წინათ კირსან ილუმჟინოვმა განაცხადა, რომ ჭადრაკის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესატანად აქტიურად ვიბრძოლებთო. თქვენ რას იტყვით?**

— დიახ, ფიდეს დიდი სურვილი აქვს, ჭადრაკი ოლიმპიური სახეობა გახდეს. ზაფხულის თამაშებში მოხვედრაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება, რადგან ჩვენ წინ 20 სახეობა მაინც დგას. ზამთრის თამაშების პროგრამაში მოხვედრა უფრო რეალური ჩანს. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა 2014 წლის სოჭის ოლიმპიადისთვის საჩვენებელი სპორტის სტატუსი მივიღოთ, რაც ოლიმპიურ ოჯახში მოსახვედრად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**— ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების სისტემა ბოლო წლებში უინტერესო გახდა. ფიდე ამ მიმართულებით კონსტრუქციულ ცვლილებებს ხომ არ გეგმავს?**

— გეთანხმებით, რომ აქ უამრავი პრობლემა გვაქვს. ამ საკითხებზე სპეციალური კომისია მუშაობს. წახკაძორში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოზეც ვიმსჯელებთ ამაზე. გარწმუნებთ, ცვლილებები იქნება.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ერთა თასი



2012 წელი. საქართველო-რუსეთი 46:0

# ვინ უკაპიტნებს ნაკრებს?

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა, 2 თებერვლიდან ჩაერთვება. „ბორჯღალოსნები“ სტუმრად, ბრიუსელში შეჯიბრების დებიუტანტს, ბელგიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ერთი კვირის თავზე კი თბილისში ჩვენი გუნდი პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს.**

საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** ის 29 მორაგბე დაასახელა, რომლებიც 27 იანვრიდან საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში საწვრთნელ შეკრებაზე ჩავლენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ კონტინგენტით აპირებს ჰეიგი საწყის ორ მატჩში ასპარეზობას.

ნაკრების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. გამოძახებულთა შორის არ არის გუნდის კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** (ოსერი). ცხრა ნომრის პოზიციაზე ჰეიგმა **გიორგი ბეგაძესთან** (ბათუმი) ერთად ახალგაზრდული ნაკრების წევრს, **ვაჟა ხუციშვილს** (ხარები) უხმო. ამასთან ერთად, ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება გუნდის კაპიტანი. მისი ვინაობა სავარაუდოდ ფრანგული შეკრების დროს გაირკვევა.

პირველ ხაზში ნოემბრის ტესტებთან შედარებით ერთი ცვლილებაა. შერკინების კვაჭის **ირაკლი ნატრიაშვილის** (ბრივი) ნაცვლად ლელოელი **რეზო ბელქანია** გამოიძახეს. ასევე, ტრავმა მოიშუშა და ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი).

უცნაურად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე ხაზში **ლევან დათუნაშვილის** (ორიაკი) არგამოძახება. ამ რგოლში გამოცდილ **ვახტანგ მაისურაძესთან** (ალბი) და **გიორგი ჩხაიძესთან** (ტარბი) ერთად ჰეიგმა ახალგაზრდები **კონსტანტინე მიქაუტაძე** (ტულონი) და **ლაშა ლომიძე** (მონპელიე) იხმო. მიქაუტაძემ ნოემბერში ფიჯის ნაკრებთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და ურიგოდ არ გამოიყურებოდა. იმ შემადგენლობიდან ამჯერად გამოძახებულთა შორის ვერ მოხვდა **გიორგი ნემსაძეც** (ტარბი).

მესამე ხაზში ტრავმის მოშუშების შემდეგ დაბრუნდა **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი). მწყობრში არიან **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი) და **შალვა სუთიაშვილი** (მასი). ჰეიგმა ერთი ახალგაზრდა ამ რგოლშიც გაურია, ეს არმიელი **ბექა ბინაძეა.**

ცხრა ნომრებზე უკვე ვთქვით. უკანა ხაზში კვლავ არ არის გამოძახებულთა სიაში **ლაშა მალაღურაძე** (ბაგნერე). იმ შემადგენლობას კი, რომელმაც ნოემბრის ტესტებზე ითამაშა, ჰეიგმა შუამარბი **თამაზ მჭედლიძე** (მონ დე მარსანი), გარემარბი **გიორგი ფრუიძე** (აია) და ფულბეკი **ბექა ნიკლაური** (ლოკომოტივი) დაამატა.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია).

№9: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო).

№12-13: მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია).

№15: ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

**ერთა თასი 2013**

**I ტური**

**2 თებერვალი**

ბელგია-საქართველო
პორტუგალია-რუმინეთი
რუსეთი-ესპანეთი

**II ტური**

**9 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი
ბელგია-ესპანეთი

**III ტური**

**23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმიენთი
პორტუგალია-ბელგია

**9 მარტი**

**IV ტური**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

**16 მარტი**

**V ტური**

რუმინეთი-საქართველო
ესპანეთი-პორტუგალია
რუსეთი-ბელგია

ლეგიონერები

# სამი უკვე პლეი ოფშია, ორი ისევ იბრძვის

**ევროთასების გათამაშების ჯგუფურ ტურნირში ბოლო ტურის მატჩების დრო დადგა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან მეოთხედფინალის საგზური ორმა, „ტულონმა“ და „კლერმონმა“ უკვე მოიპოვა. კიდევ ორი კი, „მონპელიე“ და „ტულუზი“ პლეი ოფის საგზურისთვის ბოლო ტურში იბრძოლებენ.**



ვასილ კაკოვინი

A ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** შოტლანდიური „ედინბურგი“ დიდი ხანია უშანსოდაა. ჩვენებურის ამ გუნდმა, რომელმაც ამავე ტურნირში შარშან ნახევარფინალში გააღწია, ხუთი თამაშიდან ხუთივე წააგო და ბოლო ადგილზეა. მეექვსე ტურში „ედინბურგი“ სტუმრად ხვდება გათამაშების ლიდერს, ინგლისურ „სარასენზს“, რომელსაც პირველ ადგილზე გასამყარებლად აუცილებლად მოგება სჭირდება. ბასილაია ძირითად შემადგენლობაშია.

ამავე ჯგუფში ირლანდიური „მანსტერი“ შინ ეთამაშება ფრანგულ „მეტრო რასინგს“.

B ჯგუფში 18 ქულით ლიდერი **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზია“, რომელიც უახლოეს მდევარს, ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს“ სამი ქულით უსწრებს. ტულუზელები ბოლო ტურში სტუმრად სწორედ ლესტერელებს ეთამაშებიან. ჩვენებურთა გუნდს ხელს ფრეც აძლევს.

კაკოვინი სათადარიგოთა შორისაა, ბრეგვაძემ სრულფასოვანი ვარჯიში დაიწყო, მაგრამ ჯერ სათამაშოდ მზად არ არის. ამავე ჯგუფში იტალიური „ბენეტონი“ უელსურ „ოსფრიზს“ უმასპინძლებს.

D ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს“ პლეი ოფში გასვლის იმედი ბოლოსწინა, მეხუთე ტურში გადაეწურა. კასტრელები 13 ქულით მესამე ადგილზე არიან და შინ ეთამაშებიან ჯგუფის ლიდერს, ირლანდიურ „ალსტერს“, რომელსაც პირველი ადგილის დასაკავებლად მინიმუმ ერთი პრემიალური ქულის აღება სჭირდება. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

ამავე ჯგუფში ინგლისური „ნორსჰემპთონი“ სტუმრად ეთამაშება აუტსაიდერ „გლაზგოს“ და მეოთხედფინალში გასასვლელად აუცილებლად პრემიალური ქულით მოგება უნდა.

E ჯგუფში მოასპარეზე **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა“ ხუთი თამაშიდან ხუთივე მოიგო და პლეი ოფის საგზური ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მოიპოვა. „ვულკანები“ ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშებიან აუტსაიდერს, უელსურ „ჰლანეჰლის“. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაშია, კოლელიშვილი განაცხადში არ არის.

ამავე ჯგუფში „ჰაინეკენის თასის“ ამჟამინდელი მფლობელი ირლანდიური „ლენსტერი“ სტუმრად ეთამაშება ინგლისურ „ექსეტერს“. ირლანდიელებს პლეი ოფში მოხვედრის ერთი შანსი აქვთ. მეტოქეს პრემიალური ქულით უნდა მოუგონ და ბრძოლა როგორც საუკეთესო მეორეადგილოსანმა განაგრძოს.

საინტერესო დაპირისპირება გველის F ჯგუფში. **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიე“ შინ ეთამაშება **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს“, რომელმაც მეოთხედფინალში თამაშის უფლება უკვე მოიპოვა. მონპელიელებს უბრალო, პრემიალური ქულის გარეშე გამარჯვებაც ხელს აძლევთ.

გორგოძე, ნარიაშვილი და ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში არიან, ჟღენტი ტრავმირებულია, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ არიან.

ამავე ჯგუფში უელსური „კარდიფი“ შინ ეთამაშება ინგლისურ „სეილ შარქსს“. ამ თამაშის შედეგი სატურნირო ცხრილზე გავლენას ვერ მოახდენს.

**ჰაინეკენის თასი**

**A ჯგუფი**

მანსტერი-მეტრო რასინგი, სარასენზი-ედინბურგი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სარასენზი - 18 ქულა, 2. მანსტერი - 15, 3. მეტრო რასინგი - 12, 4. ედინბურგი - 0.

**B ჯგუფი**

ლესტერ ტაიგერზი-ტულუზი, ბენეტონი-ოსფრიზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 18 ქულა, 2. ლესტერ ტაიგერზი - 16, 3. ოსფრიზი - 11, 4. ბენეტონი - 1.

**C ჯგუფი**

ბიარიცი-ჰარლიქვინზი, ქონოთი-ზებრე

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰარლიქვინზი - 24 ქულა, 2. ბიარიცი - 14, 3. ქონოთი - 8, 4. ზებრე - 0.

**D ჯგუფი**

გლაზგო-ნორსჰემპთონი, კასტრი-ალსტერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 19 ქულა, 2. ნორსჰემპთონი - 14, 3. კასტრი - 13, 4. გლაზგო - 2.

**E ჯგუფი**

ჰლანეჰლი-კლერმონი, ექსეტერი-ლენსტერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 23 ქულა, 2. ლენსტერი - 15, 3. ექსეტერი - 9, 4. ჰლანეჰლი - 2.

**F ჯგუფი**

მონპელიე-ტულონი, კარდიფი-სეილ შარქსი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 23 ქულა, 2. მონპელიე - 18, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდიდან ერთმა **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ“ პლეი ოფის საგზური ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მოიპოვა. პარიზელები E ჯგუფში 20 ქულით პირველ ადგილზე არიან და ბოლო ტურში შინ ეთამაშებიან მესამეადგილოსან „ინგლისურ „ლონდონ ველშს“. ჟვანია ძირითად შემადგენლობაშია.

ამავე ჯგუფში ფრანგული „გრენობლი“ სტუმრად ეთამაშება იტალიურ „პრატოს“.

A ჯგუფში მოასპარეზე **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი“ 10 ქულით მესამე ადგილზეა და პლეი ოფში ვერაფრით მოხვდება. ჩვენებურის გუნდი ბოლო ტურში სტუმრად ითამაშებს ჯგუფის ლიდერთან, ინგლისურ „გლოსტერთან“. მჭედლიძე ძირითად შემადგენლობაშია.

ამავე ჯგუფში ინგლისური „ლონდონ აირიში“ შინ მიიღებს ფრანგულ „ბორდოს“.

**ემლინ ჩელენჯ კაპი**

**A ჯგუფი**

გლოსტერი-მონ დე მარსანი, ლონდონ აირიში-ბორდო

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გლოსტერი - 22 ქულა, 2. ლონდინ აირიში - 15, 3. მონ დე მარსანი - 10, 4. ბორდო - 1.

**B ჯგუფი**

პერპინიანი-როვიგო, ვორსტერი-გერნიკა

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორსტერი - 20 ქულა, 2. პერპინიანი - 20, 3. გერნიკა - 8, 4. როვიგო - 1.

**C ჯგუფი**

ნიუპორტი-ვოსფსი, მოლიანო-ბაიონი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 21 ქულა, 2. ბაიონი - 15, 3. ნიუპორტი - 12, 4. მოლიანო - 0.

**D ჯგუფი**

აჟენი-კალვიზანო, ბასი-ბუქარესტი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 24 ქულა, 2. აჟენი - 13, 3. ბუქარესტი - 9, 4. კალვიზანო - 7.

**E ჯგუფი**

პრატო-გრენობლი, სტად ფრანსე-ლონდონ ველში

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 20 ქულა, 2. გრენობლი - 15, 3. ლონდონ ველში - 9, 4. პრატო - 2.



მამუკა გორგოძე ინგლისელების გარემოცვაში

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ავტოსპორტი. დაკარი 2013




# ინტრიგა დაბრუნდა?

რალი-რეიდ დაკარზე გაიმართა მე-12 ეტაპი. მონაწილეებმა არგენტინისა და ჩილეს საზღვარი გადალახეს.

ავტომობილების კლასში ეტაპი მოიგო ესპანელმა **ხოან „ნანი“ რომამ**. ეს მისთვის მნიშვნელოვანი წარმატება იყო, რადგან ამით, ესპანელმა საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ფინიშზე მეორე და მესამე მივიდნენ ამერიკელი **რობი გორდონი** და სამხრეთაფრიკელი **ჟინიელ დე ვილიერსი**, გენერალურ კლასიფიკაციას კი კვლავაც **სტეფან პეტერნასელი** ლიდერობს 50-წუთიანი უპირატესობით.

### XI ეტაპი

1. **ხოან რომა** (ესპანეთი, MINI) - 3:36.34; 2. **რობი გორდონი** (აშშ, Hammer) - +4.18; 3. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +4.25; 4. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - +6.03; 5. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +6.26...

### საერთო ჩათვლა

1. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - 32:50.02; 2. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +50.21; 3. **ხოან რომა** (ესპანეთი, MINI) - +1:31.06; 4. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +1:34.47; 5. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +2:01.50...

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში კი შეიძლება ითქვას, ინტრიგა დაბრუნდა. მე-12 ეტაპი ჩააგდო გენერალური კლასიფიკაციის ლიდერმა **სირილ დეპრემ** - მან გამარჯვებულთან, ჰოლანდიელ **ფრანს ვერჰუვენთან** ცხრა წუთი წააგო და მე-14 ადგილზე გავიდა.

ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა პორტუგალიელმა **რუბენ ფარიამ** და ამან მას საერთო ჩათვლაში დაახლოებით რვა წუთის მოგების საშუალება მისცა. ახლა, გენერალურ კლასიფიკაციაში დეპრესა და ფარიას შორის სხვაობა ხუთწუთნახევარია.

დაკარის დასრულებამდე ორი ეტაპია დარჩენილი. ფინიში 19 იანვარს, ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოშია დაგეგმილი.

### XI ეტაპი

1. **ფრანც ვერჰუვენი** (ჰოლანდია, Yamaha) - 3:49.15; 2. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +1.38; 3. **ხოან ბარედა ბორტი** (ესპანეთი, "ჰუსკვარნა") - +3.01; 4. **ალენ დიუკლო** (საფრანგეთი, „შერკო“) - +3.17; 5. **ელდერ როდრიგესი** (პორტუგალია, Honda) - +4.07...

### საერთო ჩათვლა

1. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - 37:46.59; 2. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +5.39; 3. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - +13.40; 4. **ივან იაკეში** (სლოვაკეთი, KTM) - +20.16; 5. **ალესანდრო ბოტური** (იტალია, "ჰუსკვარნა") - +34.52...

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. იანვრის კალენდარი

### 19 იანვარი

ფილადელფია-პიტსბურგი
ვინიპეგი-ოტავა
ლოს ანჯელესი-ჩიკაგო
ბოსტონი-რეინჯერსი
მონრეალი-ტორონტო
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-ვაშინგტონი
ფლორიდა-კაროლინა
სენტ ლუისი-დეტროიტი
ნეშვილი-კოლამბუსი
დალასი-ფინიქსი
მინესოტა-კოლორადო
ვანკუვერი-ანაჰაიმი

### 20 იანვარი

ბაფალო-ფილადელფია
რეინჯერსი-პიტსბურგი
კალგარი-სან ხოსე
მინესოტა-დალასი
ვანკუვერი-ედმონტონი
ფინიქსი-ჩიკაგო

### 21 იანვარი

ბოსტონი-ვინიპეგი
აილენდერსი-ტამპა ბეი
ნეშვილი-სენტ ლუისი
ტორონტო-ბაფალო
ოტავა-ფლორიდა
კოლამბუსი-დეტროიტი
კალგარი-ანაჰაიმი

### 22 იანვარი

ვაშინგტონი-ვინიპეგი
კაროლინა-ტამპა ბეი
მონრეალი-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
დეტროიტი-დალასი
მინესოტა-ნეშვილი
ჩიკაგო-სენტ ლუისი
კოლორადო-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-სან ხოსე

### 23 იანვარი

პიტსბურგი-ტორონტო
რეინჯერსი-ბოსტონი
ვანკუვერი-კალგარი
ფინიქსი-კოლამბუსი

### 24 იანვარი

ტორონტო-აილენდერსი
ფილადელფია-რეინჯერსი
ვაშინგტონი-მონრეალი
კაროლინა-ბაფალო
ფლორიდა-ოტავა
სენტ ლუისი-ნეშვილი
დალასი-ჩიკაგო
კოლორადო-კოლამბუსი
ედმონტონი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-ფინიქსი

### 25 იანვარი

ბოსტონი-აილენდერსი
ბაფალო-კაროლინა
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
ტამპა ბეი-ოტავა
დეტროიტი-მინესოტა
ვინიპეგი-პიტსბურგი
ანაჰაიმი-ვანკუვერი

### 26 იანვარი

სან ხოსე-კოლორადო
რეინჯერსი-ტორონტო
კოლამბუსი-ჩიკაგო
ფლორიდა-ფილადელფია
დალასი-სენტ ლუისი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი
კალგარი-ედმონტონი
ანაჰაიმი-ნეშვილი

### 27 იანვარი

ვაშინგტონი-ბაფალო
ოტავა-პიტსბურგი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-ფილადელფია
სენტ ლუისი-მინესოტა
ჩიკაგო-დეტროიტი
ვინიპეგი-აილენდერსი
სან ხოსე-ვანკუვერი

### 28 იანვარი

კაროლინა-ბოსტონი
კოლამბუსი-დალასი
ფინიქსი-ნეშვილი
ედმონტონი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი

### 29 იანვარი

ბოსტონი-ნიუ ჯერსი
ბაფალო-ტორონტო
რეინჯერსი-ფილადელფია
მონრეალი-ვინიპეგი
ოტავა-ვაშინგტონი
პიტსბურგი-აილენდერსი
ტამპა ბეი-ფლორიდა
დეტროიტი-დალასი
მინესოტა-კოლამბუსი
სან ხოსე-ანაჰაიმი

### 30 იანვარი

ოტავა-მონრეალი
მინესოტა-ჩიკაგო
ფინიქსი-ედმონტონი
ვანკუვერი-კოლორადო

### 31 იანვარი

ბოსტონი-ბაფალო
ტორონტო-ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი-აილენდერსი
რეინჯერსი-პიტსბურგი
კოლამბუსი-სენტ ლუისი
ფლორიდა-ვინიპეგი
კალგარი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ნეშვილი
სან ხოსე-ედმონტონი

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსისთვის ჩემპიონი ადრეა

კარგი საჩუქარი გაუკეთეს NBA-ის კლუბებმა - "ნიუ იორკ ნიქსმა" და "დეტროიტ პისტონზმა" ბრიტანელ გულშემატკივრებს. მათ რეგულარული ჩემპიონატის მატჩი ლონდონში ჩაატარეს.

მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურ მასპინძლად "პისტონზი" მიიჩნეოდა, შეხვედრა "ნიუ იორკის" 16:0 გაქცევით დაიწყო, რის შემდეგაც ყველას ეგონა, რომ მატჩში არანაირი ინტრიგა არ იქნებოდა. მაგრამ, პირველი ტაიმის შემდეგ, "დეტროიტმა" შეძლო ძალების მობილიზება, გამოიყენა "ნიქსის" დროებითი მოდუნება და დაახლოებით იმავე სპურტით უპასუხა მეტოქეს. თუმცა **მაიკ ვუდსონის** შეგირდები, ამჯერად, წაგებას არ აპირებდნენ (მათ მხოლოდ სამი მოგება ჰქონდათ ბოლო რვა მატჩში) და მალე დაიბრუნეს კომფორტული უპირატესობა, რომელიც ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან.

აღვნიშნავთ, რომ ამ სეზონში პირველად გამოჩნდა "ნიუ იორკის" რიგებში **იმან შუმპერტი**, რომელმაც რვა ქულით გამოიჩინა თავი. ძალიან აქტიური იყო **ამარე სტაუდმაიერი** - მან 20 წუთში 17 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

ძალიან ცუდად გამოიყურება "მინესოტა". "მგლებმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგეს, "კლიპერსმა" კი **კრის პოლის** გარეშე, მიჯრით მესამე შეხვედრა მოიგო. თუ "ჰიუსტონთან" წინა მატჩში კალიფორნიელებს გარკვეული ძალისხმევა დასჭირდათ, ამჯერად, "კლიპერსს" არანაირი პრობლემა არ შექმნია. გამონაკლისი იყო მხოლოდ მეორე მეოთხედის დასასრული, როცა სტუმრები ოთხ ქულამდე მიუახლოვდნენ მეტოქეს. მაგრამ, ამას მოჰყვა რამდენიმე გაფუჭებული შეტევა და "მგლებმა" შეტევაში პრობლემებით გაატარეს დარჩენილი დრო. ისინი თამაშიდან 35 პროცენტის სიზუსტით ისროდნენ, მათმა სათადარიგოთა სკამმა კი პირწმინდად წააგო დუელი "კლიპერსის" რეზერვისტებთან - 25:43.

■ ■ ■

26 წელი ვერ ახერხებდა "მილუოკი" ფინიქსში გამარჯვებას. "ირმების" წაგებათა სერია 24 მატჩს აღწევდა. დღეს "სანზი" ისე საშინლად გამოიყურება, რომ პირველად 2004 წლის შემდეგ, ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო შინ, თანაც ამ მარცხში არიზონელები თავად არიან დამნაშავენი. მეოთხე მეოთხედში "ფინიქსმა" თამაშიდან სროლების 29 პროცენტი გამოიყენა და ექვსი შეცდომა დაუშვა, თანაც ბოლოსკენ "მილუოკიმ" 10:0 სპურტის განხორციელება მოახერხა და ამან ნოკაუტში ჩააგდო **ელვინ ჯენტრის** გუნდი.

"ფინიქსმა" ბოლო 15 მატჩში 13 წააგო და კვლავაც ბოლო ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში.

■ ■ ■

მივადექით დღის ცენტრალურ შეხვედრას, რომელშიც "ლეიკერსი" ჩემპიონ "მაიამის" ილებდა. ფლორიდელებისთვის ეს იყო ზედიზედ მეექვსე გასვლითი შეხვედრა. აღნიშნულ მატჩში ნათლად გამოჩნდა, რომ ამ მომენტისთვის, კალიფორნიელთა რიგებში არ არის კალათბურთელი და არ არსებობს სათამაშო სქემა, რომელიც მეტოქის სწრაფ გარღვევებს შეაჩერებდა. ფაქტობრივად მთელ მატჩის განმავლობაში, "ჰიტი" ატერორებდა "ლეიკერსის" სამწამიან ზონას (68:28).

მაგრამ "მაიამისაც" არ აქვს ყველაფერი წესრიგში. მის რიგებში მხოლოდ **ჯეიმსისა** და **უეიდის** გამოყოფა შეიძლება, **ბოშს** კი საერთოდ არ წაუვიდა თამაში. მეოთხე მეოთხედამდე, ორივე გუნდის თამაშის ხარისხი მოიკოჭლებდა. "ჰიტი" ვერ ახერხებდა გაქცევას, რადგან მის რიგებში მხოლოდ ორი კალათბურთელი თამაშობდა, "ლეიკერსს" კი სპურტის საშუალებას არ აძლევდა გაუთავებელი შეცდომები და **კობის** ჩავარდნა (3/16 პირველ სამ მეოთხედში).



ლებრონმა კობის აჯობა

ბოლო 12-წუთეულში ბრაიანტი, როგორც იქნა, ათამაშდა. მხოლოდ მისი მონდომებით შეძლო "ლეიკერსმა" "მინუს რვიდან" ორქულიან უპირატესობამდე ასვლა. მაგრამ ამაზე, "მაიამის" თავისი პასუხი აღმოაჩნდა - სათადარიგოთა სკამიდან დაბრუნებულმა **რეი ალენმა** შვიდი ქულა დააგროვა. ბოლოსკენ, ისევ უბედურება დაემართა **დუაიტ ჰოვარდს** საჯარიმოების რეალიზაციის მხრივ, "ჰიტის" დაცვა კი გაუვალი გახდა და კალიფორნიელებს ბოლო ორწუთნახევარში ქულა არ დააგროვებინა.

"ლეიკერსი" ისევ დამარცხდა სერიოზულ მეტოქესთან. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე სეზონში, კალიფორნიელები მხოლოდ სამი მოგებით დაიკვეხნიან ძლიერ გუნდებთან - "ნიუ იორკთან", "ბრუკლინთან" და "დენვერთან". ძირითადად, "ლეიკერსი" ამარცხებს ისეთ გუნდებს, რომლებსაც პლეი ოფში მოხვედრის შანსი არ გააჩნიათ. სიტუაციას ვერ უშველა **მაიკ დ'ენტონის** მისვლამ და ვერც **ნეშმა** მოახერხა "ლეიკერსის" გაძლიერება, გუნდი სტაბილურად ვერ იყენებს ჰოვარდის ფაქტორს... ბრაიანტი კი მარტო ვერ ახერხებს გუნდის თრევას, მით უმეტეს მაშინ, როცა მის წინააღმდეგ სეზონში საუკეთესო დაცვას თამაშობს უეიდი.

### დეტროიტი-ნიუ იორკი 87:102

17:29, 24:27, 22:19, 24:27

**დ:** ბაინუმი (22), სინგლერი (15), პრინსი (12), მონრო (11+10 მოხსნა+5 პასი), დრამონდი (11+10 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (26), სტაუდმაიერი (17), სმიტი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნოვაკი (13), ჩენდლერი (10+14 მოხსნა).

### მინესოტა-კლიპერსი 77:90

22:27, 21:20, 20:21, 14:22

**მ:** რიდნური (21+5 პასი), კირილენკო (15+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), უილიამსი (10+7 მოხსნა).

**კ:** კროუფორდი (22), გრიფინი (20), ბატლერი (12), ტურიაფი (11), ბარნსი (10+6 მოხსნა), ოდომი (2+12 მოხსნა+6 პასი).

### ფინიქსი-მილუოკი 94:98

22:32, 34:21, 19:17, 19:28

**ფ:** ბრაუნი (20+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), სკოლა (16+8 მოხსნა), დადლი (13+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), დრაგიჩი (10).

**მ:** ელისი (24+6 პასი+3 ჩაჭრა), სანდერსი (19+15 მოხსნა), ჯენინგსი (16+5 მოხსნა), დანლივი (16+3 დაფარება), ჰენსონი (10+6 მოხსნა).

### ლეიკერსი-მაიამი 90:99

22:26, 23:18, 20:29, 25:26

**ლ:** ბრაიანტი (22), უორლდ პისი (16), ჰოვარდი (13+16 მოხსნა), ჯეიმისონი (12+6 მოხსნა), პ. გასოლი (12).

**მ:** ჯეიმსი (39+7 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), უეიდი (27+5 პასი).

# კობის ვარსკვლავური რეკორდი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **კობი ბრაიანტმა** რეკორდი დაამყარა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობის მხრივ, - ამის შესახებ წერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი.

გუშინ NBA-მ შეაჯამა გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები და დაასახელა აღმოსავლეთი და დასავლეთი კონფერენციების სასტარტო ხუთეულები. ბრაიანტი გამოკითხვის ლიდერი გახდა - მას ხმა მისცა მილიონ-ნახევარზე მეტმა ადამიანმა. რიგით 62-ე "ოლ სტარი" 17 თებერვალს, ქალაქ ჰიუსტონში გაიმართება.

"ლეიკერსის" 34 წლის მცველი კარიერაში მეთხუთმეტედ ითამაშებს "ყველა ვარსკვლავის მატჩში". ამ შეხვედრაში ზედიზედ 15-ჯერ მიწვევით (აქ არ ითვალისწინებენ 1998-99 წლების სეზონს, როცა ლიგაში ლოკაუტი გამოცხადდა), ბრაიანტმა NBA-ის ახალი რეკორდი დაამყარა - მან გაუსწრო **ჯერი უესტს, შაკილ ო'ნილსა** და **კარლ მელოუნს**, რომლებსაც "ოლ სტარზე" ზედიზედ 14 მიწვევა ჰქონდათ.




"ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო შემადგენლობები ასე გამოიყურება:

### დასავლეთი

კრის პოლი (კლიპერსი)
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
დუაიტ ჰოვარდი (ლეიკერსი)
ბლეიკ გრიფინი (კლიპერსი)
კევინ დურანტი (ოკლაჰომა)

### აღმოსავლეთი

რაჯონ რონდო (ბოსტონი)
დუეინ უეიდი (მაიამი)
კევინ გარნეტი (ბოსტონი)
კარმელო ენტონი (ნიუ იორკი)
ლებრონ ჯეიმსი (მაიამი)

უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში, NBA-ის კლუბების მწვრთნელები აირჩევენ შვიდ-შვიდ კალათბურთელს თითოეული კონფერენციიდან, რომლებიც "ყველა ვარსკვლავის მატჩს" სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# მარიას შეწყვეტილი სერია

**ვაჯამებთ** **ავსტრალიის ღია პირველობის მეხუთე დღეს, სადაც მესამე რაუნდის პირველი მატჩები გაიმართა...**

### დღის დერბი

მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანის - **ანა ივანოვიჩისა** და **ელენა იანკოვიჩის** მატჩს მოუთმენლად ელოდნენ იმ მომენტიდან, როცა ავსტრალიის ღია პირველობის ქალთა ბადე შედგა. სერბული ქალთა ჩოგბურთის ორი ლიდერის დაპირისპირება დიდი ხანია გრძელდება და ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელობისთვის ბრძოლა გაცილებით მნიშვნელოვანი დეტალია ორივესთვის, ვიდრე რეიტინგში არსებული პოზიცია.

მატჩმა გაამართლა მოლოდინი. „ჰაისენს არენაზე" იყო ყველაფერი - დინამიური გათამაშებები, გონივრული მოქმედებები, მცირეოდენი დრამა... არ იყო მხოლოდ ინტრიგა. ივანოვიჩის თაყვანისმცემლებმა ოდნავ ინერვიულეს, როცა პირველ სეტში ანამ 5:2-ზე თამაშის სადავეები გაუშვა ხელიდან, მაგრამ შეძლო იანკოვიჩის ზედიზედ 12-გათამაშებიანი წარმატებული სერიის შეჩერება და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში ანამ მსგავსი ჩავარდნა აღარ დაუშვა და თანდათან დაარწმუნა ყველა, რომ დაიბრუნა იანკოვიჩზე ის უპირატესობა, რომელიც მათი დაპირისპირების პირველ წლებში ჰქონდა. ივანოვიჩი გუშინ უფრო სწრაფი იყო, უფრო მონდომებული და ისე ჩანდა, რომ მოგებაც უფრო მეტად უნდოდა. ხანდახან იანკოვიჩსაც ჰქონდა კარგი მომენტები, მაგრამ მოგებაზე მან ვერ ითამაშა და კანონზომიერად დამარცხდა ორ სეტში.

### დღის გაკვეთილი

პირველი ორი წრისგან განსხვავებით, მესამე რაუნდში **აგნიეშკა რადვანსკას**, როგორც იქნა, ღირსეული მეტოქე ჰყავდა. რა თქმა უნდა, ვარსკვლავის სტატუსამდე **ჰიზერ უოტსონს** ბევრი აკლია, მაგრამ მისი შესაძლებლობების შეუფასებლობა დიდი შეცდომა იქნებოდა პოლონელის მხრიდან.

უოტსონი უნდა შევაქოთ იმის გამო, რომ მასზე აშკარად ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ სწორი ტაქტიკა აირჩია. რადვანსკა შესანიშნავად გრძნობს თავს მაშინ, როცა მოწინააღმდეგე ხანმოკლე გათამაშებებში შეტევით ცდილობს წარმატების მიღწევას. ამიტომაც, უოტსონმა უკანა ხაზზე დარტყმების აქტიური გაცვლა შესთავაზა მსოფლიოს მეოთხე ნომერს და სულაც არ ჩქარობდა მოვლენათა ფორსირებას. შეხვედრის სტარტზე დაშვებული ორმაგი შეცდომა იყო იმის მაჩვენებელი, რომ რადვანსკა თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა. სწორედ აქედან იწყება გაკვეთილი უოტსონისთვის. თავიდან, აგნიეშკამ აჩვენა ბრიტანელს, როგორ უნდა კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედება. შემდეგ დაგვანახა, რომ არ ღირს თამაშის მანერის სწრაფად შეცვლა, როცა რაღაც არ გამოგდის. პირველი სეტის შუაში, უოტსონმა ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო, რაც პარტიის წაგებად დაუჯდა, მიუხედავად იმისა, რომ ბრეიკის გაკეთება მოასწრო.

მეორე სეტი ბრიტანელისთვის არანაკლებ ჭკუის სასწავლებელი გამოდგა. თამაშის გამწვავების მცდელობას პერიოდულად მოჰქონდა წარმატება, მაგრამ ამ შემთხვევაში, აგნიეშკა ბრწყინვალედ მოქმედებდა უკანა ხაზზე და ჩვეულ სტილში მეტოქის შეცდომებს ელოდა. მეტოქემ კი ვერ გაუძლო ვარსკვლავთან გამოცდას, თუმცა, საერთო ჯამში, საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა.

აგნიეშკამ კი 2013 წელს 12-დან 12 მატჩი მოიგო ისე, რომ ჯერ სეტი წაუგია.

### დღის ხასიათი

დრამატული დასასრული ჰქონდა **იულია გორგესისა** და **ჟიე ჟენგის** შეხვედრას. ჩინელმა ჩოგბურთელმა შესანიშნავი შანსი მიიღო მატჩის თავის სასარგებლოდ დასასრულებლად, როცა მესამე სეტში 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ გორგესმა მნიშვნელოვან მომენტში ბრეიკი გააკეთა და თამაშის ბედი თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. მე-12 გეიმში მას უკვე მყარად ჰქონდა მოპოვებული ინიციატივა და ჩინელი ტურნირის მიღმა დატოვა.



მარია შარაპოვა

### დღის სიმპათია

ასაკის მატებასთან ერთად, სპორტსმენების მიმართ დამოკიდებულება იცვლება. **რადეკ შტეპანეკი** უკვე 34 წლისაა, მაგრამ არ იღლება კორტზე გასვლისგან და ხარისხიან ჩოგბურთსაც აჩვენებს. სწორედ აქედან მოდის პუბლიკის მხრიდან სიმპათია, რაც კარგად იგრძნობოდა გუშინ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** მატჩში. ალბათ, შტეპანეკს თავადაც არ სჯეროდა, რომ სერბს მოუგებდა, ამიტომაც ისლა რჩებოდა - უბრალოდ ეჩვენებინა ყველაფერი საუკეთესო, რაც მას შეუძლია. შეიძლება ითქვას, ვეტერანმა ეს მოახერხა, როცა რამდენიმე ძალიან ლამაზი გათამაშება მოიგო და საერთოდაც, ბევრი ამუშავა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. საერთო ჯამში კი შტეპანეკმა ერთი სეტის მოგების შანსიც ვერ მიიღო, რადგან საკუთარი ერთფეროვნების მსხვერპლი გახდა. რადეკი ძალიან ხშირად გადიოდა ბადესთან, ასე რომ, ჯოკოვიჩისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა მეტოქის ამგვარ მანერასთან შეგუება. სერბმა თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა და მერვედფინალში შეაბიჯა.

### დღის სერიის დასასრული

პირველი ორი მატჩის „მშრალი" ანგარიშით მოგების შემდეგ, **მარია შარაპოვამ** მაინც წააგო გეიმი, თანაც არა ერთი. თუმცა ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან რუსის მეტოქე გახლდათ ამერიკელი **ვენუს უილიამსი**. ამ უკანასკნელმა ვერ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა მარიას, თუმცა შეწყვიტა რუსის მიერ ზედიზედ მოგებული გეიმების სერია, რომელიც 28-ს უტოლდება.

### დღის რეკორდსმენი

მიუხედავად იმისა, რომ მარია შარაპოვას სერია გუშინ შეწყდა, სწორედ რუსი გახდა „ღია ერაში" „დიდი სლემის" ტურნირების რეკორდსმენი - აქამდე, ზედიზედ 28 გეიმი ამ სერიის ტურნირებზე არავის მოუგია. თუმცა შარაპოვა მეორე რეკორდს, სავარაუდოდ, ვერ მოხსნის. ლაპარაკია **მარი პირსის** მიღწევაზე, რომელმაც 1994 წელს, როლან გაროსის მეოთხედფინალამდე ისე მიაღწია, რომ მხოლოდ ოთხი გეიმი წააგო. მარიამ ზუსტად ამდენი დათმო ვენუს უილიამსთან, წინ კი რუსს კიდევ ერთი მატჩი აქვს.

### დღის საჩუქარი

**ანჟელიკ კერბერმა** გუშინ 25-ე დაბადების დღე იზეიმა. გერმანელმა საკუთარ თავს საუკეთესო საჩუქარი გაუკეთა, როცა კარიერაში პირველად გავიდა ავსტრალიის ღიას მერვედფინალში.

### დღის დანაკარგი

**სემ კუერი** ბოლო ამერიკელი იყო, რომელიც აგრძელებდა ბრძოლას ავსტრალიის ღიაზე, მაგრამ **სტანისლას ვავრინკასთან** მატჩის შემდეგ, მასაც შინ მოუწია გამგზავრება. ასე რომ, ზედიზედ მეორე წელია, ავსტრალიის ღიას მერვედფინალში ვერ ვხედავთ აშშ-ის ვერც ერთ წარმომადგენელს. აქამდე, მსგავსი რამ 1973 წელს მოხდა, როცა ამერიკელები საერთოდ არ ჩავიდნენ ტურნირზე.

### დღის მიღწევა

**მარკოს ბაღდატისის** დამარცხების შემდეგ, ესპანელმა **დავიდ ფერერმა** გაინაღდა ATP-ის რეიტინგში მეოთხე ადგილზე გადასვლა. ის **რაფაელ ნადალის** ადგილს დაიკავებს. ფერერი ხუთი წლის წინაც იყო მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი და ეს მის კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელია.

#### 1/16 ფინალი

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 31) 6:4, 6:3, 7:5; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 15)**-სემ კუერი (აშშ, 20) 7:6(6), 7:5, 6:4; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22) 4:6, 6:3, 4:6, 7:6(4), 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 26) 6:3, 6:2, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 28) 6:4, 6:2, 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ, 16)**-ევგენი დონსკოი (რუს) 7:6(3), 6:2, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)**-იერჟი იანოვიჩი (პოლ, 24) 7:6(3), 7:6(4), 6:1; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 32) 3:6, 6:4, 2:6, 6:4, 6:3.

**ქალები**

**ნა ლი (ჩინ, 6)**-სორანა კირსტეა (რუმ, 27) 6:4, 6:1; **ჯულია გორგესი (გერ, 18)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:3, 1:6, 7:5; **ანა ივანოვიჩი (სერ, 13)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 22) 7:5, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 6:3, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-მედისონ კისი (აშშ) 6:2, 7:5; **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 19)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 11) 6:7(4), 6:3, 6:4; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ვალერია სავინიხი (რუს) 6:2, 4:6, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 25) 6:1, 6:3.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 9 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 15 | (მზე) |
| ბათუმი | 9 | 18 | (მზე) |
| ფოთი | 7 | 17 | (მზე) |
| ზუგდიდი | 6 | 17 | (მზე) |
| გორი | -5 | 8 | (მზე) |
| თელავი | -2 | 11 | (მზე) |
| სიღნაღი | -3 | 10 | (მზე) |
| ბაკურიანი | -9 | 3 | (მზე) |
| ბორჯომი | -8 | 5 | (მზე) |
| მესტია | -8 | 6 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2160 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6598 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6442 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4948 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| დუბნიცა-ტრნავა | 1:1 |
| ჟალგირისი-დაუგავა | 2:2 |
| ბოლესლავი-სლოვანი | 4:0 |
| ლილესტრიომი-სტრიომსგოდ. | 3:1 |
| კალიუ-ლევადია | 3:2 |
| სტ. გალენი-ტიროლი | 2:2 |
| პიასტი-შლიონსკი | 1:0 |
| პრშიბრამი-ბოჰემიანსი | 0:2 |
| პადერბორნი-ლუგანო | 1:1 |
| ფერენცვაროში-დინამო (კ) | 3:2 |
| ჰარტბერგი-ვინერი | 1:4 |
| რეჯინა-სიონი | 3:0 |
| ზანდჰაუზენი-დარმშტადტი | 0:0 |
| სტიაუა-ბაზელი | 1:1 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ლესტერი-მიდლსბრო | 1:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| მორეკამბი-ჩელტენემი | 0:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-მალიორკა | 3:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შალკე-ჰანოვერი | 5:4 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლიონი-ევიანი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არლი-აიაჩო | 1:0 |
| კაენი-ნიორი | 0:1 |
| ისტრი-მონაკო | 0:2 |
| ჰავრი-ლანსი | 2:2 |
| ლე მანი-შატორუ | 2:0 |
| ნიმი-კლერმონი | 3:0 |
| ტური-დიჟონი | 3:1 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| მეცი-ვანი | 1:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-ცვოლე | 1:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერი-ჰელმონდი | 0:1 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| სპორტინგი-ბეირა მარი | 1:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ქასიმფაშა-გალათასარაი | 2:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| მელბურნ ჰ-ადელაიდა | 2:0 |

**აზია**

**გულფის თასი**

| | |
|---|---|
| ბაჰრეინი-ქუვეითი | 1:6 |
| საემიროები-ერაყი | 1:1 დ.დ 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ხიმკი-მაკაბი | 88:67 |
| ფენერბაჰჩე-კახა ლაბორალი | 75:97 |
| ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი | 72:74 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| როანი-შალონი | 53:65 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| გიპუსკოა-ხუვენტუდი | 67:73 |

**ხელბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ჩილე | 36:24 |
| ტუნისი-არგენტინა | 22:18 |
| ისლანდია-კატარი | 39:29 |
| საფრანგეთი-გერმანია | 30:32 |
| დანია-მაკედონია | 33:30 |
| ბრაზილია-ჩერნოგორია | 26:25 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ლევ პოპრადი | 4:0 |
| ბარისი-ცსკა | 1:8 |
| იუგრა-სლოვანი | 3:1 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 5:2 |
| დონბასი-ატლანტი | 3:0 |
| დინამო (რ)-ტორპედო | 3:4 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალბა-დორნბირნი | 4:3 |
| ვენა-კლაგენფიურტი | 5:1 |
| ზალცბურგი-ზნოიმო | 3:4 |
| ინსბრუკი-გრაცი | 2:5 |
| ზაგრები-ვილახი | 5:2 |
| ოლიმპია-ლინცი | 1:6 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კიოლნი | 2:1 |
| ჰამბურგი-მანჰაიმი | 2:5 |
| დიუსელდორფი-აისბარენი | 3:6 |
| ინგოლშტადტი-მიუნხენი | 3:2 (ბ) |
| კრეფელდი-იზერლონი | 1:3 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1:3 |
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 4:3 (ბ) |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ოლბორგი | 2:3 |
| ესბერგი-ოდენსე | 6:1 |
| სონდერიისკი-ფრედრიკშავნი | 0:1 |
| ჰერლევი-ჰერნინგი | 1:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-ბისტრიცა | 1:3 |
| ნიტრა-ჟილინა | 5:2 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 1:4 |
| ზვოლენი-პოპრადი | 4:2 |
| კოშიცე-პიესტანი | 3:2 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-პელიკანსი | 2:3 |
| იოკერიტი-ტაპარა | 1:3 |
| კალპა-კერპეტი | 2:3 |
| ლუკო-ტპს | 5:4 (ო) |
| ჰპკ-ჰიფკ | 4:2 |
| ესეტი-ბლუზი | 1:4 |
| იუვიასკიულა-სეიპა | 4:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 3:2 |
| ჟლინი-ვიტკოვიცე | 5:3 |
| ხომუტოვი-პარდუბიცე | 4:3 |
| ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი | 3:1 |
| პლზენი-სლავია | 2:4 |
| სპარტა-ლიბერეცი | 8:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| კლოტენი-ბერნი | 1:3 |
| რაპერსვილი-ამბრი | 7:4 |
| სერვეტი-ცუგი | 2:3 |
| ფრიბურგი-ბილი | 4:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 3:4 (ბ) |
| ტიმრა-ბრიუნესი | 2:3 |
| ფერიესტადი-როგლე | 5:1 |

## TV პროგრამა

### 19 იანვარი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. შალკე-ჰანოვერი.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ეინდჰოვენი-ცვოლე.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. მანჩესტერ იუნაიტედი.
**17:30** ჰოლადიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ეინდჰოვენი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. მანჩესტერ სიტი-ფულემი (LIVE).
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ვერდერი-დორტმუნდი (LIVE).
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ლევერკუზენი-აინტრახტი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგარმა - გოლი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ჩიკაგო.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ბიარიცი-ჰარლიქვინსი.
**17:30** NBA ACTION.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბაიერნი-ფიურტი (LIVE).
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:00** ბრძოლა წესების გარეშე. K1.
**22:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ექსეტერი-ლენსტერი (LIVE).
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ჰობარტი. ავსტრალია.
**12:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
**15:10** კალათბურთი. ევროლიგა. ბარსელონა-ოლიმპიაკოსი.
**17:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ლევერკუზენი-აინტრახტი (LIVE).
**20:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-ალსტერი.
**22:45** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ტვენტე-ვაალვეიკი (LIVE).

### 20 იანვარი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბაიერნი-ფიურტი.
**12:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ტვენტე-ვაალვოკი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ბაიერნი.
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. ჩელსი-არსენალი (LIVE).
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ნიურნბერგი-ჰამბურგი.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. აიაქსი-ფეიენოორდი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მონპელიე-ტულონი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მემფისი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:45** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-რასინგი (LIVE).
**19:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ტულუზა (LIVE).
**21:00** NBA ACTION.
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ლეიკერსი (LIVE).
**00:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
**12:50** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ექსეთერი-ლენსტერი.
**14:50** კალათბურთი. ევროლიგა. ჟალგირისი-ცსკა.
**16:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**17:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. აიაქსი-ფეინოორდი (LIVE).
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-დალასი.
**21:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ბიარიცი-ჰარლიქვინსი.
**23:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი სკანდალი

# ყველა დროის ტყუილი

## ამერიკელი ფეხბურთელის სასიყვარულო ისტორია არარსებულ გოგონასთან




ამერიკული ფეხბურთის 21 წლის მოთამაშე **მანტი ტე'ო** კიბოთი გარდაცვლილ გოგონას **ლენეი კეკუას** ყოველ ინტერვიუში იხსენებდა და მას უძღვნიდა თავის ყველა წარმატებას. ის მთელს ამერიკას ეცოდებოდა. მაგრამ, ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ კეკუა, რომელსაც ტე'ო ასე ეთაყვანებოდა, სინამდვილეში არ არსებობდა. აგორდა გრანდიოზული სკანდალი. ერთნი ტე'ოს მატყუარას უწოდებენ, მეორენი კი მის მეგობარს ადანაშაულებენ.

მანტი ტე'ო - ნოტრ-დამის უნივერსიტეტის საუკეთესო მოთამაშეა. ის კოლეჯის ფეხბურთის ვარსკვლავი გახლავთ. 2012 წელს, ტე'ომ რვა ინდივიდუალური პრიზი მოიპოვა - ეს რეკორდია. წინ არის დრაფტის პირველი რაუნდი და ვარსკვლავის სტატუსი. ტე'ო - სოფლელი ბიჭია, დაიბადა ჰავაის კუნძულ ოაჰუზე. მას უყვარს დედა და მამა, პატივს სცემს ბებიებსა და ბაბუებს, ასევე მორმონიზმის მიმდევარია. მოკლედ, საქმე გვაქვს ნამდვილ ამერიკულ ოცნებასთან.

მაგრამ მანტი - ტრაგიკული ბედის ადამიანია. მას ჰყავდა გოგონა, მუზა, ალმაფრენის უშრეტი წყარო - ლენეი კეკუა. მათ 2011 წელს გაიცნეს ერთმანეთი - ამაში ინტერნეტი დაეხმარათ; გაჩაღდა ვნებიანი და გულწრფელი რომანი...

მაგრამ, 2012 წლის ზაფხულში უბედურება მოხდა: ექიმებმა ლენეის ლეიკოზი დაუდგინეს და გოგონა 11 სექტემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა. ყველაზე ნაღვლიანი ის არის, რომ იმავე დღეს გარდაცვალა ფეხბურთელის ბებია. მთელი ღამე მანტი ტელეფონით ელაპარაკებოდა ლენეის. გოგონა მას სიყვარულში გამოუტყდა, ბიჭმა კი ალუთქვა, რომ კიდევ უფრო უკეთ ითამაშებდა და ყველას გაანადგურებდა.

მანტი სიტყვას ასრულებდა: ლენეის სიკვდილიდან სამი დღის თავზე, მან ფაქტობრივად გაანადგურა მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდი, შემდეგ კი არ გამოუტოვებია NCAA-ის ჩემპიონატის არც ერთი მატჩი. ლენეის ის ყოველ ინტერვიუში იხსენებდა, ყველა გამარჯვებას მხოლოდ მას უძღვნიდა. მანტის კოლეგებმა, როგორც კი სიტყვა "ლეიკემია" გაიგეს, ქველმოქმედებას მიჰყვეს ხელი. სულისშემძვრელი ისტორიის შესახებ არა მარტო გაზეთები წერდნენ, არამედ ყველაზე რეიტინგული ტელევიზიები უთმობდნენ დიდ დროს - დიასახლისები ტიროდნენ. ბიჭს კუნძულ ოაჰუდან მთელი ამერიკა უთანაგრძნობდა.

■ ■ ■

მაგრამ ამ სასიყვარულო ისტორიის შესახებ, რომელიც ჰოლივუდური ეკრანიზაციის ღირსი იყო, მანტის გარდა არავინ არაფერს ყვებოდა. რატომღაც არ გამოჩნდა ტელეეკრანებზე ლენეის მშობლების ამაღელვებელი მონათხრობი, არსად ჩანდნენ მისი მეგობრები. მანტის მამამ - ბრაიანმა თქვა, რომ ლენეი აპირებდა ჰავაიზე ჩასვლას, მაგრამ მისი ვაჟის შეყვარებული "ცოცხლად" არასოდეს უნახავს. ვთქვათ, უფროსი ტე'ო ლოს ანჯელესიდან მოშორებით ცხოვრობს, მაგრამ ლენეი კეკუა მანტის თანაგუნდელებსაც არ უნახავთ.

ლენეი საერთოდ არავის არ ჰყავდა ნანახი. მანტისაც კი. ლენეი კეკუა არ არსებობდა. ის გამოგონილი, ყალბი გოგონაა.

ამ მისტიფიკაციას ფარდა სპორტულმა პორტალმა Deadspin-მა ახადა.

ჟურნალისტურ გამოძიებას აფეთქებული ბომბის ეფექტი ჰქონდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის - მასალამ Facebook-ზე ერთ დღე-ღამეში 90 ათასი (!) "ლაიქი" მიიღო.

ტე'ოს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი შეყვარებული - სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტია. ცნობისთვის, ეს არის დასავლეთ ნახევარსფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და სახელგანთქმული სასწავლებელი. ლენეი კეკუას იქ არასოდეს უსწავლია. ამერიკულ გაზეთებში არ გამოქვეყნებულა ნეკროლოგები (აშშ-ში ეს ჩვეულებრივი ამბავია) კეკუას საპატივცემულოდ. ლენეი არასოდეს გამოჩენილა სამედიცინო დაწესებულებებში...

რაც შეეხება ფოტოს, რომელიც ტრიუმფალურად წარმოადგინა ტელეკომპანია CBS-მა, ის ყალბი არ არის. თუმცა სურათი არა ლენეი კეკუას, არამედ 22 წლის კალიფორნიელს ეკუთვნის, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა. *"დიახ, ეს ჩემი ფოტოა, - განუცხადა მან Deadspin-ის ჟურნალისტს. - მაგრამ, როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ. არასოდეს მქონია ლეიკემია და არ მისწავლია სტენფორდში. წარმოდგენაც კი არ მაქვს, ვინ არის მანტი ტე'ო".*

კალიფორნიელი ქალის ფოტოები "ტვიტერში" მიკრობლოგ @lovalovaloveYOU-ში გადაიტანეს. აღნიშნულმა მიკრობლოგმა, მოგვიანებით, ორჯერ შეიცვალა სახელი – ჯერ @LennayKay გახდა (2012 წლის აპრილიდან სექტემბრამდე), შემდეგ @LoveMSMK (სექტემბრიდან). საინტერესოა, რომ დეკემბერში @LoveMSMK განახლდა - და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, იქ "ლენეი კეკუას" ახალი ფოტოები გაჩნდა. თუ როგორ მოხდა ეს, ამაზე ჟურნალისტებს დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა გოგონამ, რომლის ფოტოებიც "მოიპარეს". ამით, მან, სავარაუდოდ, ამხილა ბოროტმოქმედი, რომელმაც გადაწყვიტა ცინიკურად ეთამაშა ახალგაზრდა ფეხბურთელის გრძნობებზე.

*"Facebook-ზე მომწერა თანაკლასელმა და მითხრა, რომ ჩემი ფოტოები მოეწონა მის ძმას, რომელიც სერიოზულ საავტომობილო ავარიაში მოხვდა, - აცხადებს ქალი. - მან მითხრა, რომ მისი ძმა ცუდად გრძნობს თავს და მას მხარდაჭერა სჭირდება. მთხოვა, რომ ფოტოები MSMK-ის მიკრობლოგში განმეთავსებინა. მან არ ამიხსნა, თუ რა აბრევიატურა იყო ეს. დღემდე არ ვიცი, რას ნიშნავს. მე მათ თხოვნას დავყევი. რა ჰქვია თანაკლასელს? რონაია ტუიასოსოპო".*

ტუიასოსოპო "საფეხბურთო" ოჯახიდანაა და რაც მთავარია, ტე'ოს კარგად იცნობს (რაც არ არის გასაკვირი, რადგან ისინი არა მხოლოდ კოლეგები არიან, არამედ ერთი კუთხიდან მოდიან).

ამერიკული პრესის ცნობით, თამაში - ვირტუალური ლამაზმანი მისი საყვარელი გასართობია.

გამორიცხული არ არის, რომ ტუიასოსოპოს, თუ ის, რა თქმა უნდა, ამ სიყალბის ორგანიზატორია, თანამონაწილე ქალი ჰყავდა: განვითარებული ტექნიკის მიუხედავად, მას გაუჭირდებოდა ქალის ხმის იმიტაცია. თუმცა ჯერჯერობით ნაადრევია ყველაფრის ტუიასოსოპოზე გადაბრალება. საკმაოდ არიან იმ ვერსიის მიმდევრები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ყველაფერი ტე'ომ მოიფიქრა. ისინი უამრავ არგუმენტს ასახელებენ. დაწყებული "არ შეიძლება ასეთი იდიოტი იყო" და დამთავრებული "ეს ყველაფერი პიარაქციაა".

■ ■ ■

"ნოტრ-დამმა" ტე'ოს დაცვა დაიწყო. ამ კამპანიას სათავეში ჩაუდგა კლუბის დირექტორი **ჯეკ სვეარბრიკი**. *"ეს კარგად დაგეგმილი მისტიფიკაციაა, - განაცხადა მან პრესკონფერენციაზე. - ის, რაც მოხდა, ნამდვილი ტრაგედიაა. მანტიმ იცრუა? არა. მე მასში დარწმუნებული ვარ. მისდამი ჩემი ნდობა იოტისოდენადაც არ შეცვლილა. მისი ტკივილი აბსოლუტურად რეალურია. და სიყვარულიც რეალური იყო. ეს გახლდათ სასტიკი თამაში".*

*"და მინდა დაგარწმუნოთ, რომ "ლენეი კეკუასთან" მანტი მხოლოდ ვირტუალურად და ტელეფონით ურთიერთობდა"*, - დაამატა დირექტორმა.

მოგვიანებით, სვეარბრიკმა სენსაციური დეტალებიც გამოამზეურა: *"6 დეკემბერს, ორლანდოში პრიზების გადაცემის ცერემონიაზე, მანტის გოგონამ დაურეკა და უთხრა, რომ ლენეი კეკუაა და ის ცოცხალი და ჯანმრთელია. თუმცა ამის შესახებ ფეხბურთელმა მხოლოდ სამი კვირის შემდეგ გაამხილა. ჩვენ დავუკავშირდით კერძო დეტექტიურ სააგენტოს. გამომძიებლებმა იპოვეს დამნაშავეთა ონლაინლაყბობა. და მანტი არ ყოფილა მათი ერთადერთი სამიზნე".*

*"არასოდეს შემხვედრია მანტიზე პატიოსანი ადამიანი"*, - ასეთი გულისამაჩუყებელი სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა "ნოტრ-დამის" შეფმა.

ასეა თუ ისე, გამოძიება გრძელდება, დღეს კი ამერიკულ სპორტულ სამყაროში ეს არის ყველაზე განხილვადი თემა, რომელმაც **ლენს არმსტრონგისა** და **ოპრა უინფრის** სატელევიზიო შოუს ეთერში გასვლაც კი დაჩრდილა.




ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** აღიარა, რომ 1999-2005 წლებში მოგებულ შვიდივე ტურ დე ფრანსზე დოპინგს იყენებდა. ამის შესახებ ამერიკელმა ტელეწამყვან **ოპრა უინფრისთან** ინტერვიუში მოყვა. ინტერვიუ გუშინ, ტელეარხ OWN-ზე (Oprah Winfrey Network) გავიდა. არმსტრონგმა განაცხადა, რომ სხვა აკრძალულ პრეპარატებთან ერთად, იყენებდა ტესტოსტერონს, კორტიზონსა და ადამიანის ზრდის ჰორმონს.

ლენსმა აღიარა, რომ დოპინგის გამოყენებისას არ უგრძვნია სინდისის ქენჯნა. მისი სიტყვებით, ის აკრძალულ პრეპარატს განიხილავდა, როგორც დამატებით უპირატესობას მეტოქეებთან ბრძოლაში. ამასთან, არმსტრონგმა განაცხადა, რომ მთელ დარჩენილ ცხოვრებას ადამიანების მხრიდან ნდობის დაბრუნებას მოახმარს.

არმსტრონგის ინტერვიუს ეთერში გასვლის შემდეგ, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს პრეზიდენტმა **ჯონ ფეიჰიმ** ამერიკელი ველომრბოლი არაგულწრფელობაში დაადანაშაულა.

ინტერვიუში ლენსი უარყოფს ბრალდებას იმის თაობაზე, რომ დოპინგის მიღებას აიძულებდა საჯინიბო US Postal-ის სხვა წევრებს. აგრეთვე, ამერიკელმა განაცხადა, რომ ცნობილ იტალიელ ექიმს **მიკელე ფერარის** არანაირი კავშირი არ ჰქონდა არმსტრონგის დოპინგსქემებთან.

ანტისადოპინგო სააგენტოს შეფის თქმით, არმსტრონგის აღიარებას შეიძლება მხოლოდ სანახევრო ეწოდოს. ფეიჰი ამბობს, რომ ველომრბოლის მიერ საკუთარი საქციელის გამართლების მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა თაღლითობა.

ფეიჰიმ აღნიშნა, რომ მისი აზრით, არმსტრონგის სიტყვებიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება: ველომრბოლს ვერ გამოიჭერდნენ დოპინგის მიღებაში, ის 2009 წელს ველოსპორტში რომ არ დაბრუნებულიყო. თავად ლენსმა უინფრისთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ბოლოს დოპინგი 2005 წელს მიიღო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608